

178  
1995



ქართული  
ენების  
სწავლის  
სამეცნიერო  
ცენტრი

ISSN 0868—4587

# სამართალი

პრაქტიკა — მეცნიერება — პუბლიცისტიკა

1995

3-4

IUS

TBILISI GEORGIA





# სამართალი

საზენიერო-პრაქტიკული ყურყანი

№ 3-4  
1995

მარტი — აპრილი

განმომდის 1995 წლიდან

## პრაქტიკა • მადნიერება • კუბლიტისტიკა

მთავარი რედაქტორი  
ყურყა რატიანი

სარედაქციო კოლეჯია:

- ჯანმდე ბაბილაშვილი
- ბელა ბერქანიშვილი
- (მთ. რედაქტორის მოადგილე)
- ვლადიმერ ბარათაშვილი
- ოთარ ბაგრატიანი
- ჯემალ ბანოკია
- გივი ინჟირვალი
- მზია ლეკვიშვილი
- თენგიზ ლილუაშვილი
- ჯემალ მთაწარაძე
- ზალვა ნათელაშვილი
- თევდორე ნინია
- ნოდარ ნაზირია
- იური ტაბუცაძე
- გიორგი ტყეშელაძე
- იაკობ ფუტყარაძე
- მინდია უგრეხელია
- ჯონი ჯალალანი

ჩვენი ყურყანის დამყარება-  
ლეგი არიან: ყურყალ „სამართ-  
ლის“ რედაქცია, საქართველოს  
რესპუბლიკის იურიტთა კავშირი,  
საქართველოს რესპუბლიკის უყე-  
ნაესი სასამართლო, საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის იუსტიციის  
სამინისტრო, საქართველოს რეს-  
პუბლიკის პროკურატურა, საქარ-  
თველოს რესპუბლიკის უყენაესი  
საბრბიტრაჟო სასამართლო.

მკითხველთა საყურადღეოდ:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა  
არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მხალები, რომე-  
ლთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12  
ვერდს, მოყვანოდეთ მისამართით: 880048, თბი-  
ლისი, გრიბოდვის 19.

ტელ: 99-02-45, 98-41-50, 99-51-01.

ყურყალი რეგისტრირებულია საქართველოს  
რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგის-  
ტრაციის ნომერია: 0880. ინდექსი 76185.

ყანი 7 000 რუბლი.





# ს ა კ ი ე ბ ე ლ ი

## კონსტიტუცია

კახაბერ წერეთელი — კონსტიტუციური მოვალეობები ობიექტური აუცილებლობაა 3

## სახელმწიფო ორგანოები

გრიგოლ ერემოვი — საქართველოს მთავრობა 13

## ინტერვიუ

გელა ბერძენიშვილი — „ეცოცხლობ, რამეთუ მწამს...“ (ინტერვიუ პროფესორ გიორგი ნადარეიშვილთან) 22

## მეურნეობა და სამართალი

თამარ ჩიტოშვილი — სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ზოგიერთი საკითხი 31

## თეორიის საკითხები

გურამ ნაჭყეაბია — მსჯავრდებულის „მორალური გამოსწორების“ საკითხისათვის 38

## პრაქტიკა, წინადადება, შენიშვნები

შოთა ფაფიაშვილი — სასჯელის ეფექტიანობა სისხლის სამართალში 45

ალექსანდრე კვაშილაძე, ლევან კვაშილაძე — კორუფციასთან ბრძოლის პრობლემები 51

დავით ძაბუკაშვილი — ვის უნდა ეკუთვნოდეს პატენტი სამსახურებრივ გამოგონებაზე 55

გია ხანტაძე, რობერტ ბაბახიანი, იგორ კატკოვი, იგორ ბელეშნიკოვი — დაცვითი აეროზოლური ბალონების დამაზიანებელი ეფექტი 58

## რემენციბა

ბესარიონ ზოიძე — საუცხოო გამოკვლევა სანივთო სამართალში 61

## პრესა

ხიმონ კილაძე — საქართველოს პრესის ისტორიიდან 70

## ინფორმაცია

1994 წელს საქართველოს რესპუბლიკაში ნასამართლობის მდგომარეობა 75

მოსამართლეთა კონფერენცია 87

## პოეზია


გრიგოლ დედგარიანი — ლექსები 79

რედაქციის მისამართი: 880046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80  
ტელ. 89 09 45, 88 41 50, 99 51 01

გადაეცა წარმოებას 9.06.95 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.08.95 წ.;  
ფორმატი 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7.  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 6,5. შეკვ. 748. ტირაჟი 1000.

საგამომცემლო პოლიგრაფიული კომპლექსი „სამშობლო“,  
თბილისი; 880088, მერაბ კოსტავას 14.





კანაბერ წარათელი

# კონსტიტუციური მოვალეობები ოპიქტური აუსილაგლობა

20578

„ყოველ ადამიანს აქვს ვალდებულებები საზოგადოების წინაშე და მხოლოდ მის წიად- შია შესაძლებელი ადამიანის პიროვნების სრული განვითარება“.  
(ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 29).

ვერავის გაგაკვირვებთ, თუ ვიტყვით, რომ საქართველოში, ისე როგორც თანამედრობობის სხვა ქვეყნებში ქაოსი და ანარქიაა. „სოციალიზმის მონაპოვრები“ ძალზე ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს. ე. წ. გარდაქმნა საქართველოში მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური რადიკალიზმით აისახა, რამაც გონება უარყო და გრძნობათა აღლუმს დაუთმო ასპარეზი. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება იმ მიზიდულობის ცენტრი გახდა, რომელიც ადამიანებს გრძნობათა ტემპერატურის მიხედვით იზიდავდა, მართავდა ხალხი მიტინგებს და იმართებოდა მიტინგებით ქვეყანა. ან ყველაფერი, ან არაფერი, სრული თავისუფლება ყველას და ყველაფერს — მოდიოდა ღირექტივა მიტინგებიდან. აბსოლუტის რანგში აყვანილმა პიროვნების თავისუფლებამ თავისი უხეში კვალი დაატყო საზოგადოების ცნობიერებას. საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანი არ შეიძლება იყოს და ვერც იქნება სრულიად თავისუფალი. სრულიად თავისუფალი რობინზონ კრუზოა, რომელიც კუნძულზე ცხოვრობს, თუმცა ისიც იზღუდება პარასკევას აღმოჩენის შემდეგ. ქართველი კაცი კი, უპირველესად, მოვალეა ისტორიის, ქვეყნის, საზოგადოების, ოჯახის, წინაპრების თუ შთამომავლობის წინაშე.

მართალია, სამიტინგო მმართველობის, მაგრამ მაინც ხელისუფლების, შეიარაღებული აჯანყების გზით განდევნამ, უარყოფის ძალმომრეობითმა უარყოფამ მტკივნეული პრეცედენტი შექმნა, გადააფასა ღირებულებათა არცთუ შორეულ წარსულში გადაფასებული სისტემა. ჩვენდა სამწუხაროდ, ამა ქვეყნის ძლიერთა ერთმა ნაწილმა პიროვნებას აბსოლიტური თავისუფლების ილუზია შეუქმნა ძველის ნგრევასა და ახლის შენებაში, ხოლო მეორემ ძალმომრეობის სინდრომით ადამიანში მიძინებული ცხოველი გამოაღვიძა. ერთი მხრივ, სრული თავისუფლება, თუნდაც განუკითხავი და თითქმის ფიქცად ქცეული მოვალეობა, ხოლო, მეორე მხრივ, შეუზღუდავი და ხშირად ნებადართული ძალმომრეობა — აი, ქვეცნობიერი სახე ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილისა, რაც ამორალურ ზეგავლენას ახდენს მთელ საზოგადოებაზე, ქვეყნის მომავალზე.

საქართველო  
პარლამენტი  
ბიბლიოთეკა



სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობა სამოქალაქო საზოგადოების შექმნით უნდა დაიწყოს, თითოეულმა მოქალაქემ უფლება-თავისუფლებებთან ერთად მორალური თუ სამართლებრივი მოვალეობებიც უნდა გაიცნობიეროს და გაითავისოს.

პიროვნებიც ქცევა მაშინ აღიქმება ზნეობრივ მოვლენად, როცა მას აქვს გარკვეული შეგნება თავისი ინდივიდუალობისა, თავისი განსხვავებისა და მსგავსებისა სხვა ინდივიდებთან, თავისი მოვალეობისა, ვინაიდან მას მხოლოდ ამ შედარებითი ანალიზით შეუძლია ნათლად წარმოიდგინოს თავისი ვალდებულება მოსილი ზნეობრივი „მე“ და დაყენოს იგი განსაზღვრულ დამოკიდებულებაში სხვა „მე“-ებთან. ეს კი გულისხმობს უკვე მოწესრიგებულ ცხოვრებას, საზოგადოებას, რომელშიაც ადამიანები განსაზღვრულ წესებს ემორჩილებიან.

შტამლერის აზრით, ძალდატანებითი სამართალი ისეთი რამ არის, რომლის ნორმებისაგან ვერასოდეს ვერ განთავისუფლდება პიროვნება, რომლის ადგილს ვერასოდეს ვერ შეავსებს კონვენციონალური ანუ მორიგებითი ნორმები, არამედ სწორედ ეს ძალდატანებითი სამართალი არის ერთადერთი საშუალება, რომ საზოგადოების ყველა წევრი გამოუკლებლად შედიოდეს სოციალური მოწესრიგების სფეროში, რომ არსებობდეს სოციალური კანონზომიერება და კანონზომიერად ვითარდებოდეს სოციალური ცხოვრება. შტამლერის ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ავითარებს დიდი ქართველი მოაზროვნე მიხაკო წერეთელი და სამართალს ვალდებულების ნიშნით განმარტავს — „სამართალი არის მოწესრიგება ადამიანთა ყველა ისეთი ყოფა-ქცევისა, რომელსაც მათ უნდა მისდიონ ან ნება-ყოფლობით აღიარებულ, ან ძალით დადგენილ ვალდებულებათა აღსრულებისათვის“<sup>1</sup>.

საზოგადოებაში ბუნებით კანონებზე დამყარებული ადამიანთა ურთიერთობა წააგავს ყველას ომს ყველას წინააღმდეგ. ბუნებით მდგომარეობაში შეუძლებელია ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრება, ამ მიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ისინი ქმნიან სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც ადამიანთა ბუნებით მდგომარეობაზე მაღლა დგას. ვ. ლოკი ბუნებით მდგომარეობას მიიჩნევს ადამიანთა ისეთ ქაოსურ გაერთიანებად, რომელშიც შეუძლებელია ადამიანთა ბუნებითი უფლებების სრული განხორციელება. მისი აზრით, ბუნებით მდგომარეობაში ადამიანები, მართალია, ფლობენ საკუთარ თავსა და ქონებას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მაგრამ ამ საერთო თანასწორობის პირობებში ყველა საკუთარ თავს ერთნაირად თვლის „მეფეებად“<sup>2</sup>, რაც იწვევს ყველას ომს ყველას წინააღმდეგ. ბუნებითი მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, ადამიანები ერთმანეთს შორის დებენ ზელშეკრულებას სახელმწიფოს შესაქმნელად, რის შედეგადაც ისინი თავიანთი ბუნებითი უფლებების ნაწილს დასაცავად და განსახორციელებლად გადასცემენ სახელმწიფოს.

სახელმწიფო საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების უზრუნველსაყოფად ქმნის სამართლებრივ ნორმებს, რითაც ზეგავლენას ახდენს გარკვეულ ინდივიდებზე და მთლიანად საზოგადოებაზე. სამართლის ზემოქმედება მათ საქმიანობასა და ურთიერთდამოკიდებულებაზე მიზნად ისახავს ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესთა სოლიდარიზმს, ჰარმონიას.

რ. იერიხის შეხედულებით, სამართლის შინაარსს განსაზღვრავს საზოგადოების სასიცოცხლო პირობები, მაგრამ ეს უკანასკნელი შეფარდებითი ცნებაა. ცხოვრების ცნების შინაარსად თუ მივიჩნევთ უბრალო ფიზიკურ ყოფიერებას,

<sup>1</sup> მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა. თბილისი, 1990 წ. გვ. 50.

<sup>2</sup> Д. Локк. Избранные философские произведения, т. I, стр. 72.



მაშინ იგი გაგებულ იქნას, როგორც ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნების ცნება თავის მხრივ, შეფარდებითია, რადგან ამ ცნების შინაარსი განისაზღვრება ინდივიდუალური მოთხოვნებით. ერთს უფრო მეტი მოთხოვნა აქვს, მეორეს — ნაკლები, შესამჩნევ მოთხოვნაა ნაწილი უკვე დაკმაყოფილებული აქვს და ა. შ. ამიტომ უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვი, რომ „ცხოვრება არ ნიშნავს უბრალო ფიზიკურ არსებობას. ყველაზე გაჭირვებული, ყველაზე მღაბიო ადამიანი მოითხოვს ცხოვრებისგან კეთილდღეობას და არა უბრალო ყოფიერებას და რასაც არ უნდა გულისხმობდეს იგი ამით — ერთისთვის ცხოვრება ამ აზრით იქ იწყება, სადაც მეორისთვის მთავრდება, — მასში ჩამოყალიბებული აზრი, ცხოვრების სუბიექტური სურათი წარმოადგენს მისთვის მასშტაბს, რომლითაც იგი ზომავს თავისი ცხოვრების ღირსებათა ფასს. ცხოვრების პირობებში უნდა ვიგულისხმოთ არამარტო ფიზიკური არსებობის პირობები, არამედ ყველა ის სიკეთე და ნეტარება, რომლებიც სუბიექტის აზრით, ცხოვრებას ანიჭებენ თავის ნამდვილ ღირებულებას“.<sup>3</sup> რ. იერიხის აზრით, სამართლის დანიშნულებაა მოქალაქეებს მიანიჭოს საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებისაგან წარმომდგარი ნეტარება.

სამყაროში თავისთავად არაფერი ხდება, პირქით, ყველაფერი რაც ხდება ე. ი. ყოველგვარი ცვლილება გრძნობად სამყაროში წარმოადგენს სხვა წინამავალი ცვლილებების შედეგს. ადამიანის ნება რაიმე საფუძვლის გარეშე არ ვლინდება ურთიერთობებში. მას, ისევე როგორც ბუნებას, ესაჭიროება საფუძველი, მაგრამ ბუნებაში ამ საფუძველს აქვს მექანიკური ხასიათი — მიზეზი, ნებისათვის კი ამ საფუძველს აქვს ფსიქოლოგიური ხასიათი — მიზანი.

მიზანი წარმართავს არამარტო ადამიანთა, არამედ ცხოველთა ნებასაც, მაგრამ მათ შორის განსხვავება იქ არის, რომ ცხოველს ძალუძს იმოქმედოს მხოლოდ საკუთარი სარგებლობისათვის, ადამიანი კი სხვების სასარგებლოდც მოქმედებს. ადამიანი საკუთარ მიზანს უკავშირებს სხვის ინტერესებსაც, ამ კანონზომიერებაზეა დამყარებული ადამიანთა მთელი თანაცხოვრება, რომელიც ისეთ საზოგადოებრივ გაერთიანებებში ვლინდება, როგორცაა სახელმწიფო და საზოგადოება.

ადამიანის მოქმედება წარმოუდგენელია ინტერესის გარეშე. ამ ინტერესს განსაზღვრავს: პირველი, საკუთარი ეგოისტური მიზანი და, მეორე, სხვისი, კერძოდ, საზოგადოების მიზანი. სამართალი წარმართავს ადამიანთა საქმიანობას და ემსახურება ინდივიდთა, როგორც საკუთარი, ასევე სხვა ინდივიდთა (საზოგადოების) ინტერესებს. საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ სოციალურ მექანიზმს ქმნის ამ მიზნების ერთობლიობა. საზოგადოების განვითარებას საფუძვლად უდევს ამ მიზანთა რეალიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს საყოველთაო მშვიდობას. ამდენად, ინდივიდთა ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელების შედეგად საზოგადოებაში იქმნება სტაბილური მდგომარეობა, რაც გამოიხატება შემდეგში: „თითოეული ცალკე პირი არსებობს მშვიდობისათვის და მშვიდობა — ცალკეული პირისათვის“<sup>4</sup>.

სამართლისათვის მშვიდობა მიზანია, ბრძოლა კი — საშუალება, სამართალში ორივე აუცილებლობით ავსებს ერთმანეთს და განუყოფლადაა გაერთიანებული.

სამართალი ლოგიკური ცნება კი არა, ძალის ცნებაა, რომლის შინაარსს სამართლიანობის ძლიერება განსაზღვრავს. ამიტომაც სამართლიანობას გამოხატავენ ერთ ხელში საწვრთ, რომლითაც იწონება სამართალი, მეორეში

<sup>3</sup> Р. Иеринг. Цель в праве т. I, с. 322.

<sup>4</sup> Р. Иеринг, цель в праве т. I, с. 73.



კი მახვილით, რომელიც იცავს მას. მახვილი სასწორის გარეშე აშკარა ძალადობა იქნებოდა, სასწორი მახვილის გარეშე კი — სამართლის უსუსურება, ორივე ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და სრულყოფილი სამართალი მხოლოდ იქ ბატონობს, სადაც სამართლიანობის ძალა, მახვილით წარმართული, შეეფარდება იმ სიზუსტეს, რომელიც სასწორითაა უზრუნველყოფილი.

თუ სამართალი უზრუნველყოფს სახელმწიფოში საზოგადოებისა და ინდივიდთა ინტერესების სოლიდარიზმს, მაშინ რაღა საჭიროა სამართლის ნორმის რეალიზაციის პროცესში სამართლებრივი იძულების გამოყენება? ამის მიზეზს რ. იერინგი<sup>5</sup> ორ გარემოებას უკავშირებს. პირველი, ინდივიდთა არასაკმარისი გონიერება და მიხვედრილობა, ყველას არა აქვს იმის საკმარისი უნარი აღიქვას, რომ საერთო ინტერესი ამასთან ერთად, შიში საკუთარი ინტერესიცაა და მეორე, ბოროტი ან სუსტი ნება, რის გამოც საერთო ინტერესი საკუთარი ინტერესის მსხვერპლი ხდება<sup>6</sup>. სამართლის უმაღლესი იდეაა სახელმწიფოსა და საზოგადოებისაგან ინდივიდის თვითგამოყოფა, საზოგადოებისა და ინდივიდის ინტერესთა გაწონასწორება, სახელმწიფო ხელისუფლებასა და ინდივიდულურ თავისუფლებას შორის თანაფარდობის უზრუნველყოფა სახელმწიფოში ინდივიდის სამართლებრივ თავისუფლებას, როგორც სამართლის უმაღლესი იდეის გამოხატულებას, გააჩნია არა მატერიალური, არამედ ზნეობრივი საფუძვლები, რომელსაც უნდა ემყარებოდეს მოქმედი სამართალი.

3. კელზენის მტკიცებით სამართალი ნორმათა ერთობლიობაა. ნორმის ცნება კი ორი ელემენტისაგან შედგება, ესენია: „სამართლის სუბიექტი და სამართლის ობიექტი რომელთა ნორმატიული კავშირის ცნების განმსაზღვრელია ვალდებულება, რომელსაც ნორმა ადგენს. ამიტომ ნორმის უმთავრეს თავისებურებაზე წარმოდგენას გვაძლევს მის მიერ დადგენილი იურიდიული მოვალეობები. იურიდიული ნორმის ფუნქციას მხოლოდ მოვალეობის დადგენა წარმოადგენს<sup>6</sup>.

სამართლის ნორმაში მთავარია ვალდებულება, ნორმა არ არსებობს ვალდებულების გარეშე, მაგრამ იგი სავსებით შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს უფლების გარეშე. მოვალეობა სამართლის ნორმის აუცილებელი სუბიექტური ფორმაა, უფლება კი შესაძლო, სუბიექტური ფორმა. აღნიშნული ყველაზე უფრო ხელშესახებად თანამედროვე წიხლის სამართალში და პროცესუალური სამართლის დარგებში ვლინდება. მოქალაქეთა მოვალეობას სისხლის სამართლის ნორმიდან ვგებულობთ არა პირდაპირი გზით, კერძოდ, ნორმა სახელმწიფოს მიერ სანქციების გამოყენების მუქარით კრძალავს მოქმედებას, რომელსაც იგი დანაშაულად მიიჩნევს. ამგვარ ნორმებში დადგენილია სახელმწიფოს მოვალეობა, გამოიყენოს სანქციები დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, მაგრამ ამ ნორმებიდან გამომდინარეობს სხვა მოქალაქეთა „უმოქმედობის“ (დანაშაული არ ჩადენის) აბსოლუტური მოვალეობა.

პიროვნების ყოველი სამართლებრივი უფლების აღიარებით კანონმდებელი ფაქტიურად ორგვარ მოვალეობას ადგენს — მოქალაქეთა მოვალეობას, არ შელახონ სუბიექტის ესა თუ ის უფლება-თავისუფლება და სახელმწიფოს მოვალეობას სამართლებრივი მექანიზმებით უზრუნველყოს ამ უფლებიწ რეალიზაციის პირობები. თუ პიროვნების უფლების მაღიარებელ სამართლებრივ ნორმაში მოვალეობები არ დავინახეთ იგი ფიქციად იქცევა, რამეთუ ადამიანის თანდაყოლილი უფლება-თავისუფლებანი საზოგადოებრივ ცნობიერებაში ზომ თავიწ თავადაც არსებობენ, მაგრამ სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის გარეშე.

<sup>5</sup> Р. Иеринг, Цель в праве т. I. с. 408.

<sup>6</sup> H. Kelsen, Theorie pure du droit 1953 p. 221.



თუ ადამიანის უფლების დაცვა გარანტირებული არ არის სახელმწიფოსა და მოქალაქეების მოვალეობით, არ შელახონ და არ დაარღვიონ ეს უფლება ადამიანი უბრუნდება ბუნებით მდგომარეობას და თვითონ ცდილობს თავისი უფლების დაცვას ანუ თვითონ შობს სამართალს, რასაც ქაოსი შეაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამის დასტურია არცთუ დიდი ხნის წინათ მომხდარი „ლინჩის წესით“ გასამართლების ფაქტები. 1921 წლის კონსტიტუციის სამოქმედოდ ნაჩქარევა და მოუფიქრებელმა შემოღებამ, რომელიც სიკვდილით დასჯას აუქმებდა, რითაც ზღუდავდა სახელმწიფოს მოვალეობას გამოეყენებინა სასჯელის განსაკუთრებული ზომა, საზოგადოებაში სახელმწიფოსადმი უნდობლობისა და დაუცველობის სინდრომი შვა, რადგან „ხალხის სული“ ოდითგან მოითხოვს დანაშაულისა და სასჯელის თანაფარდობის პრინციპის განუხრელ გატარებას. ამ საკითხზე მოგვიანებით მიცემულმა განმარტებებმა საზოგადოების ვნებათაღელვა შეანელა, მაგრამ ლინჩის წესით მომხდარმა გასამართლების ფაქტებმა მტკივნეული კვალი დაატყო საზოგადოებრივ ცნობიერებას.

კანონმდებლის სუბიექტური ნებით შექმნილ სამართალს არავითარი კეთილი ზეგავლენა არ შეუძლია მოახდინოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რომელშიც უკეთესი მომავალი შეიძლება მიღწეული იქნეს არა კანონებით, არამედ მისი „ერის სულის“ შესაბამისად განვითარების გზით, კანონმდებლობა აქ გადაწყვეტ როლს ვერ შეასრულებს, მას შეუძლია მხოლოდ ხელი შეუწყოს „ერის სულის“ შესაბამისად საზოგადოების განვითარებას.

დიდი ილია სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული და ანტიდემოკრატიული ფორმების ერთმანეთისაგან განსასხვავებლად ასახელებს ქვეყნის შიგნით პიროვნებას, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრულობას. „კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერებაზედ“<sup>7</sup>.

სამართლებრივ სისტემაში პიროვნების მდგომარეობის სიმტკიცე და სტაბილურობა მიიღწევა არამარტო შესაბამისი უფლება-თავისუფლებების აღიარებითა და გარანტიებით, არამედ მოქალაქის საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე მკვეთრად განსაზღვრული იურიდიული მოვალეობების დადგენის მეშვეობითაც. მოქალაქეთა უფლება-თავისუფლებების აღიარებით სახელმწიფო ნებას რთავს და გარანტიებს უქმნის მათი ქცევის განსაზღვრულ სახეობებს, მასშტაბს, ზომას, ზოლო მოვალეობების დაკისრებით მათგან შოითხოვს მკვეთრად განსაზღვრულ აუცილებელ მოქმედებებს.

იურიდიული მოვალეობა, რომელიც სამართლებრივ სისტემაში მრავალმიზნობრივ სოციალურ ფუნქციას ასრულებს აღიქმება როგორც: ა) საზოგადოებრივად აუცილებელი წათანადო ქცევის ზომა; ბ) დემოკრატიის ელემენტი; გ) ცივილიზებული ყოფის ნიშან-თვისება; დ) სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის სტრუქტურული ელემენტი; ე) პიროვნების სამართლებრივი სტატუსის ერთ-ერთი განზომილება; ვ) მოქალაქეთა სამართლებრივი ცნობიერების ფორმირების საშუალება; ზ) უფლება-თავისუფლებათა განხორციელების ერთ-ერთი მთავარი გარანტია; თ) მართლწესრიგისა და კანონიერების უზრუნველყოფის ძირითადი ფაქტორი.

<sup>7</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6; გვ. 7.



ჩვენი კანონმდებლობა, სამწუხაროდ, არ იძლევა იურიდიული მოვალეობის, როგორც ერთ-ერთი სამართლებრივი კატეგორიის განსაზღვრას და ამდენად, ის მეცნიერებამ უნდა გამოიმუშავოს. სხვათაშორის უფლებათა თეორიისაგან განსხვავებით იურიდიული მოვალეობების თეორია ჯერ კიდევ არ არსებობს. ვალდებულებების იდეა საზოგადოებრივ შემეცნებაში უფრო სუსტად არის აღქმული, ვიდრე უფლებებისა და თავისუფლებების იდეა რის გამოც მოქალაქეთა უმრავლესობის მართლშეგნება ცალმხრივად, მხოლოდ უფლებებზე აღმოჩნდა ორიენტირებული. პიროვნების უმართებულო წარმოდგენას კი თავის რეალურ სტატუსზე, იურიდიულ უფლება-მოვალეობებზე, საზოგადოებასთან, სახელმწიფოსთან ურთიერთობაზე, პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემაში თუ საზოგადოების ყოფაში იგი თავისი ადგილის, როლისა და ფუნქციის არასწორ შეფასებამდე მიყავს.

პიროვნების უფლება-თავისუფლებათა ხასიათით, მათი ფაქტიურობის ხარისხით, გარანტირებულობით, სამართლებრივი უზრუნველყოფის მახასიათებლებით შეიძლება ვიმსჯელოთ არა მარტო სამართლებრივი სისტემის, არამედ პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ავკარგიანობაზეც. მიუხედავად ამისა, დაუმეგებელია, იურიდიული მოვალეობა უფლება-თავისუფლებათა თავისებურ „ჩრდილად“ იქნას აღქმული, რამეთუ ისინი ჰორიზონტალურად დაწყვილებული, ურთიერთგანმსაზღვრელი და ურთიერთგანმაპირობებელი კატეგორიებია<sup>8</sup>.

ჯერ კიდევ ციცერონი აღნიშნავდა: „კანონის სიბრძნე მასშია, რომ ის სწორად მოქცევას ბრძანებს“.

ჩვენი აზრით, იურიდიული მოვალეობა შეიძლება განისაზღვროს, — როგორც კანონით დადგენილი, საზოგადოებრივად აუცილებელი, პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების დასაცმაყოფილებლად მიმართული, სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი სავალდებულო ქცევის ზომა.

იურიდიული მოვალეობა მიუთითებს განსაზღვრული ქცევის საზოგადოებისათვის სასურველ ეტალონზე, რომელიც უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით — ეს სწორედ ის ძირითადი ელემენტია, რაც მოცემულ მოვლენას განსაკუთრებით სპეციფიკური ფენომენის იერსახეს აძლევს. იურიდიული ვალდებულების დეფინიციის არსი აუცილებლობაა, რაც ისეთივე როლს ასრულებს ამ სამართლებრივი კატეგორიის შეცნობაში, როგორსაც შესაძლებლობა — იურიდიულ უფლებაში. რაც შეეხება აუცილებლობის ფილოსოფიურ გაგებას, ამ შემთხვევაში ის ტრადიციულ ჩარჩოებს არ სცილდება, მაგრამ გასათვალისწინებელია კონკრეტული სოციალური კავშირების თავისებურებანი. სუბიექტის აუცილებელ, საჭირო, სავალდებულო, მართებულ ქცევაზე მიუთითებს ესა თუ ის კანონი, რომელშიც საზოგადოებრივი აუცილებლობაა გამოხატული. სახელმწიფომ კანონმდებლობაში მხოლოდ ის მოთხოვნები უნდა დაადგინოს, რომლებიც კი არ უპირისპირდებიან, არამედ შეესაბამებიან სამოქალაქო საზოგადოების არსებობის უზრუნველყოფელ, ობიექტურად გააზრებულ აუცილებლობას.

ამრიგად, იურიდიული მოვალეობა — ეს განსაზღვრული ქცევის აუცილებლობაა, მაგრამ რას ნიშნავს განსაზღვრული ქცევა ანუ როგორი ქცევა ევალება სუბიექტს სამართლებრივი აუცილებლობის ჩარჩოებში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება იურიდიული მოვალეობით დადგენილი აუცილებლობის დიფერენცირებით ანუ მისი სტრუქტურის აღწერით. ჩვენი აზრით, იურიდიულ ვალდებულებაში შეიძლება გამოვყოთ სამი ელემენტი:

<sup>8</sup> R. Dworkin. Taking rights seriously. p. 375.



ა) განსაზღვრული ქმედების (მოქმედების ან უმოქმედობის) აუცილებლობა; ბ) სამართლის სუბიექტებისაგან ამა თუ იმ ქმედების მოთხოვნის აუცილებლობა; გ) სავალდებულო ქმედების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის აუცილებლობა. კონკრეტული იურიდიული მოვალეობის სახე და ხასიათი განსაზღვრავს ამ საკითხს ელემენტიდან ერთ-ერთის აქტიურ დომინირებას.

ვფიქრობთ, იურიდიული ვალდებულების საზრისი სუბიექტის ჯეროვანი ქცევის სახელმწიფო-სამართლებრივი აუცილებლობაა, ხოლო შემადგენლობას სამართლის ნორმით, დადგენილი ჯეროვანი მოქმედებები განაპირობებენ. ყოველი იურიდიული ვალდებულების საზრისი მისი სახეობის, დარგობრივი კუთვნილების, კატეგორიის, მასშტაბისა თუ ფარგალის მიუხედავად იდენტურია, ხოლო შემადგენლობა სხვადასხვა. განსაზღვრული ქცევის აუცილებლობა, როგორც ვალდებულების საზრისი (შინაგანი მხარე) ყოველთვის ივსება კონკრეტული შემადგენლობით, რომელიც განაპირობებს ამ ქცევის სახეს, ზომას, მასშტაბს, ფარგალს, საშუალებას, ხასიათს, მიზანდასახულებას, ხარისხს, დროს, სივრცეს და ა. შ. (გარეგანი მხარე).

ესა თუ ის იურიდიული ვალდებულება სუბიექტისაგან მოითხოვს არა ყოველგვარ და ყოველმხრივ, არამედ ჯეროვან, სათანადო გარკვეული ვითარებისთვის საჭირო ქცევას, რომელიც ამ ვალდებულების სოციალური დანიშნულებით განისაზღვრება. „ბირი ვალდებულება რა ზოგადად, საერთოდ, არამედ მკაცრად დადგენილ საზღვრებში“.<sup>9</sup> უზომო, განუსაზღვრელი, ამორფული, ბუნდოვანი ვალდებულებები არ არსებობს. რასაკვირველია, იურიდიული ვალდებულება შეიძლება აღვიქვათ არამართო როგორც ჯეროვანი, სათანადო, განსაზღვრული ქცევა არამედ როგორც დაუშვებელი, აკრძალული, კანონსაწინააღმდეგო ქცევისაგან თავის შეკავებაც (პასიური ქცევა). ამ შემთხვევაშიც იურიდიული ვალდებულების საზრისად აუცილებლობა გამოდის, მაგრამ „უმოქმედობის“ აუცილებლობა.

იძულების ფაქტორი ხელშესახებად ასხვავებს იურიდიულ მოვალეობას უფლება-თავისუფლებისაგან, რომლის რეალიზაციაც დაუშვებელია სუბიექტს აიძულო მისი ნების საწინააღმდეგოდ. სწორედ ეს იძულების ფაქტორი უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოებაში მშვიდობიანი და სამართლიანი ურთიერთობების დამყარებას, თუმცა არისტოტელეს თქმით, „მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე ადამიანები დაწერილი კანონების ნაცვლად; დაუწერელი კანონებით ხელმძღვანელობენ“<sup>10</sup>.

პიროვნებისა და მოღიანად საზოგადოების მართლშეგნება კნინდება, თუ სამართლის თუნდაც ერთი ნორმა დაუპირისპირდა საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს. საბჭოთა კავშირის სინამდვილეში წარმოებულმა პოლიტიკურმა, თუ სამართლებრივმა ბრძოლამ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ საქართველოში ვაზი გადაშენებამდე მიიყვანა, არადა ვაზი ქართველი კაცისთვის ისტორიულად ზომ კაცილებით მეტია, ვიდრე ალკოჰოლის მიღების წყარო. ქართველ კაცს ერთმა გაუაზრებელმა სამართლებრივმა ნორმამ გააკეთებინა ის, რასაც ათასი ჯურის მომხდური ცეცხლით და მახვილით ვერ ახერხებდა. იმ დროისავე ანეკდოტად იქცა ნორმა, რომელიც 21 წლამდე ასაკის პირებს ალკოჰოლური სასმელის შეძენას უკრძალავდა, მაშინ, როცა იგივე კანონმდებელი 18 წლიან მინიმალური ასაკობრივ ზღვარს — საქორწინო ასაკად აღიარებდა. მსგავსი მაგალითები საკმაოდ ბევრია საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობაში.

<sup>9</sup> Алексеев С. С. Общая теория права т. 2, с. 126.

<sup>10</sup> Риторика Аристотеля, стр. 70.



დღეს გვიკვირს საზოგადოების სამართლებრივი კულტურის დაბალი დონე, ამორფული მართლშეგნება, ძალმომრეობის ჰეროიკა და „ეგოს“ ზეობა, უნაწიცი ლომის წილი სოციალიზმის პერიოდის არაეროვნულ და რაც მთავარია, უნაწიცი ბისადმი დაპირისპირებულ კანონმდებლობას მიუძღვის. კანონმდებლობა რომელიც ოჯახის წევრებს ერთმანეთის დაბეზლებას თუ დანაშაულში მხილებას ავალდებულებს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამორალურია. იგი საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრების განვითარების ნაცვლად, ამუხრუჭებს მას და საბოლოო ჯამში, სამართლისადმი უნდობლობის სინდრომს ბადებს, რაც ნაწილობრივ მიზეზობრივ კავშირშია ჩვენი საზოგადოების ისეთ ანომალიასთან, როგორცაა „ქურდული სამართალი“ თავისი ატრიბუტებით თუ აქსესუარებით და მომაკვდინებელი შედეგებით.

ლევ შეინინის „გამომძიებლის ჩანაწერებში“ ერთ-ერთი „გმირი“ ამხელს რა თავის ექიმ მეუღლეს ბოროტმოქმედისათვის გაწეულ სამედიცინო დახმარებაში, სასამართლო პროცესზე განმარტავს — მე ვამზილე ჩემი მეუღლე, ეს ჩემი მოვალეობა იყო, მე ხომ საბჭოთა ქალი ვარ! იდეა ფიქსმა აამღვრია საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალი, რის სასაცვლოდაც ფსევდო მორალი და ფსევდო მოვალეობები შექმნა.

სამართალი მხოლოდ მინიმუმია ან უფრო სწორედ, ზნეობრიობის ეთიკურა მინიმუმი<sup>11</sup>. კანონმა შეუძლებელია გამოხატოს ყველა ზნეობრივი ნორმა თუ პრინციპი, თუმცა ამის აუცილებლობა არც არის, საკმარისია, მხოლოდ არ უარყოფდეს მას. ზნეობრივ ნორმათა ავტორიტეტი იმდენად მაღალია, რომ ამ სიმადლის დაძლევა სამართალს არ ძალუძს, ასკვნიდა ჰეგელი. ამიტომ სამართალმა იურიდიული მოვალეობების მხოლოდ ის აუცილებელი მოცულობა უნდა დაადგინოს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მშვიდობიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

იურიდიული ვალდებულებიწ შესრულებას, უმეტესად, ზნეობრივი შეგნება უზრუნველყოფს თუ ის არ უარყოფს საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალს. ჰეგელი ადამიანის მოვალეობებს ოთხ ჯგუფად ჰყოფს: 1. მოვალეობა საკუთარი თავის წინაშე; 2. მოვალეობა ოჯახის წინაშე; 3. მოვალეობა სხვა ადამიანების (საზოგადოების) წინაშე; 4. მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე. იურიდიულ მოვალეობებს ის განსაზღვრავს როგორც „სრულყოფილ“ კატეგორიებს, ხოლო ზნეობრივ მოვალეობებს როგორც — „არასრულყოფილს“, რამეთუ პირველი განპირობებულია გარეგანი აუცილებლობით ხოლო მეორე, უმეტესად, სუბიექტურ ნებას ეფუძნება.

სახელმწიფოს. სამართლებრივი პოლიტიკა უფლება-მოვალეობათა ურთიერთქმედების, მათი მატარებლების მართლზომიერ ქცევათა მეშვეობით მიიღწევა. უფლება-მოვალეობების ერთიანობა და ურთიერთგანპირობებულობა ხელშესახებად იკვეთება: სამართალურთიერთობის საზღვრებში, სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში, პიროვნების სამართლებრივი სტატუსის განზომილებაში, სამართლებრივ სისტემაში და საერთოდ, სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირებასა და კეთილდღეობაში.

უფლება-მოვალეობების ჰარმონიული ერთიანობა ყოველთვის იყო პროგრესული საზოგადოებრივი აზრის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა. ჯერ კიდევ რუსი დეკაბრისტები ავითარებდნენ იდეას რომ „სახელმწიფო შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ურთიერთვალდებულებებისა და ურთიერთუფლებების თანასწორობის საფუძველზე“ (პესტელი), რომ „შეუძლებელია დაეთანხმო იმ

<sup>11</sup> Муромцев С. Права и справедливость М., 1883, с. 12.



მდგომარეობას, როცა უფლებათა უმრავლესობა იმყოფება ერთ მხარეს, ხოლო ყველა მოვალეობა მეორე მხარეს“ (მურავიოვი).

არაკეთილგონივრული იქნებოდა, სახელმწიფო, თავისი სამართლებრივი პოლიტიკით, პიროვნების მხოლოდ უფლებათა აღიარებით რომ შემოიფარგლოს და უარყოს იურიდიული მოვალეობები, რომელთა გარეშე რეალობას წყდება ყოველგვარი თავისუფლება და დემოკრატია. ამიტომ მნიშვნელოვანია, სამართლებრივი თუ ობიექტური აუცილებლობით ნაკარნახევი „თვითშეზღუდვისა“ და „თვითვალდებულების“ პიროვნული ინსტიქტის განვითარება სხვათა უფლებათა თავისუფლებათა სასარგებლოდ, რადგან ერთის თავისუფლება უცილობლად გამოდის როგორც სხვების თავისუფლების შეზღუდვა და მათი ვალდებულების შედეგი. პიროვნება თავისუფალია იმდენად, რამდენადაც სხვა არის ვალდებული არ შელახოს ეს თავისუფლება.

თავისუფლება რომელიც არ არის უზრუნველყოფილი ვალდებულებით, კანონით განსაზღვრული სოციალური ღირსების შესაძლებლობიდან კეთილზმოდან სურვილად ან უტოპიურ დეკლარაციად გარდაიქცევა.

უფლება-მოვალეობათა ერთიანობა არ დაიყვანება მხოლოდ მასზედ, რომ სამართალურთიერთობის საზღვრებში ერთი სუბიექტის უფლებას შეესაბამება მეორის ვალდებულება და პირიქით. ამ ერთიანობას უფრო დიდი მნიშვნელობა, ფართე საფუძველი და რთული ხასიათი აქვს, ერთიანობის არსი ხასიათდება იმით, რომ ერთი სუბიექტის უფლებას შეესაბამება მეორის ვალდებულება, რომ ერთი და იგივე სუბიექტი ფლობს უფლება-მოვალეობათა განსაზღვრულ კომპლექსს, რომ უფლება-მოვალეობები ყველასთვის თანაბარია და რაც მთავარია, მათში შეხამებულია კერძო და საზოგადო ინტერესი. უფლებებისა და ვალდებულებების ურთიერთკავშირი ობიექტური აუცილებლობაა, ხოლო ამ აუცილებლობის კონსტიტუციური აღიარება კი მისი იურიდიული გამოხატულებაა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია სრულიად ახალი სიტყვა იყო იმ პერიოდის მსოფლიოს კონსტიტუციურ სამართალში, მაგრამ დღეისათვის, ტრადიციულ სამართლებრივ ურთიერთობათა უმრავლესობა, რომელთა უზოგადესი რეგულირებაც კონსტიტუციის პრეროგატივაა, სხვაგვარი შინაარსითა და მოცულობით წარმოსდგება. მარტივი ჭეშმარიტებაა, ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ არც ახალი რედაქციის შემუშავება გასდებოდა აუცილებელი. მართალია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში პიროვნების მოვალეობები არც ცალკე თავშია დაჯგუფებული და არც იმ თავში, რომელიც პირად უფლებებს ან სოციალურ-ეკონომიურ უფლებებს აღიარებენ, მაგრამ მოქალაქის მთელი რიგი მოვალეობებია დადგენილი კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებით: „ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა კანონის თანახმად“ (მუხლი 94); პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა (მუხლი 110); მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე (მუხლი 116). ამა თუ იმ მოვალეობის შესრულების აუცილებლობაზე არაერთგზის არის მითითებული კონსტიტუციის რიგ მუხლებში (მუხლი 14, 31, 120).

ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კონსტიტუციის 117-ე მუხლი, რომელიც ფაქტიურად, არაუშუალო ფორმით, მოქალაქის შრომის განსაკუთრებულ მოვალეობას ადგენს. მართალია ცოტა რთულია მასში მოქალაქის შრომის მოვალეობის „ამოკითხვა“, მაგრამ ფაქტია, რომ ის არც უფლება-თავისუფლების მაღიარებელ ნორმაში „ნაგულისხმევი“ მოვალეობაა, არ შელახოს სწავლის უფლება.



ვფიქრობთ ამ ნორმის ახლებური გააზრება, თანამედროვე რეალების გათვალისწინებით, ჭეშმარიტად წაადგება მომავლის საქართველოს.


ჩვენი აზრით, გაუმართლებელია საქართველოს ახალი კონსტიტუციით მოქალაქეთა ისეთი მოვალეობების დადგენის რაიმე საწინააღმდეგო მოსაზრება არსებობდეს, როგორცაა სამშობლოს დაცვის წმიდათაწმიდა მოვალეობა; ქვეყნის ერთგულების, კონსტიტუციისა და კანონების დაცვის მოვალეობა; გადახდისუნარიანობის შესაბამისად სახელმწიფო ხარჯებში მონაწილეობის მიღების მოვალეობა; რელიგიური და ეროვნული შემწყნარებლობის მოვალეობა; მშობლების მოვალეობა შვილების წინაშე და პირიქით; მოვალეობა ოჯახის წინაშე.

აქსიომაა, რომ სამართლებრივი ნორმები, მათ შორის, კონსტიტუციური ნორმები აღიარებენ რა უფლებებს, ვარაუდობენ ვალდებულებებსაც, მიუხედავად მისი ამა თუ იმ ნორმაში ფორმულირებისა. სწორედ ამ ნიშნით განისაზღვრება ნორმის სოციალური ღირებულებაც. მაგრამ მოქალაქის რიგი არსებითი მოვალეობების (მათი განსაკუთრებული პოლიტიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით) კონსტიტუციით დადგენა ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს.

ყველა მეტნაკლებად ცივილიზებული ქვეყნისა და ხალხისათვის მისაღები საერთაშორისო სამართლებრივი აქტი „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ აღიარებს მოქალაქეთა მხოლოდ იმ მოვალეობებს, რომელნიც „სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის, დემოკრატიული მოთხოვნების, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის მიზნით“ დგინდება.

ერს, რომელმაც 1801 წელს შეწყვიტა დამოუკიდებელი ეროვნულ-ტრადიციული სამართლებრივი ცხოვრება, დღეს ქართული კონსტიტუცია ესაჭიროება და არა ამერიკულ-ფრანგული ან რუსულ-თურქულის ქართული თარგმანი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველ ერს სამართლის ავტონომიური ისტორია აქვს და ამიტომ სხვა ქვეყნების სამართლებრივი ნორმების გათავისებამ, თუნდაც ზოგადსაკაცობრიო პრინციპების მიღებამ, არ უნდა დაასუსტოს ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, ისტორიულად ჩამოყალიბებული მართლშეგნება. ქართველმა კაცმა კი, თავის მხრივ, ტრადიციულად იცის; რომ ქართველობა და საქართველოს მოქალაქეობა, უმეტესად, მოვალეობაა ქვეყნის წინაშე. ეს კი ის გზაა, რომელიც დემოკრატიულ და სამართლებრივ საქართველომდე მიგვიყვანს...





ბრიბოლ ერაეოვი

# საქართველოს მთავრობა

(ისტორიული მიმოხილვა)

სახელმწიფო, ყოველ ეპოქაში აუცილებლად შეიცავს საჯარო იძულებით ხელისუფლებას, რომელიც ემსახურება კლასს, ხალხს, ერს და ზოგჯერ სამხედროთაგან შემდგარ განსაზღვრულ ჯგუფს ან საზოგადოებაში შემაჯავალ ამა თუ იმ წოდებას.

„საჯარო ხელისუფლება“ ეს სახელმწიფოს იძულებითი ხასიათის აპარატია, რომელიც, იმის მიხედვით თუ საზოგადოების რა ძალებს ემსახურება იგი, შედგება გარკვეულ ამოცანათა შემსრულებელ ორგანოთაგან: ხელისუფლების, მმართველობის და მართლმსაჯულების, აგრეთვე პროკურატურის ორგანოთაგან როგორც ცენტრალურ დსე ადვილობრივი მასშტაბით.

ჩვენ ამ შემთხვევაში მოგვიწევს ყურადღების შეჩერება საქართველოს რესპუბლიკაში დღეისათვის არსებული სახელმწიფო აპარატიდან მმართველობის და ისიც მისი „ზედა ეშელონების“ ორგანოზე — მინისტრთა კაბინეტზე.

მინისტრთა კაბინეტი ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ანუ მმართველობის ორგანოა, რომელსაც სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერებაში თავისი გამოკვეთილი სახელიც გააჩნია — „მთავრობა“.

მთავრობა იქმნება ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს (პარლამენტის) მიერ და მის წინაშეა ანგარიშვალდებული. მთავრობის აქტები კანონქვემდებარე აქტებია, მაშასადამე, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებანი და განკარგულებანი მიღებულია კანონთა საფუძველზე და მათ შესასრულებლად.

მთავრობას ყოველ ქვეყანაში ჰყავს თავმჯდომარე (პრემიერ-მინისტრი, კანცლერი...), მოადგილეები (ვიცე-პრემიერები) და აერთიანებს მმართველობის ცენტრალური ორგანოების (სამინისტროების, კომიტეტების, ლეპარტამენტების...) ხელმძღვანელებს.

მთავრობა არ სარგებლობს საკანონმდებლო უფლებამოსილებით და არც კანონის განმარტების უფლებით. მას მხოლოდ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ენიჭება.

მთავრობის შექმნის წესი (პრინციპი) და მისი უფლებამოსილება დგინდება სახელმწიფოში მოქმედი კონსტიტუციით და მისგან გამომდინარე კანონებით.

კანონი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 1992 წლის 22 დეკემბერს<sup>1</sup>

იმავე დღესვე საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო დადგენი-

<sup>1</sup> „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის უწყებები“, 1992, № 2, მუს. 97 (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 30 დეკემბერი).



ლება „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“.

დადგენილებით განისაზღვრა, რომ დასახელებული კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნა მიღებისთანავე. დაევალა მინისტრთა კაბინეტს, რათა უზრუნველყოს თავისი დადგენილებებისა და სამინისტროთა და უწყებათა ნორმატიული აქტების გადასინჯვა და გაუქმება და მათი შესაბამისობაში მოყვანა მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონთან. რაც შეეხება მანამდე მოქმედ საკანონმდებლო აქტებს, მინისტრთა კაბინეტს საჭიროებისამებრ წინადადებანი უნდა წარმოედგინა პარლამენტში ამ კანონთან შესატყვისობის თაობაზე.<sup>2</sup>

მინისტრთა კაბინეტს უნდა გააჩნდეს აგრეთვე დეპულეზა. დღეს მოქმედებს ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიერ 1992 წლის აპრილში დატვირთული აქტი — „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დროებითი დებულების სახელწოდებით“.<sup>3</sup>

ისტორიული მონაცემების მიხედვით საქართველოში პირველი ოფიციალური მთავრობა შეიქმნა 1918 წელს, როცა რუსეთის 117 წლის ბატონობის შემდეგ მიღწეულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის ეს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, მისი სახელმწიფოებრიობა იურიდიულად უმაღლეს დონეზე გაფორმდა მისი არსებობის ბოლო დღეებში, როცა დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს დაამტკიცა საქართველოს კონსტიტუცია.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში შეტანილია მეხუთე თავი, რომელსაც ეწოდება „აღმასრულებელი ხელისუფლება“, სადაც ჩაწერილია, რომ „უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას“ (მუხ. 66), მომდევნო მუხლებში კი ლაპარაკია მთავრობის წევრებზე, მთავრობის შექმნის წესზე, მთავრობის კომპეტენციაზე და ა. შ.

მთავრობა ზოგადი ცნებაა, მაგრამ თუ დასახელებული კონსტიტუციით კონკრეტულად რა ერქვა მთავრობას, არ არის აქ ნათქვამი. არის ერთი გამონაკლისი, კერძოდ, მუხლი 73, რომლის ბოლო ნაწილშიც ჩაწერილია, რომ „მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის, ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და აასრულოს იგი და ამის მიხედვით თუ საჭიროა გამოსცვალოს ცალკე მინისტრი ან გარდაქმნას მთელი კაბინეტი“ (ხაზი ჩემია — გ. ე.)

უნდა ითქვას, რომ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 14 მარტს მიიღო სპეციალური დეკრეტი „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენის“ შესახებ და აქაც მისი სახელწოდება ნახსენები არ არის. დეკრეტი ორი მუხლისაგან შედგება: 1. დაევალოს დამფუძნებელი კრების წევრს ნოე ჟორდანიას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენა მისივე თავმჯდომარეობით. 2. მთავრობის თავმჯდომარე იმავე დროს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელია<sup>4</sup>

როგორც ვხედავთ, დეკრეტში ლაპარაკია მთავრობის შედგენაზე და არ არის მითითებული მისი სახელწოდება.

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დღეებში 1921 წლის თებერვალში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უკან დაიხია, მან ჯერ ქუთაისს,

<sup>2</sup> ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 24 დეკემბერი.

<sup>3</sup> ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 17 აპრილი.

<sup>4</sup> „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918—1921“, 1990, გვ. 237.



ხოლო შემდეგ ბათუმს შეაფარა თავი, მაგრამ მას კაპიტულაცია არ მოუზღვნია საბჭოთა რუსეთის ჯარების წინაშე და არც გადამდგარა. 1921 წლის 17 მარტს ღამით და 18 მარტის გათენებისას მთავრობის თითქმის მთელი შემადგენლობა, დამფუძნებელი კრების წევრთა საგრძნობ ნაწილთან ერთად, იტალიის გემით ბათუმიდან საზღვარგარეთ გაემგზავრა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის მისაჩქმალავად 1921 წლის 16 თებერვალს შეიქმნა საქართველოს რევკომი, რომელმაც ხელთ აიღო მთელი ძალაუფლება.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს პირველი მთავრობა, საბჭოთა რუსეთის ანალოგიურად, სახალხო კომისართა საბჭოს („სახკომსაბჭოს“) სახელწოდებით მოქმედებდა. მისი დროებითი შემადგენლობა შედგა 1921 წლის 8 მარტს, იგი შეადგინა იმ დროის ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ, საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა („რევკომმა“ № 2-ე ბრძანებით, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა 12 სახალხო კომისარიატი).<sup>5</sup>

ამ პერიოდში მსოფლიოში სახელმწიფოთა პრაქტიკაში საყოველთაოდ მიღებული იყო სახელწოდებანი „სამინისტრო“ და „მინისტრთა საბჭო“. ყოფილ სსრ კავშირში და მასში შემავალ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში კი მათ ნაცვლად დამკვიდრდა სახელწოდებანი „სახალხო კომისარიატი“ და „სახალხო კომისართა საბჭო“, ეს ალბათ იმ თვალსაზრისით, რომ უფრო თვალსაჩინოდ დაესაბუთებინათ რევოლუციის შედეგად ძველი სახელმწიფო აპარატის მსხვერვა და ახალი აპარატის შექმნის აუცილებლობა.

მთავრობის შემადგენლობის ეს განსხვავებული სახელწოდებანი დიდი ხელშემშლელი არ იყო პირველი პერიოდის საბჭოურ სამყაროსა და უცხოეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობაში, რადგან მათ შორის შემხები ძაფები უფრო ურთიერთ დაშორების ტენდენციებით ხასიათდებოდა, ვიდრე დაკავშირებით. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კი, პირიქით, ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობა უფრო გაფართოვდა და ამ მიმართებით ხელშეშლაც გამოიკვეთა. ამის გამო 1946 წლის 15 მარტს სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ მიიღო კანონი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდ და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებად გარდაქმნის შესახებ.<sup>6</sup>

ეს ცვლილებანი აისახა საბჭოთა კონსტიტუციებში მათ შორის საქართველოს სსრ და მასში შემავალი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებშიც, სადაც სიტყვები „სახალხო კომისარიატი“ და „სახალხო კომისართა საბჭო“ შეიცვალა სიტყვებით „სამინისტრო“, „მინისტრთა საბჭო“. კერძოდ, საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციაში ეს ცვლილება შეტანილ იქნა საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის მიერ 1946 წლის 8 აგვისტოს.<sup>7</sup> ამრიგად, ამ პერიოდიდან საბჭოურ სამყაროშიც აღდგა „სახელმწიფო პრაქტიკაში საყოველთაოდ მიღებული სახელწოდებანი“.

მთავრობის ეს სახელწოდება საქართველოში დარჩა 1991 წლის 26 აგვისტომდე, ამ დღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი

<sup>5</sup> უკრ. „მოამბე“, 1921, № 2, გვ. 9.

<sup>6</sup> სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია, სტენოგრაფიული ანგარიში, 1946.

<sup>7</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეათე სესია, სტენოგრაფიული ანგარიში, 1949, გვ. 323—331, 373—375.



ნი „საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შემოღების და მასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.<sup>8</sup>

კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებებს ამ შემთხვევაში საფუძვლად უდევს კანონის პირველივე მუხლში ჩაწერილი დებულება იმის შესახებ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ნაცვლად შემოდებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, როგორც საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებელ განმკარგულებელი ორგანო“.

ამ კანონის მიღება დაკავშირებულია იმასთან, რომ საქართველოს საპრეზიდენტო რესპუბლიკა გახდა, სწორედ ამიტომ მაშინ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით და თავის უფლებამოსილებას იხსნის საქართველოს რესპუბლიკის ახლად არჩეული პრეზიდენტის წინაშე“.

ამ კანონის მიღების მომდევნო დღეს, ე. ი. იმავე წლის 27 აგვისტოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“, იგი შედგება 32 მუხლისაგან.<sup>9</sup>

აღსანიშნავია, რომ მართლაც, საქართველოს რესპუბლიკის მაშინდელ კონსტიტუციაშიც და ამ კანონშიც სიტყვა „მთავრობის“ ნაცვლად ყველგან ჩაიწერა „მინისტრთა კაბინეტი“ და არცერთხელ არ არის ნახსენები, რომ „მინისტრთა კაბინეტი“ ეს მთავრობაა ახალი სახელწოდებით.

საქართველოს რესპუბლიკის მაშინ მოქმედ კონსტიტუციაში ცვლილებები და დამატებები შეტანილია 1991 წლის ოქტომბრის ბოლომდე. მისი მე-14 თავი ეთმობა „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს“, მასში 9 მუხლია (122 – 130) და არცერთ მათგანში საქართველოს რესპუბლიკის „მინისტრთა კაბინეტი“ არ არის მიჩნეული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობად.

ცნობილია, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით ავტონომიური რესპუბლიკა მიჩნეულია სახელმწიფოდ, მაშასადამე, მასაც გააჩნია მთავრობა. ასეთი მისთვის არის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც ჩასწორდა და დაიბეჭდა 1991 წელს, სტოვებს ამ სინონიმურ გამოთქმებს „მთავრობას“ და „მინისტრთა საბჭოს“ (მუხ. 133).

ზვიად გამსახურდიას რეჟიმი საქართველოში გავრძეულა 1990 წლის 10 ოქტომბრიდან 1992 წლის 2 იანვრამდე. ასეთი რეჟიმის შეიარაღებული დამხობა იკისრა, ეგრეთ წოდებულმა, სამხედრო საბჭომ.

სამხედრო საბჭოს შექმნაზე ოფიციალურად მითითებულია საქართველოს დროებითი მთავრობის მიმართვაში „გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებისადმი“, რომლის მიხედვითაც არსებული დიქტატორული რეჟიმის დამხობის მიზნით... თბოზიციურმა შეიარაღებულმა ძალებმა შექმნეს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო, რომელმაც გადააყენა პრეზიდენტი, შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება, დაითხოვა პარლამენტი, დედაქალაქში შემოიღო საგანგებო წესები და შექმნა დროებითი მთავრობა“.<sup>10</sup>

1992 წლის 3 იანვრის დათარიღებით საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს სახელით, თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის ხელმოწე-

<sup>8</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 28 აგვისტო.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 10 იანვარი.



რით, ცხადდება მიმართვა საქართველოს მოსახლეობასადმი „დიქტატორული რეჟიმი დამხობილია“. მასში მითითებულია, რომ „საქართველოს სახელმწიფო მართვის ყველა სტრუქტურა ემორჩილება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს... პოლიტიკურ პარტიებს მიეცათ წინადადება შექმნან საკონსულტაციო დარბაზი... საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულება დროებით დაევალა ბატონ თენგიზ სიგუას... მთავრობის კაბინეტის ჩამოყალიბებისთანავე სამხედრო საბჭო მოიხსნის უფლებამოსილებას და ძალაუფლებას გადასცემს მთავრობას“.<sup>11</sup>

1992 წლის 21 იანვარს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ ქვეყნდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება „დროებითი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ“, სადაც ჩაწერილია, რომ „შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან დროებითი საკონსულტაციო საბჭო და დროებითი მთავრობის მიერ მისაღები გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ საკითხებზე განხილულ იქნეს პოლიტიკურ საკონსულტაციო საბჭოსთან ერთად“. ამ დადგენილებით დასახელებულ საბჭოს შემადგენლობაში მოწვეულ იქნა 38 გამოჩენილი მოღვაწე.

სამხედრო საბჭო მოქმედებდა 1992 წლის 10 მარტამდე. ამ დღეს სამხედრო საბჭომ გამოაქვეყნა თავისი უკანასკნელი აქტი „დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შექმნისა და საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს უფლებამოსილებათა შეწყვეტის შესახებ“. ამით სამხედრო საბჭომ თვითლიკვიდაცია მოახდინა. ამ დადგენილების ბოლო პუნქტში ჩაწერილია, რომ „შეწყდეს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს უფლებამოსილება საქართველოს სახელმწიფო საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით“.

სახელმწიფო საბჭო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო საქართველოში, მაგრამ იმთავითვე გათვალისწინებული იქნა როგორც დროებითი ხასიათის ორგანო. მისი შემადგენლობა განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან არსებული პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წევრების, საზოგადოებრიობის, ავტონომიური რესპუბლიკების და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის გათვალისწინებით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ თავის პირველივე (1992 წლის 10 მარტის) სხდომაზე დაამტკიცა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე და სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი.<sup>12</sup>

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ დატოვა დროებითი მთავრობა, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, ხოლო 1992 წლის 21 მაისს დაამტკიცა „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულება“<sup>13</sup> რომლის შესაბამისადაც 1992 წლის 11 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. იმავე წლის 4 ნოემბერს გაიხსნა პარლამენტის საშემოდგომო სესია. ამის შედეგად ამოიწურა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ფუნქციები.

პარლამენტის პირველივე სესიაზე რწმუნება მოიხსნა და იგი პარლამენტს გადასცა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ.<sup>14</sup>

<sup>11</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 8 იანვარი.

<sup>12</sup> იხ. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელობის შესახებ“. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 11 მარტი.

<sup>13</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 23 მაისი.

<sup>14</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 5 ნოემბერი.



1992 წლის 6 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარედ დანიშნა დეპუტატი თენგიზ სიგუა,<sup>15</sup> ხოლო მინისტრთა კაბინეტის წევრთა შემადგენლობა ძირითადად შეავსო იმავე წლის 24 და 25 ნოემბერს.<sup>16</sup>

როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა 1992 წლის 6 ნოემბერს მიიღო კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილებას, მათი მოწყობისა და საქმიანობის წესს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე. დასახელებული კანონის მიხედვით მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებას, მისი მოწყობისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს ეს კანონი და კანონი მინისტრთა კაბინეტის შესახებ (იხ. მუხ. 25-ე).<sup>17</sup>

კანონი „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1992 წლის 22 დეკემბერს, იგი შედგებოდა ოთხი თავისა და 31 მუხლისაგან.<sup>18</sup> ამ კანონის მიღების იურიდიულ ბაზას წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, კერძოდ, მისი მეხუთე თავი „მინისტრთა კაბინეტი“.

აქ აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მინისტრთა კაბინეტი, იგი შედგება პრემიერ-მინისტრის, მისი მოადგილეებისა და მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებისაგან, მის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან აგრეთვე საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები.

აქვე დაკანონებულია, რომ მინისტრთა კაბინეტი პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის წინაშე, რომ მას სტრუქტურას საბოლოოდ ამტკიცებს რესპუბლიკის პარლამენტი, რომ პარლამენტი წვევებს პრემიერ-მინისტრისა და საერთოდ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის ნდობის საკითხს. აქვე ლაპარაკია მინისტრთა კაბინეტის აქტებზე, მინისტრთა კაბინეტის წევრთა უფლებაზე მონაწილეობა მიიღონ პარლამენტის და მისი მუდმივი კომისიების მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

ამ ზოგადი დებულებების შესაბამისად კანონი „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ შედარებით დეტალურად და მრავალმხრივად ადგენს საკითხებს მინისტრთა კაბინეტის შექმნის, შემადგენლობის, ძირითადი მიმართულებების, კომპეტენციის და სხვათა შესახებ. აქვე სრულად არის ჩამოთვლილი მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურაში შემავალი სამინისტროებისა და კომიტეტების ნუსხა (მუხ. 25).

სავსებით სწორად მოიტკა „საქართველოს პარლამენტი, როცა დასახელებულ კანონში ამომწურავად ასახილებს მინისტრთა კაბინეტში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს. ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიმაჩნია, რომ პარლამენტის წევრთა საყურადღებოდ წამოვყენოთ წინადადება, რათა ასეთი დასახელებანი არ შევიტანოთ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის შესახებ საქართველოს მიმავალ კონსტიტუციაში. ამ მოთხოვნას თავისი ახსნა აქვს. ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული სახელმწიფოს აგების პროცესში გზადაგზა მრავალი


15 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 13 დეკემბერი.

16 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 26 ნოემბერი.

17 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 10 ნოემბერი.

18 „საქართველოს პარლამენტის უწყებები“, 1992, № 2, მუხ. 97.





ზიგზაგის გაკეთება მოგვიწევს, შეიძლება ხშირად მოგვიხდეს სამინისტროს, კომიტეტის, დეპარტამენტის და ა. შ. შეცვლა, გაუქმება, ახალის ჩამოყალიბება. ეს ორგანოები კონსტიტუციაში რომ იყოს დასახელებული, თითოეულ ასეთ შემთხვევაში მასში ცვლილების შეტანა უდავოდ უხერხულობას გამოიწვევს, ამის ნაცვლად კი ეს ცვლილებანი შეიტანება კანონში მინისტრთა კაბინეტის შესახებ, რაც შედარებით უფრო გაიოლებული გზით მოხდება.

როცა მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურაზე ვლაპარაკობთ, ფაქტობრივად რესპუბლიკის მმართველობის აპარატის სისტემაზე ვმსჯელობთ. ამ მხრივ ჩვენ გაგვანია მმართველობის უმაღლესი, ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები.

მმართველობის უმაღლესი ორგანოა მინისტრთა კაბინეტი, რომელიც წარმოადგენს საერთო კომპეტენციის მქონე კოლეგიალურ ორგანოს.

მმართველობის ცენტრალურ ორგანოებს მიეკუთვნებიან სამინისტროები, კომიტეტები, დეპარტამენტები და ა. შ.

ცენტრალური ორგანოების გაერთიანება ქმნის მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურას. დღეს მოქმედი დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის შესახებ“ მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 1993 წლის 7 სექტემბერს. ამის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ახალ სტრუქტურაში შედის 16 სამინისტრო, 5 კომიტეტი, 18 დეპარტამენტი, 3 ინსპექცია, 4 კორპორაცია და კონცერნი.<sup>19</sup>

სამინისტრო დარგობრივი, სპეციალური კომპეტენციის მქონე, ერთმართველობის საფუძველზე მოქმედი ორგანოა.

კომიტეტი, სამინისტროსაგან განსხვავებით, სადარგოთაშორისო ორგანოა, ამიტომ იგი კოლეგიალური ორგანოა, თუმცა კომიტეტის თავმჯდომარეს აქვს ერთმართველობის ფუნქციებიც.

მინისტრს მხოლოდ ბრძანების გამოცემის უფლება აქვს, კომიტეტის ხაზით კი, გარდა ბრძანებისა, შეიძლება აგრეთვე გამოქვეყნდეს დადგენილებაც.

კომიტეტის აქტი, გარდა კომიტეტის სისტემაში შემავალი ორგანოებისა და დაწესებულებებისა, შეიძლება აგრეთვე სავალდებულო იყოს სამინისტროებისთვისაც, ამაში არის მისი სადარგოთაშორისო მოქმედების ხასიათი.

რაც შეეხება მინისტრის აქტს, იგი სავალდებულოა შესასრულებლად მხოლოდ მოცემული სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანოებისა და დაწესებულებებისათვის. მაგალითად, განათლების მინისტრის ბრძანება, მრეწველობის მინისტრის ბრძანება და ა. შ. ეხებათ მხოლოდ დასახელებული დარგების მუშაკებს. მაგრამ, აქაც გვაქვს გამონაკლისი. გაგვანია სამინისტროები (ჯანმრთელობის დაცვისა და ფინანსთა), რომელთაც აქვთ კონტროლის უფლება თავიანთ სფეროებში ყველა ორგანოსადმი, მიუხედავად მათი უწყებრივი ქვემდებარეობისა. ეს კი სადარგოთაშორისო ხასიათის მოქმედებაა, მაგრამ როგორც ითქვა, ეს გამონაკლისია.

რაც შეეხება მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, მათ მიეკუთვნებიან სასოფლო, სადაბო, სარაიონო, საქალაქო გამგეობები (გამგებლები) და ქალაქების მერიები, ხოლო ხელისუფლების ორგანოებს კი — შესაბამისი საკრებულოები.

მმართველობის ორგანოთა სისტემა იქმნება ხელისუფლების ორგანოთა სისტემის პარალელურად და ყველა მათი ფუნქციები ღვინდება რესპუბლიკის მი-

<sup>19</sup> იხ. პარლამენტის სსდომის დღიური (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წლის 14 აგვისტო).



რითადი კანონით ან მისგან გამომდინარე სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტების.

დღეისათვის საქართველოში მოქმედებაშია კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, კანონი „საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ და სხვ. კანონები.

სახელმწიფოს ყოველი ორგანო დროთა ვითარებაში სრულყოფილი ხდება. ცხოვრებისეული გამოცდილება აზუსტებს მის საქმიანობას ან წყვეტს მომავალში მის ყოფნა-არყოფნის საკითხს. ასე მოუვიდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრეზიდენსაც. კანონში „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ 21-ე, 24-ე და 27-ე მუხლებში ლაპარაკია „მინისტრთა კაბინეტის მუდმივი ორგანოს მინისტრთა კაბინეტის პრეზიდენტის“, მისი შემადგენლობისა და ფუნქციების შესახებ, მაგრამ დღეისათვის მინისტრთა კაბინეტის პრეზიდენტი გაუქმებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

თავისი არსებობის როგორი გზა განვლო ამ ორგანომ? ყოფილ სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის ძალაში ყოფნის პერიოდში გათვალისწინებული იყო მცირე სახკომსაბჭოს არსებობა, მის შემადგენლობას ამტკიცებდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო. ლიტერატურაში არის მითითება იმის შესახებაც, რომ პირველ წლებში სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებობდა „განსაკუთრებული მუდმივი კომისია“, სახკომსაბჭოში გასატანი საკითხების მოსამზადებელი კომისია“, ხოლო რსფსრ სახკომსაბჭოსთან კი „მცირე სახკომსაბჭო“. <sup>20</sup> ვფიქრობთ, ეს ორგანოები ითვლებოდა მთავრობის მომავალი პრეზიდენტის წინაპრად.

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციით ასეთა ორგანოს არსებობა გათვალისწინებული არ იყო. მეორე მსოფლიო ომის (1941—1945 წ. წ.) პერიოდში, უფრო მოქნილი, სწრაფი და ზუსტი მუშაობისათვის, 1944 წლის მაისის თვიდან ასეთი ანალოგიური ორგანო სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან შეიქმნა ბიუროს სახელწოდებით, რომელსაც 1953 წლიდან ეწოდა პრეზიდენტი.

ანალოგიური ცვლილებები მაშინ ხდებოდა მოკავშირე რესპუბლიკებშიც, ხოლო საბჭოთა წყობილების გაუქმებისა და სსრ კავშირის დაშლის შემდეგ კი საქართველოში ინერციით შემონარჩუნებულმა მინისტრთა საბჭომ და შემდეგ კი მინისტრთა კაბინეტმა შემოინახა აგრეთვე მისი პრეზიდენტის არსებობაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ ეს ორგანო, ე. ი. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრეზიდენტი, გააუქმა საქართველოს პარლამენტმა 1994 წლის 15 მარტის კანონით „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“. ამ შესწორების შედეგად მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონის 27-ე მუხლი ამოღებულ იქნა, მასში კი მინისტრთა კაბინეტის პრეზიდენტის არსებობაზე და მის ფუნქციებზე იყო მითითებული ხოლო დანარჩენ (21, 24, 28, 31-ე) მუხლებში შეტანილ იქნა შესწორებანი. <sup>21</sup> მაგალითად, დასახელებული კანონის 24-ე მუხლით

<sup>20</sup> სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) მიერ 1923 წლის 12 ნოემბერს, მესამე და მეოთხე მუხლებში ლაპარაკია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მუდმივი კომისიების შესახებ და აქ ორივე შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობით არის მოხსენებული „საკანონმდებლო განზრახვლებათა მუდმივი კომისია“, რომელიც შეიქმნა მივიჩნით სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მომავალი პრეზიდენტის ტოლფასად.

<sup>21</sup> ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994 წლის 24 მარტი.




გათვალისწინებული იყო, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმს შეუძლია მოსთხოვოს ანგარიში ყველა მინისტრს, კომიტეტის თავმჯდომარეს და საქვეუწყებო ორგანოს ხელმძღვანელს“, ფაქტია, რომ პრეზიდიუმის არსებობის გამო ეს უფლებები მომავალში უშუალოდ მინისტრთა კაბინეტის მიერ განხორციელდება, ასე რომ პრეზიდიუმის გაუქმება არ ნიშნავს მინისტრთა კაბინეტის კონტროლის უფლების შესუსტებას.

მინისტრთა კაბინეტს თავისი მუშაობის განხორციელების მიზნით ესაჭიროება სპეციალური აპარატი, რომლის ამოცანაცაა მოამზადოს მინისტრთა კაბინეტის სხდომისთვის მასალები, შეამოწმოს სამინისტროებისა და უწყებებისათვის მიცემულ დავალებთა შესრულება, მოამზადოს მინისტრთა კაბინეტში განსახილველი აქტების პროექტები და ა. შ.

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლით მინისტრთა კაბინეტის აპარატს სათავეში უდგას მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველი. აპარატის მუშაკთა უფლებებს, მოვალეობებს და პასუხისმგებლობას განსაზღვრავს აპარატის დებულება, რომელსაც ამტკიცებს თვით მინისტრთა კაბინეტი. დებულებით მინისტრთა კაბინეტის აპარატში შედიან სახელმწიფო მრჩეველები, იქმნება განყოფილებანი, სამმართველოები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები.

როგორც ვხედავთ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, მინისტრთა კაბინეტი მმართველობის უმაღლესი კოლევიალური ორგანოა, რომელიც ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების ორგანოთა გვერდით სარგებლობს დამოუკიდებლობის იურიდიული უფლებამოსილებით ხალხის სუვერენიტეტის დაცვისათვის მოქმედ ერთიან დემოკრატიულ სახელმწიფოს სისტემაში.





**„მცოცხლოვ,**

**რამათუ მშაჲს...“**



ჟურნალ „სამართლის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ბელა ბერაქინიშვილი შეხვდა და ესაუბრა სახელმწიფო და სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განყოფილების უფროსს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ცნობილ მეცნიერს ბატონ ბიორბი ნადარეიშვილს. ვფიქრობთ, მკითხველს დაინტერესებს ამ ინტერვიუში წამოჭრილი საკითხები.

\* \* \*

— ბატონო გიორგი, დამეთანხმებით, ალბათ, რომ განსაკუთრებით, ამ უკანასკნელ ხანს, თითქმის საზოგადოების ფართო ფენებს, არ გააჩნიათ ინფორმაცია თუ რას აკეთებენ მეცნიერები. არსებობს მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მაგრამ ხალხმა ცოტა რამ იცის მათი საქმიანობის შესახებ. მაგანმა იოხუნჯა კიდეც: საჭიროა შეიქმნას კიდეც ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თუ რას აკეთებენ ან აფუჭებენ დანარჩენი ინსტიტუტებიო.

— ეს ოხუნჯობა თუ ნაკვესი მეც გამიგონია ამ ათიოდე წლის წინათ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ხანაში მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის რას აკეთებენ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ცალკეული მკვლევარები. ეს დიდი საკითხია. თანდათან ეს ნაკლი გასწორდება. მაგრამ ამჯერად სჯობს უფრო კონკრეტულად ქისაუბროთ.

— კეთილი... მაგალითად, გასული ათი წლის განმავლობაში რა გააკეთა, ან ამჟამად რას აკეთებს სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტის ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განყოფილება, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ?

— ჩვენი განყოფილება, რომელიც თავის მეცნიერ-თანამშრომელთა სიმრავლით არასოდეს გამოირჩეოდა, ვფიქრობ, ერისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებდა და აკეთებს. კერძოდ, განყოფილების თანამშრომლებს შორის განსაკუთრებით მინდა გამოვეყო მხცოვანი დავით ფურცელაძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რომელმაც მაღალ მეცნიერულ დონეზე გამოსცა ძეგლები: „სამოქალაქოს მსახურეობა“, „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“. ავტორმა ხსენებულ წიგნებს თან დაურთო მეცნიერული გამოკვლევებიც. მანვე რუსულად თარგმნა და სათანადო კომენტარებით და სამეცნიერო გამოკვლევითურთ გამოსცა ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი. 1980 წელს გამოცემული ხსენებული ნაშრომი არა მარტო დედნის ადექ-



ვატური თარგმანია, არამედ თვით სამართლის წიგნის შესახებ კაპიტალური გამოკვლევაცაა, ხსენებულ წიგნს მიენიჭა აკად. ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობის პრემია და დამსახურებულად.

დავით ფურცელაძესვე ეკუთვნის გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნის რუსული თარგმანი, რომელსაც თან ერთვის მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევაც ხსენებული ძეგლის შესახებ. 1985 წელს დ. ფურცელაძემ თარგმნა სამართალი კათალიკოსთა და ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტები...“ მისივე რედაქციით და კომენტარებით დაიბეჭდა ვ. დუნდუას მიერ რუსულად თარგმნილი ხელმწიფის კარის გარიგება. დ. ფურცელაძემვე თარგმნა „მეფის კურთხევის წესი“, ხსენებულ გამოცემას თან ერთვის უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა მეცნიერის დავით ნადირაძის მიერ ინგლისურად თარგმნილი მეფის კურთხევის ტექსტიც.

ავტორს რუსულად თარგმნილი აქვს რუის-ურბნისის ძეგლის წერაც, XII საუკუნის ქართული საეკლესიო სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი. ეს უკანასკნელი ჯერ არ არის გამოცემული.

გარდა ზემოხსენებულისა დავით ფურცელაძეს გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი სამეცნიერო წერილები ქართული სამართლის რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე, მაგალითად, „მეძკვიდრეობის ქალაქური წესის“ შესახებ XVIII საუკ. თბილისში, ე. წ. „სხვისშვილობის“ ორიგინალური ინსტიტუტის შესახებ, „შეყრილობის“ (ოჯახთა გაერთიანების) სოციალური პრაქტიკის შესახებ და ა. შ. დამეთანხმებით, რომ ერთი მეცნიერისთვის ეს არ არის ცოტა..

ცალკე უნდა მოვასხენოთ აწ განსვენებული მეცნიერის — 1982 წლამდე ქართულ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის — აკად. ისიდორე დოლიძის ღვაწლი. 1985 წელს, მეცნიერის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ დამთავრდა მის მიერ წამოწყებული პუბლიკაციის „ქართული სამართლის ძეგლების“ რეატიომეული. თითოეული მისი ტომი თავისი მოცულობით ორ-სამ წიგნსაც კი მოიცავდა. ისიდორე დოლიძემ ოცდაათი წელი იმუშავა ქართული სამართლის ძეგლებზე და გამოაქვეყნა სამი ათას რეასზე მეტი დასახელების დიდი თუ მცირე მოცულობის სამართლებრივი შინაარსის ძეგლი, რომ არაფერი ვთქვათ ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულის გამოცემისა და თვით ამ ძეგლის შესახებ დაწერილ გამოკვლევის შესახებ, რომელმაც თავის დროზე აკად. ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურა.

ქართული სამართლის ისტორიის სფეროში ამჟამად მუშაობენ ნიჭიერი მკვლევარები — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ბენარინ ზოიძე, დოცენტები სულხან გოგინავა და იაკობ ფუტკარაძე, აგრეთვე თ. ჯაფარიძე, გონა ფერაძე და სხვები.

— კარგად მესმის, რომ საკუთარ თავზე ლაპარაკი, მითუმეტეს ხელმძღვანელს, გუუხერხულებათ, მაგრამ, ვთხოვთ, დაწერილებით ვააცნოთ ჩვენს მკითხველს პირადად თქვენი საქმიანობის შესახებ. რამდენადაც მე ვიცი, თქვენ საერთო ჯამში ორასზე მეტი დიდი თუ მცირე მოცულობის ნაშრომი გაქვთ გამოქვეყნებული. აქედან ათი ცალკე წიგნად გაქვთ გამოცემული. მაინტერესებს რა ახალი მოსაზრებები, იდეები გაქვთ მათში გამოთქმული? რა გაგიკეთებიათ ისეთი, რაც ახალი სიტყვა იყო ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებაში ან საერთოდ მეცნიერებაში?

— როცა ვლაპარაკობთ სამეცნიერო ნაშრომზე, სტატია იქნება ის თუ წიგნი, ვგულისხმობთ ისეთ მკითხველს, რომელსაც სურს რაიმე ახალი გაიგოს და შეისწავლოს, მაშასადამე, ისეთ პიროვნებას, რომელიც სწავლვიანად აზრო-



ნებს. წავიდა ავტორიტეტის მიმართ ბრმა რწმენის ხანა. ადამიანებს მკაცრად არგუმენტირებული დასკვნები სჭირდებათ.

ავილოთ ასეთი მაგალითი, ფეოდალური ხანის ქართულ დოკუმენტებში იყო რიდიული გამოთქმა — კლაუზულა — „უჯუარობით დამტკიცება“, რას უნდა ნიშნავდეს ის? ყველა ასეთი საბუთის ერთმანეთთან შეჯერების შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ ის წყველა-კრულვას უკავშირდება. საბუთის შემდგენელი ან შემდგენლები, მასში დაწესებული „რივის“ — ანდერძის, განჩინების და ა. შ. დარღვევისათვის დამნაშავეს ემუქრებიან ჯვარით შეჩვენებით და წყველა-კრულვით.

ქართულ საბუთებში და სამართლის წიგნებში გვხვდება ტერმინი „ჯერი“, რომლის მნიშვნელობაც არ იყო გამორკვეული. წლების განმავლობაში შევისწავლე ყველა ასეთი წერილობითი წყარო და მივიღე დასკვნა, რომ „ჯერი“ ნიშნავდა განსაწმენდელ ფიცს. ამის შედეგად შეიძლება რიგი საბუთებისა და სამართლის წიგნის მუხლების სათანადოდ ჩასწორება. ამიერიდან შესაძლებელი ხდება არაერთი იურიდიული დოკუმენტისა და სამართლის წიგნთა მუხლების სწორად გაგება და ინტერპრეტაცია.

XIV საუკუნის სამართლის წიგნის — ბექა მანდატურთუხუცესის სჯულის ერთერთი მუხლი იხსენიებს „ალაგისა და გვარის წესს“. გამოვარკვეე, რომ „ალაგის წესი“ ე. წ. მეზობლური თემისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულება, ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის ნორმაა. ხოლო „ალაგი“ უნდა იყოს სასოფლო თემის აღმნიშვნელი უძველესი ქართული ტერმინი. რაც შეეხება „გვარის წესს“ — ესაა გვაროვნული თემისათვის დამახასიათებელი წინასამართლებრივი ნორმა, რომელიც არსებობას განაგრძობდა კლასობრივ, ცივილიზებულ საზოგადოებაშიც. „გვარის წესი“ შეესიტყვისება რომის სამართლისთვის დამახასიათებელ „გენტლიკუს იუს“-ს. ყურადღებას იქცევს თვით სიტყვა-ტერმინი „წესი“. ის, ერთ-ერთი უძველესი ქართული იურიდიული ტერმინია. ეგონათ, რომ „წესი“ სომხურიდან შემოვიდა ქართულში. ეს აზრი ახლა უნდა უარვეყოთ. დიდი სომეხი სწავლული ჰ. აჭარიანის აზრითაც „წესი“ ქართულიდან არის შესული სომხურში და ამიტომაც ქართულში გამოირჩევა სიტყვა-წარმოებითი მრავალფეროვნებით. „წესი“ ჩანს ჯერ წინარესამართლის გამომხატველ სიტყვად, შემდეგ მიკროტერიტორიული ერთეულისათვის დამახასიათებელი ჩვეულებითი სჯულის ნორმად. პირველად „სჯული“, იგივე სამართალი, ამ წესებიდან აღებული საერთო ნორმების კრებადობას გულისხმობდა, „წესი“ ისე შეეფარდებოდა სამართალს, როგორც კერძო — ზოგადს.

გამორკვეული მაქვს ქართული „ნასყიდობის წიგნებისათვის“ დამახასიათებელი იურიდიული კლაუზულის „ავიღე ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩემი გული „შეჩერდებოდა“-ს წარმომავლობა და რეალური შინაარსი მისი შეჯერებით შუმერულ, ბაბილონურ და ეგვიპტურ შესატყვის მასალებთან. ეს კლაუზულა უკავშირდებოდა ადგილ-მამულის უკუმოსყიდვის ჩვეულებას და მის წინააღმდეგაც ჩანს მიმართული... თანაც გულის შეჯერების ფორმულა მიგვითითებს იმის შესახებ, რომ სამართალში რელიგიური რიტუალიც ერთ დროს გარკვეულ როლს თამაშობდა.

გამოვარკვეე ფეოდალური ხანის ქართული საოჯახო სამართლის ძირითადი ნიშნები. დავადგინე, რომ საქართველოში მოქმედებდა მეუღლეთა ქონებრივი განკერძოებულობის პრინციპი და ა. შ. სიახლენი, რომელიც გამოძიოქვია ამ უკანასკნელი ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში, რაც ჩემს ნაშრომებში იბეჭდება, ცხადია საყურნალო წერილში ვერ ამოიწურება. გამოვარკვეე,



რომ საჯარო სასჯელების როლი ქართულ სამართალში XI-XVIII საუკუნეებში უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დღემდე ეგონათ.

გამოვარკვით, რომ „პატრონობა“ სიტყვას რუსთაველთან ერთგან საკუთრების მნიშვნელობა აქვს. „საკუთრება“ და „პატრონობა“ აქა-იქ პარალელურად გამოხატავენ საკუთრების ზოგად ცნებას..., მაგრამ „პატრონობამ“ საბოლოოდ „საკუთრებას“ დაუთმო ადგილი.

გამოვარკვით, რომ რუსთაველთან „ბედის გამოცვლის“ იდეაა გატარებული და რომ კეთილი ბედი შეიძლება ღმერთმა ცუდი ბედით შეუცვალოს იმ პირს, ვინც უზნეოდ მოიქცევა. ასე რომ, „ბედი“ თვით ადამიანის ქცევაზე დამოკიდებული ჩანს რუსთაველთან.

გამოვარკვით, რომ შ. რუსთაველი იცნობდა ჩინურ ლიტერატურას და პირველყოვლისა ე. წ. შიძინს — „სიმღერების წიგნს“, რომლის ტექსტიც, მართლაც, ქვის სტელაზე იყო აღბეჭდილი ძველ ჩინეთში... ის გარემოება, რომ XII საუკუნის საქართველოში სანდო ინფორმაცია გააჩნდათ ჩინური ლიტერატურის შესახებ, იმაზე მივითითებ, რომ ამ ინფორმაციის მომპოვებლებიც იყვნენ, ალბათ, ვაჭრებისა და მოგზაურების სახით. არ არის გამორიცხული სამართლებრივი ხასიათის ინფორმაციების მიღებაც.

გამოთქმული მაქვს მოსაზრება, რომ რუსთაველთან ნახსენები სოციალური ტერმინი „ახსნილი“ ქართული სამართლის ძეგლების „მოკიდებულის“ საწინააღმდეგო ცნებაა. დამტკიცებული მაქვს, რომ საჯარო, სახელმწიფო სასჯელების გამოყენების არეალი და მნიშვნელობა უფრო მეტი იყო სინამდვილეში, ვიდრე ეს დღემდე ეგონათ. გარდა ამისა, მითითებულია, რომ სახელმწიფო სასჯელების გვერდით თანაარსებობდა ე. წ. კერძო სასჯელებიც. ბარის რევიონებში კერძო სასჯელების გამოყენების არეალი უფრო შეზღუდული იყო, ვიდრე მთაში. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ნარატიული, ე. წ. მოთხრობითი ხასიათის წყაროების მიხედვით სახელმწიფო სასჯელების როლი უფრო მნიშვნელოვანი ჩანს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით სამართლებრივი ძეგლების ხანხილვის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ. ამიტომაც, ჭეშმარიტების ინტერესების გათვალისწინებით ყველა სახეობის წყარო ერთობლივ და კომპლექსურად უნდა იქნას შესწავლილი. აღმოჩნდა, რომ ქართული სისხლის სამართლებრივი სასჯელების შესწავლის თვალსაზრისით პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო სამართლებრივი ხასიათის ძეგლი — „დასტურლამალი“... აგრეთვე, ერეკლე მეორის ზეობის წლების კანონმდებლობა, განსაკუთრებით მორიგის ლაშქრობის განაჩენი...

განსაკუთრებულად ფასეულია და მეცნიერებისათვის ხელიხელ საგომანებელ მარგალიტებს წარმოადგენენ სასამართლო პრაქტიკის მასალები... მათი უდიდესი ნაწილი გამოქვეყნებულია „ქართული სამართლის ძეგლების“ რეატიომეულში... აქ ჩვენ ვხვდებით როგორც პატრიარქალურ ყოფასა და მათ შესატყვის სამართლებრივ იდეებს, ასევე საშუალო საუკუნეებისთვის შედარებით პროგრესულ სამართლებრივ იდეებსაც... მოვიტანთ ორიოდე მაგალითს: ერთი საბუთის თანახმად უახლოეს ნათესავეებს უპირატესი უფლება აქვთ შეისყიდონ საგვარეულო მიწა-ალაგი. მამ მმას ფასდაკლებით უნდა მიყიდოს ადგილ-მამული... ეს ძველი პატრიარქალური ყოფის ნაშთია. მეორე ძეგლის მიხედვით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აძლევს კანონი არ სჯის. კანონმდებელი დამნაშავეს ოქროს კიბეს აწვდის საზოგადოებრივი მშვიდობის გზაზე გამოსავლელად.. დამნაშავის თვითგამოსწორებას კანონმდებელი მიესალმება...

დადგა დრო დიდი შემაჯამებელი სამუშაოებისა. უკვე შეიძლება დაიწეროს მრავალტომიანი „ქართული სამართლის ისტორია“ ან „ქართული სამარ-



თლის ისტორიის ნარკვევები“ მაინც აქვე გვახსენდება ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „აღდგენა ისტორიისა, ერის გამოცხადებაა, გამოხსნევაა, აწმყის დაგვიყოს“ და წარმართვაა, მერმისის გამოკვლევაა სიძნელისაგან“.

— სამწუხაროდ, ამჟამად საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული მევახშეობა. ამან საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი მძიმე პირობებში ჩააყენა. საინტერესოა, ძველი ქართული სამართლის ნორმების მიხედვით დებიტორი ისევე განწირული თუ იყო მონობისათვის კრედიტორის წინაშე, როგორც ძველ რომში, ან თუნდაც დღევანდელ საქართველოში?

— ქრისტიანული ეკლესია ცდილობდა, რომ როგორმე შეეზღუდა მევახშეობა. ეს ძნელად განსახორციელებელი საქმე იყო. თუმცა გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნი ამბობდა, რომ „სარგებელი არც ქართველთა სჯულსა შიგან ძეს წესად, რომ აღიღონ და არც სხვათა სჯულთა უწერია“, მაგრამ ცოცხალ იურიდიულ პრაქტიკაში სარგებელი არსებობდა. სენტენციამ, რომ „სარგებელი არის უწესო“ ხორცი ვერ შეისხა. მაშინ სამართალმა სცადა სარგებლის ანუ საპროცენტო განაკვეთის შემცირება და კრედიტორს უფლება მისცა წლიურად ყოველ ათ „თეთრზე“ ორი თეთრი აეღო სარგებლის სახით. „რა გინდა რა ხანი გამოსულიყოს“ კრედიტორი მეტს ვერ მოითხოვდა სამართლით. ბიზანტიის იმპერიაში ჩვეულებრივად ითვლებოდა წლიურად 12 პროცენტი სარგებელი. გარკვეულ პერიოდში ასევე უნდა ყოფილიყო საქართველოშიც. გვიანი საშუალო საუკუნეები მძიმე პერიოდი იყო საქართველოსათვის. ამ დროს, როგორც ჩანს, მევახშეობა განვითარებულა. ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენის წინა ხანებში „თუმანი თვეში ხუთ აბაზათაც მისცემია, ოთხ აბაზათაც, სამ აბაზათაც, ათ შაურადაც, ორ შაურადაც, ამაში დიად ბევრ გვარიც ქნილა. ასე რივად, მიცემაზე სარგებლის სარგებელიც აღებულა. რამდენი წელიწადიც დაგვიანებია, იმდენი სარგებელიც გამორთმევიათ“, ნათქვამია საკანონმდებლო ძველში. კანონმდებელი არ იწონებს შეზღუდულ მევახშეობას. მას, როგორც ჩანს, მოსათმენად მიაჩნია თვიურად 1 პროცენტისანი სარგებელი ე. ი. წლიურად 12 პროცენტისანი.

ვახტანგის სამართლის წიგნის 125-ე მუხლის მიხედვით „თეთრი რომ გასცეს კაცმან, თუ ძალა ქნა და სული სძულს, თუმანი ჰევეში ხუთ შაურის სარგებლით უნდა გაასესხოს. „თუ სული ცოტად უყვარს“ — თვეში თუმანზე აბაზი უნდა აიღოს სარგებლად, და „თუ მართლა უყვარს“ სული, მაშინ თვეში მხოლოდ 1 პროცენტი უნდა აიღოს სარგებლად. — კანონმდებელი აქვე დასძენს: „სულ უკეთესი ეს არის, რომ სარგებელი სულ არ აიღონ“. მაშასადამე, კანონმდებელს ნორმალურად მიაჩნდა ქრისტიანი კაცისათვის წლიურად 12 პროცენტისანი სარგებლის აღება. კანონმდებელი გარკვევით ამბობდა: „სარგებლის სარგებელი არაფრის ვალისა არ გააჩნდების, არც ითხოების, არც მიეცემინების, რა რომ ერთი ორზე გადასცილდების, სხვა სარგებელი აღარ გაუჩნდების“-ო. სხვათა შორის, ეს ნორმა უფრო ადრეც გვხვდება კლასიკური აღმოსავლეთის ქვეყნებში (მაგ., ინდოეთში).

ასე რომ, კანონმდებელი შეძლებისამებრ იცავდა დებიტორს კრედიტორ-მევახშის კლანჭებისაგან. ის პირი, ვინც წლიურად თავნის 30 პროცენტს მოითხოვდა სარგებლის სახით და თუმანს თვეში ხუთ შაურად გაასესხებდა, ცუდ ქრისტიანად და „სულის მოძულედ“ ითვლებოდა. თუ კაცი გადარიბდებოდა და ვალის გადახდა არ შეეძლო, თავნს გადახდევინებდნენ, და სარგებელს აბაზიებდნენ, მაგრამ თუ დებიტორი ისე იყო ეკონომიკურად დაცემული, რომ თავნის გადახდაც არ შეეძლო, თავნსაც მთლიანად არ გადახდევინებდნენ („თავნზედაც დაიკლება“). ამის შიასახებ გვამცნობს ვახტანგ VI სამართლის წიგნის 132-ე



მუხლი. თუ დებიტორი წვრილშვილიანი იყო და „დაკარგული“ იქნებოდა, მაშინვე ასეთი დებიტორის ოჯახს შეღავათი ეძლეოდა. კრედიტორი „დაკარგული“ დებიტორის ოჯახს ვერ შეაწუხებდა, თუ დებიტორი წვრილ შვილების პატრონი იყო. თუ „დაკარგული“ დებიტორის შვილები 14-15 წლის ასაკს მიაღწევდნენ, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა მათთან შამის ვალის დაფარვაზე ლაპარაკი. ვახტანგ VI სამართლის წიგნის 134-ე მუხლის მიხედვით ქვრივ ქალს, რომელსაც „ობლები წვრილი ყავდეს“ კრედიტორი ვალის გადახდას თუ მოითხოვს, „სანამდის ობლები არ დაიზრდებიან“, ვალს ვერ გადაახდევინებენ. როდესაც ობლები წლოვანები გახდებიან გადაიხდიან ვალის თავს და სარგებლის გადახდისაგან თავისუფლდებიან. ასე რომ, კრედიტორს საკმაოდ ბოჭავდა კანონი, რასაც ვერ ვიტყვით დღევანდლობაზე.

— **საინტერესოა, რამდენად იყენებდა ქართული სამართალი ქირავნობის ინსტიტუტს?**

— გირაოს ძველი ქართული ენის ღრნეზე წინდი ერქვა. ქართული გირავნობის სამართლის შესახებ პირველი ნაშრომის დაწერას მე თვითონ შეუდექა, რა გამოვა აქედან, ჯერ ვერაფერს ვიტყვი, იმას კი შევასწავებ მკითხველს. რომ დღემდე ქართული გირავნობის სამართლის შესახებ ჯერჯერობით ერთი სტატიაც კი არ დაწერილა. მასალები ქართული გირავნობის სამართლის შესახებ გავაჩნია მხოლოდ გვიანი საშუალო საუკუნეების ხანიდან. ჩემს ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ნაშრომში გამორკვეული მაქვს, რომ ქართულ სინამდვილეში ფართოდ იყო გავრცელებული ე. წ. ანტიქრესისი. იგი როგორც იურიდიულ-ეკონომიკური მოვლენა, ნატურალურ მეურნეობასთან იყო დაკავშირებული. ანტიქრესისი რომის იმპერიის აღმოსავლეთში, ბერძნულენოვან პროვინციებში ჩანს წარმოშობილი. აქედან შევიდა ის რომის სამართალშიც. ძველ ბერძნულად „ქრესის“ ნიშნავდა სარგებელს, პროცენტს, ხოლო „ანტი“, ცხადია, წინააღმდეგს, ნაცვალს. მაშასადამე, ანტიქრესისი ნიშნავდა ისეთ ურთიერთობას, როდესაც კრედიტორი დაქირავებული ნივთით სარგებლობდა კუთვნილი პროცენტის (სარგებლის) ნაცვლად. ის გამოიყენებოდა ადგილ-მამულის გირავნობის ფორმით. თვით გირავნობის საგანი კრედიტორის ხელში რჩებოდა მანამდე, სანამ დებიტორი ვალს არ გადაიხდიდა. ფორმალურად კრედიტორი ფულს ვასცემს უსარგებლოდ, მხოლოდ სანამ დებიტორი ვალს გადაიხდიდეს, კრედიტორი სარგებლობს დებიტორის ადგილმამულის შემოსავლით სარგებლის ნაცვლად. განვითარებული სასაქონლო-ფულადი მეურნეობის დროს, ფულს სესხად სარგებლის ვარეშე არავინ ვასცემდა. მაგრამ საზოგადოებრივი აზრი და ეკლესია პროცენტს უმართებულოდ თვლიდა და ფორმალურად უპროცენტო სესხი ფაქტობრივად ნატურალური სარგებლის სახით ფუნქციონირებდა.

რომის სამართალში ანტიქრესისი გულისხმობდა მოგირავნის უფლებას ესარგებლა დაქირავებული ქონებით კუთვნილი სარგებლის სანაცვლოდ. ის გამოიყენებოდა ადგილ-მამულის გირავნობის ფორმით. თვით გირაო ნივთი — გირავნობის საგანი კრედიტორის ხელში რჩებოდა მანამდე, სანამ დებიტორი ვალს არ გადაიხდიდა. ანტიქრესისი შეიძლებოდა ორი სახით განხორციელებულიყო. ერთ შემთხვევაში კრედიტორი დებიტორის მამულით სარგებლობდა პროცენტის ნაცვლად ისე, რომ თავნი ვალი კვლავ ხელუხლებელი რჩებოდა. დებიტორს ჩვეულებრივ უჭირდა თავნის გადახდა — და თუ დაუშვებთ, რომ კრედიტორი სარგებელში მეტსაც იღებდა, ვიდრე ერგებოდა, გასაგები გახდება დებიტორის მიმე მდგომარეობა.

ანტიქრესისის მეორე სახეობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც კრედიტორი სარგებლობდა რა დებიტორის ადგილ-მამულით, ამ უკანასკნელიდან მი-



დებულ შემოსავალს არა მარტო სარგებლის მიღებად უთვლიდა დებიტორს, არამედ თავნი კაპიტალის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადაც. მაგრამ შემდგომად ლეს შემთხვევაში, თუ ანტიქრესისთან გვექონდა საქმე, გირაოსაგან მიიღებულ შემოსავალს კრედიტორი მხოლოდ სარგებლის ანგარიშში მიითვლიდა.

საქართველოში ანტიქრესისის ორივე ფორმა იყო გავრცელებული. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 83-ე მუხლში, ჩვენი აზრით, ანტიქრესისის ისეთი სახეობა არის ფიქსირებული, როდესაც დაგირავებული ადგილ-მამულიდან მიღებული შემოსავალი არა მარტო სარგებლის ანგარიშში, არამედ თავნის ანგარიშშიც მიეთვლებოდა კრედიტორს. „თუ კაცსა კაცისა თეთრი ემართოს სავახშედ, ანუ მამულსა შიგან დგეს საწინდრად, სამსა წელიწადსა ოცისა თავსა თითო თეთრი დააკლდების. რაჟამსაც მემამულე გარდაიხდიდეს. ვითარცა ჰლაგი უკლებლივ ექვამოს, შუათა დახედონ და აგრე დააკლონ.“

როგორც ჩანს, ყოველ სამ წელიწადში თავნი ვალის ყოველ ოც თეთრს „თითო თეთრი“ დააკლდებოდა. როგორც ჩანს, კრედიტორსა და დებიტორს შორის დადებულ ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის შესრულება „შუათა“ — შუაკაცთა მსჯელობის საგანიც შეიძლებოდა გამხდარიყო. ეს იყო ორიგინალური ნორმა. როგორც ჩანს, სამოცი წლის შემდეგ დებიტორი დაიბრუნებდა თავის დაგირავებულ ადგილ-მამულს და თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგებოდა... ასე ხანგრძლივი ვადა იყო საჭირო დაგირავებული უძრავი ქონების უკანვე დასაბრუნებლად...

ქართული სამართლის ძეგლებმა შემოგვიინახეს მრავალი არქაული სამართლებრივი ინსტიტუტის ქართული ვარიანტი. ძველი ქართული ენის ღონეზე დაწინდვის ერთ-ერთი მნიშვნელობა იყო ყიდვა. ენამ ასახა საგირავნო სამართლებრივი ურთიერთობის ადრინდელი ღონე, რომელსაც რომის სამართალში ფიდუციური გაყიდვა ეწოდება. ფიდუციური გაყიდვის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ აღებულ ვალის უზრუნველსაყოფად დებიტორი კრედიტორს მთელ თავის ქონების ან მის ნაწილს გადასცემდა, გააფორმებდა რა ამ გადაცემას, როგორც გაყიდვას. იმ შემთხვევაში, თუ დებიტორი უსახსრობის, სიღარიბის მიზეზით ვალს ვერ იხდიდა, კრედიტორი თავს იკმაყოფილებდა მისთვის გადაცემული ქონების გაყიდვის გზით.

ქრისტიანული ეკლესია, როგორც მართლმადიდებლური, ასევე კათოლიკური ემობდა მევახშეობას, მაგრამ მისი დამარცხება მან ვერ შეძლო. ევროპაში XII—XIV საუკუნეებში ჩვეულებრივი სასესხო პროცენტი ოცს არ აღემატებოდა. იმპერატორმა ფრიდრიხმეორემ დააწესა წლიურად ათი პროცენტი სარგებელი, ინგლისში სარგებლის ოდენობა დადგენილი იყო წლიურად ხუთიდან ათ პროცენტამდე... სანცხე-საათაბაგოში XIV საუკუნეში წლიური სარგებლის მაქსიმუმად ითვლებოდა თავნის ოცი პროცენტი.

— იცავდა თუ არა ქართული კანონმდებლობა ადამიანის პატივსა და ღირსებას?

— რა თქმა უნდა იცავდა, მაგრამ წოდებრივი საწყისების ფარგლებში. წოდების გარეშე ადამიანის პატივსა და ღირსების დაცვა არის ფიქსირებული წყაროებში იმ შემთხვევაში, თუ პიროვნებას შეურაცხყოფას მიაყენებდნენ როგორც ამა თუ იმ სარწმუნოების ან ხალხის წარმომადგენელს, ან თუ მის საოჯახო-ზნეობრივ პატივს აშკარად ხელყოფდნენ. მეფე ერეკლე მეორის მცველთა შორის იყო ვინმე ქურდაშვილი. ეს უკანასკნელი წაეჩხუბა მეორე მცველს და აგინა: შე დამპალო თათაროო. მეფემ ქურდაშვილი გააგდო წამსახურიდან, მას არ აპატია სხვისი სარწმუნოების გინება. შეურაცხყოფილი მუსლიმანი იყო. გარდა ამისა ქურდაშვილს გინებისათვის მიესჯა ენაზე ნემსის გაკეთება. სიმ-



ბოლურად ასე დაისაჯა ბილწისიტყვაობა.. ერეკლე მეფე თვითონაც რაინდნი სულთ და მისთვის ღირსება სიცოცხლეზე მეტს ნიშნავდა.

— მუშაობაში ხელს ხომ არ ვიშლიდათ ცენზურა და ცენზორი?

— საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მეცნიერებსა და პრესის მუშაკებს გამომუშავებული ჰქონდათ თვითცენზურა, მაგრამ ხანდახან საქმეს ესეც არ შველოდა. აწ განსვენებულმა ისტორიკოსმა შოთა ხანთაძემ მიაბო: დაბეჭდა წიგნი, სადაც თავმოყრილი იყო დოკუმენტები და საარქივო მასალები მეფის მთავრობის წინააღმდეგ XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოში მომხდარი ერთ-ერთი აჯანყების შესახებ. მაგრამ ქართულმა ცენზურამ წიგნი „დააპატიმრა“, ავტორმა მიმართა საკავშირო ცენზორს, მაგრამ საქმეს არ ეშველა. ცენზორები კონიუნქტურული მოსაზრებებით სარგებლობდნენ და იდეოლოგიურ დასაბუთებას მხედველობაში არ ღებულობდნენ. 1953 წელს გამოიცა ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ მეხუთე წიგნი. ერთმა „წითელმა პროფესორმა საქ. კ. ცკ-ში უჩივლა ცენზორს სიფხიზლის მოღუბნებაზე და წიგნის დაბეჭდილი ტირაჟის დიდი ნაწილი, რისი გაყიდვაც ვერ მოასწრეს გაანადგურეს. ყოველი წიგნის პირველი ცენზორი მისი რედაქტორი იყო. მახსოვს ჩემი ლექციების კურსი იბეჭდებოდა ყოფილი სსრ კავშირის ხალხების სამართლის ისტორიაში. 1986 წელი იღვა გადაწყვეიტე ლენინის მიერ დამახინჯებული ციფრები ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით გამეწვორებინა. იმედი მქონდა, რომ ცენზორი ამას ვერ შეამჩნევდა. მაგრამ რედაქტორი მიმიხვდა და ლენინი დაიცვა. საქმე ცენზორამდე არც მისულა.

იმავე 1986 წელს ჩემი წიგნიდან „ნარკვევები სამართლის ისტორიიდან“ ცენზორმა ამოიღო მითითება ვიქტორ ნოზაძის ნაშრომზე... სხვათა შორის ვიქტორ ნოზაძე წიგნებს მიგზავნიდა პარიზიდან. ჩემამდე მხოლოდ ერთმა მოაღწია ამ წიგნებიდან, სხვები ალბათ „ცენზორების“ მაგიდაზე ეწყო.


მე და პროფ. აბ. ნუსუბიძე 1983 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე დაბეჭდილი ერთი წიგნის რედაქტორი ვიყავით. როდესაც წიგნმა თბილისში ჩამოაღწია, აღმოჩნდა, რომ ავტორისა და რედაქტორების თანხმობის გარეშე ვიღაც „ცენზორს“ ისეთი რამ ჩაეწერა წიგნში, რომელზეც ჩვენ — ავტორი და რედაქტორები ხელს არც მოვაწერდით... ეს გააკეთა ავტორიტეტულმა გამომცემლობა „მისლ“-მა.

ასე რომ, ავტორს პიროვნებად ყოფნის საშუალებას არ აძლევდნენ.

1970 წელს „მეცნიერებამ“ გამოსცა აკაკი მენაბდის წიგნი „საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარების ზოგიერთი საკითხი“ რუსულ ენაზე. მე ვიყავი ამ წიგნის ერთ-ერთი რეცენზენტი. ფხიზელმა მოხალისე „ცენზორებმა“ მოითხოვეს წიგნის ამოღება ბიბლიოთეკებიდან. წიგნი განიხილეს პარტიის თბილისის კომიტეტის დია სხდომაზე.. ჩათვალეს, რომ ავტორი რეცენზენტი და რედაქტორი პარტიის გენერალურ ხაზს ამახინჯებდნენ და უსაფუძვლოდ ამართლებდნენ ე. წ. ნაციონალ „უკლონისტებს“. მე „მითითება“ მაკმარეს ამასთან დაკავშირებით. პარტიის თბილისის კომიტეტის სხდომას ესწრებოდა პოეტი ირაკლი აბაშიძე და ცდილობდა ჩემთვის და ჩემს ბედში მყოფთათვის სასჯელი შეემსუბუქებინა.

სკკპ XXII ყრილობაზე 1961 წლის 26 ოქტომბერს სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ ა. შელეპინმა იმისათვის მოიტალა, რომ ჩემი ნაშრომი „საოჯახო სამართალი ფეოდალურ საქართველოში“ არა აქტუალურად ჩათვალა. ა. შელეპინს მაშინ დიდი გავლენა ჰქონდა. მას „რკინის შურიკს“ ეძახდნენ და არაოფიციალურად ქვეყნის პატრონად თვლიდნენ. ამ „შურიკმა“ მთავარი როლი ითამაშა შემდეგ ხრუსჩოვის წინააღმდეგ





მოწყობილ შეთქმულებაშიც. მე მას არ შევეპუე და მკაცრი წერილი გავუგზავნე მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩემს მიმართ რეპრესიული ზომები არ იქმნებოდა.

— ვის გაიხსენებდით პირველყოვლისა უნივერსიტეტში თქვენი მასწავლებლებიდან.

— პროფესორ დიმიტრი პოლუმორდვინოვს, რომელიც მიკითხავდა ბურჟუაზიული ქვეყნების სამოქალაქო სამართალს, უადრესად ნიჭიერ, პატიოსან და განათლებულ ადამიანს, ევროპული სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო პროცესის ბრწყინვალე სპეციალისტს. უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან 1952 წელს; შემდეგ პროფ. ალექსანდრე ვაჩეიშვილს, ისილორე დოლიძეს, ივანე სურგულაძეს, სერგო იმწკირველს, სერგო ჯორბეაძეს...

— რას გაიხსენებდით, როგორც სასიამოვნო ამბავს, თუნდაც კურიოზულს.

— 1948 წლის 13 იანვარი იყო. იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ისილორე დოლიძისათვის უნდა ჩამებარებინა სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. გამოცდები ტარდებოდა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მეორე სართულზე. აქვე მეზობელ აუდიტორიაში სახელმწიფოს და სამართლის თეორიას იბარებდა პროფ. ილარიონ ტალახაძე. უცებ გამოსაცდელთა სიიდან ჩემი გვარი ამოიკითხა ტალახაძემ. მე ეს გამიკვირდა. შევეცადე მისთვის ამეხსნა, რომ მე საგანი ერთი კვირის მერე უნდა ჩამებარებინა მისთვის. მაგრამ ტალახაძემ ეს ჩემი მხრივ ეშმაკობად ჩათვალა და არაადამაკმაყოფილებელი ნიშნის დაწერით დამემუქრა (როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ჯგუფზელის, აწ განსვენებულის რ. თალაკვაძის შეცდომა ყოფილა). ვიცოდი ტალახაძის ხასიათი და შევედი გამოცდაზე. მივიღე უმაღლესი შეფასება „ფრიადი“. ათიოდე წუთის შემდეგ ი. დოლიძესთანაც მივიღე „ფრიადი“. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ჩვენთან დოც. სერგო იმწკირველს მიჰყავდა სემინარები პოლიტეკონომიაში. მან ყველას წაგვაკითხა მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომის პირველი და ზოგიერთი სხვა თავებიც... რაც გამომადლა კიდევ ტალახაძესთან მას ძალიან მოსწონდა, თუ სტუდენტმა იცოდა არისტოტელეს მარქსისეული შეფასება. მე კი ეს ვიცოდი. ამის შემდეგ ამხანაგებმა ზედმეტ სახელად არისტოტელე შემარქვეს.

— რაში ხედავთ სიცოცხლის აზრს?

— ხალხისათვის სასარგებლო საქმიანობაში და მეცნიერების სამსახურში, ადამიანმა უნდა იცოცხლოს და იბრძოლოს უკეთესი მომავლისათვის. მეფე ვახტანგ მეხუთეს (გარდ. 1675 წ.) უთქვამს: „ვიცოცხლობ, რამეთუ მწამს: დრომ და მე ვძლიოთ მტერთა ჩემთა“.

— ბატონო გიორგი, ნება მომეცით ჩვენი ჟურნალის მკითხველის სახელით დიდი მადლობა გადაგიხადოთ ესოდენ საინტერესო საუბრისათვის.



თაბარ ჩიტოვნილი

## სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ზოგიერთი საკითხი


მიწათსარგებლობის საიჯარო ფორმა, როგორც ძველი ქართული სამართლის ძეგლები ცხადყოფენ, ახალი არ არის და მას მეტად ხანგრძლივი ისტორია აქვს. ნიკორწმინდის XI საუკუნის სიგელში ვკითხულობთ: „ცხილათს მოვიგე მიწა და მივეც მათვე საკაბალოდ და მოწამე არიან კაცნი“-ო. რაკი ნიკორწმინდელს ეს შეძენილი მიწა წინანდელი პატრონებისათვის მიუცია საკაბალოდ, უეჭველია, რომ ამ წინანდელ პატრონებს ის მათგან შენაძენი დასამუშავებლად და სახმარებლად უნდა ჰქონოდათ მიცემული, რასაკვირველია განსაზღვრული პირობებითა და ქონებრივი საზღაურით.

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული სამართლის წყაროებში „იჯარა“ გამოყენებული იყო სხვა უძრავი ქონების მიმართ, ხოლო რაც შეეხება მიწას, მის მიმართ იხმარებოდა „კაბალა“, „საკაბალოდ მიცემაი“, „კაბალისა დადებაი“ და ა. შ. ივანე ჯავახიშვილს „იჯარა“ თავისი შინაარსით გაიგივებული აქვს სიტყვა „კაბალასთან“, რომელიც არაბულად ხელშეკრულებას, სიმტკიცეს, აგრეთვე იჯარასა და საიჯარო ფულსაც ნიშნავდა.<sup>1</sup>

„ბექა-აღბულას სამართლის“ მიხედვით კი ყმა პატრონისაგან სარგებლობის მიზნით იღებდა მიწას, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ფლობდა, ხოლო სიკვდილის შემდეგ მის კანონიერ მემკვიდრეებს გადაეცემოდა. მოსარგებლეს პატრონის თანხმობის გარეშე არ ჰქონდა მამულის განკარგვის უფლება. პატრონის დაუკითხავად მამულის გაყიდვის შემთხვევაში ჯარიმად ფასის ნახევარი გამყიდველს უნდა გადაეხადა, ნახევარი — მყიდველს. „მამულისა გასყიდვა ცული იქნება პატრონისა უმოწმებლად, და ვისცა ეყიდოს, ნახევარი ფასი სარეგენოდ მას დაუშავდეს და ნახევარი გამსყიდველსა“. მიწათსარგებლობის ასეთი ფორმა და მისგან გამომდინარე ურთიერთობები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღესაც აქტიურად გამოიყენება და რეგულირდება საიჯარო კანონმდებლობით, რაც უდავოდ დახვეწასა და ახლებურ მიდგომას მოითხოვს, რადგან სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ძირითადი საკითხები არასწორად არის გადაწყვეტილი. ბევრი მათგანი პრაქტიკულად სრულიადაც არ განსხვავდება მიწათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის იმ წესებისაგან, რომლებიც არსებობდა „საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში“, კერძოდ გვემიურობის, შრომის ანაზღაურების, მიღებული მოსავლის რეალიზაცია-განაწილების, საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის, ზარალისა და გაუმჯობესებათა ღირებულების ანაზღაურების და სხვა საკითხები, რაც ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს ახალი

<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VII, გვ. 319—320.





სამოქალაქო სამართლის კოდექსით და მისგან გამომდინარე იჯარის შესახებ ახალი კანონით.

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულებით ერთი მხარე ვალდებულია განსაზღვრული ვადით სარგებლობაში გადასცეს მეორე მხარეს (მოიჯარეს) მიწა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, შენობა-ნაგებობანი და სხვა მოწყობილობანი, მეორე მხარე ვალდებულია გადაიხადოს ქირა და ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდეგ დააბრუნოს იჯარით აღებული ქონება.

იჯარის ხელშეკრულებას ბევრი რამ აქვს საერთო, მაგრამ ამავე დროს იგი მკვეთრად განსხვავდება ქირავნობის, ნარდობისა და პირადი ქირავნობის ხელშეკრულებისაგან. ყველა შემთხვევაში ხდება ქონებრივი ურთიერთობის მოწესრიგება, მაგრამ განსხვავება ჰრის ქირავნობის საგანში. ამავე დროს სხვადასხვანაირად წყდება ქირავნობის შედეგად მიღებული შედეგების სამართლებრივი ბედი.

ნარდობის ხელშეკრულების დროს ხდება სამუშაო ძალის დაქირავება. ამ დროს ყურადღება გადატანილია შრომის შედეგებზე და არსებითი მნიშვნელობა შეიძლება არც ჰქონდეს უშუალოდ სამუშაოს შემსრულებელს, ე. ი. პირადად შესრულება სრულიადაც არ არის სავალდებულო.

პირადი ქირავნობის ხელშეკრულების დროსაც ადგილი აქვს სამუშაო ძალის დაქირავებას. ამა თუ იმ სამუშაოს შესრულება დამქირავებლის მითითებითა და შეხედულებისამებრ ხდება უშუალოდ დაქირავებული პირის მიერ. თუმცადა, ორივე შემთხვევაში, როგორც ნარდობის, ისე პირადი ქირავნობის დროს, შესრულებული სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს დამქირავებლისა და შემკვეთის მოთხოვნებს და ორივე შემთხვევაში ხდება მხოლოდ შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება, რაც შეეხება შედეგებს, იგი ეკუთვნის დამქირავებელს და შემკვეთს.

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების დროს ქირავნობის საგანია მიწა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, შენობა-ნაგებობანი და ა. შ., რისთვისაც მოიჯარე მესაკუთრეს უხდის მხოლოდ ქირას, ხოლო მიღებული შემოსავალი კი მას ეკუთვნის. ე. ი. იჯარის ხელშეკრულების დროს ხდება არა სამუშაო ძალის დაქირავება, როგორც ნარდობისა და პირადი ქირავნობის დროს, არამედ მიწისა და მასთან დაკავშირებული სხვა ინვენტარის, ხოლო მოიჯარე, სამუშაოს უშუალოდ შემსრულებელი, რომელიც ხარჯავს თავის სამუშაო ძალას, იღებს არა შრომით გასამრჯელოს, არამედ მას ეკუთვნის შრომის შედეგი, ხოლო მოიჯარეს, როგორც საიჯარო ქონების იჯარით გამცემს, მიღებულ მოსავალზე საკუთრების უფლება არ გააჩნია. მას ეკუთვნის მხოლოდ საიჯარო ქირა ფულადი, ნატურის ან შერეული სახით.

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების ფორმა, ვადები, დადების წესი და სხვა საკითხები სრულიად ახლებურად გადაწყდება ახალი საიჯარო კანონმდებლობით.

ხელშეკრულების ხანგრძლივობის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს, ხოლო მინიმალური არ უნდა იყოს ერთ წელზე ნაკლები. ერთ წლამდე და ერთი წლის ვადით დადებული ხელშეკრულება შეიძლება იყოს ზეპირი, მისი განახლება შეიძლება მოხდეს იმავე ვადით, ხოლო ხელშეკრულება, რომელიც იდება ერთ წელზე მეტი ვადით, აუცილებლად უნდა იყოს წერილობითი ფორმის (ე. ი. 1-დან 25 წლამდე). იგი მხარეებს შორის დაიდება სათანადო ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აღნიშნული ნებართვა შეიძლება არ გაიცეს შემდეგ შემთხვევებში:



ა) თუ მიწის იჯარით გამცემი პირი არ არის მესაკუთრე და მისგან არც თანხმობა არ გააჩნია ან პირი არის მესაკუთრე, მაგრამ კანონით გათვალისწინებული მიზეზების გამო არა აქვს იჯარით გაცემის უფლება;

ბ) თუ იჯარა საფრთხეს შეუქმნის მიწასა და მასთან დაკავშირებულ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, საიმედო მეურნეობის სწორად წარმართვას და მის შემოსავლიანობას, მეურნეობის არასაიმედოდ გახდომის მიზეზია მოიჯარის, როგორც ძლიერი მეურნის, არასწორი შერჩევა.

გ) თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გადაცემა ხდება არამიზნობრივად, ე. ი. მოხდება მისი სხვა მიზნით გამოყენება და ამის შესახებ არ იქნება სათანადო ორგანოს ნებართვა.

მიწის იჯარით გაცემის შესახებ აღნიშნული ნებართვა არ იქნება საჭირო:

ა) თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სახელმწიფოა; ბ) თუ მოიჯარე არის ეკლესია და მიწის გამოყენება უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის.

იჯარის ხელშეკრულება ძალაში შევა საადგილმამულე წიგნში სათანადო წესით რეგისტრირების შემდეგ იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს არსებით პირობებს.

მოიჯარის მიერ იჯარის ქირა შეიძლება გადახდილი იქნეს ფულადი, ნატურის ან შერეული სახით. ქირის ოდენობა ღვინდება მხარეთა შეთანხმებით შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად. ნატურით გადასახადი ქირის ოდენობა ღვინდება საჭეჭტარო მოსავლიანობის ოდენობის განსაზღვრით, ხოლო ფულადი სახით გადახდის დროს — კალკულაციის გზით.

თუ იჯარის ქირის ოდენობა საეჭვო გახდა, იგი შეიძლება შეამოწმოს შესაბამისმა კონტროლის ორგანომ. გარდა ამისა, იჯარის ქირის გადასინჯვა (შემცირება ან გაზრდა) შეიძლება მოხდეს მხარეთა მთხზონით, სათანადო საფუძველზე, კერძოდ:

ა) თუ შეიცვალა იჯარით აღებული ქონების ოდენობა ან ღირებულება;

ბ) თუ მთელი მოსავალი ან მისი ნაწილი დაიღუპება შემთხვევითი მოვლენის შედეგად.

მოიჯარეს არა აქვს უფლება მოითხოვოს იჯარის ქირის შემცირება, თუ მოსავლის ან მისი ნაწილის დაღუპვა მოხდა მისი მიწიდან აღების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა როცა ხელშეკრულების თანახმად მეიჯარეს ქირა უნდა მიეცეს ნატურის სახით და მოიჯარემ არ გადააცილა მეიჯარესათვის მოსავლის გადაცემის ვადას. ასევე იმ შემთხვევაში თუ დაიღუპება მოსავლის ნახევარზე ნაკლები.

გ) თუ იჯარის ხელშეკრულება დადებულია მხოლოდ ერთი წლით და დაიღუპა მთელი მოსავალი ან მისი ნახევარზე მეტი, მოიჯარე უნდა გათავისუფლდეს იჯარის ქირის შესაბამისი ნაწილით;

დ) საიჯარო ქირა შეიძლება გაიზარდოს, თუ ვაკეთდება ისეთი გაუმჯობესება, რომელიც ექვემდებარება კომპენსაციას, ე. ი. კანონით გათვალისწინებული ან მეიჯარის თანხმობით ვაკეთებული. ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთი გაუმჯობესება ვაკეთდა თავად მეიჯარის მიერ ან მოიჯარის მოთხოვნით.

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების დროს მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი გადასაწყვეტია კომპენსაციის საკითხი იმ გაუმჯობესებისა, რომლის წარმოება მხარეთა მიერ მოხდება საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების დროს.

გარკვეული სამუშაოების, სახელდობრ, სასუქის შეტანა, ღობეების, გზების, თხრილების, შენობების და ა. შ. რემონტის ჩატარება და საერთოდ, საიჯარო



ქონების ვარგის შდგომარეობაში შენახვა იქნება მოიჯარის სახელშეკრულებო ვალდებულება და მასზე გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

რაც შეეხება კაპიტალურ რემონტს, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი რემონტის ფარგლებს და მოიჯარის მოვალეობებს და მისი ჩატარება აუცილებლობით ე. ი. უბედური შემთხვევით ან სხვა მიზეზით არის გამოწვეული და ამაში მოიჯარეს ბრალი არ მიუძღვის, ევალება მეიჯარეს, კაპიტალური რემონტი თუ მოიჯარემ ჩაატარა, მას უნდა აუნაზღაურდეს გაწეული ხარჯები, ხოლო იმ განუყოფელ გაუმჯობესებათა ღირებულება, რომელთა წარმოება აუცილებლობით არ არის გამოწვეული, მოიჯარეს აუნაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს გაუმჯობესება მოხდა ხელშეკრულების მიხედვით ან მეიჯარესთან წინასწარი შეთანხმებით. მაგალითად, შენობის აშენება, გადაკეთება, გაფართოება, საძირის გაუმჯობესება და ა. შ.

მოიჯარეს ასევე აუნაზღაურდება მის მიერ წარმოებული კანონით გათვალისწინებულ გაუმჯობესებათა ღირებულება, რომელთა ჩატარება არ მოითხოვს მეიჯარის თანხმობას.

თუ საუბარი ეხება აგროტექნიკურ გაუმჯობესებას, მოიჯარე მიიღებს კომპენსაციას, თუ მისი შედეგები გამოიყენება მისი წასვლის, ე. ი. საიჯარო ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც.

იჯარის მიმდინარე წლის დამთავრებამდე საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარეს უფლება ექნება მოითხოვოს იმ მოსავლის მიღების მიზნით გაწეული ხარჯები, რომლის აღებაც მეურნეობის სათანადო წარმოების პირობებში უნდა მომხდარიყო იჯარის ბოლო წელს.

კომპენსაციის მიღების უფლება მოიჯარეს მიეცემა საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, დამოუკიდებლად მისი მიზეზებისა, თუნდაც მოიჯარის მიერ ვალდებულებები არ იყოს შესრულებული.

აღნიშნული საკითხი სხვაგვარად არის გადაწყვეტილი იჯარის შესახებ დღეს მოქმედ კანონმდებლობაში.

მიმაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ ახალი კანონმდებლობით დადებითად უნდა გადაწყდეს ქვეიჯარის საკითხი. საიჯარო ქონების ქვეიჯარით გაცემა უნდა მოხდეს მეიჯარის თანხმობით, მაგრამ ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მოიჯარე არ თავისუფლდება იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან და ხელშეკრულების ყველა პუნქტის მოთხოვნის თანხმად ისევ თვითონ არის პასუხისმგებელი მეიჯარის წინაშე, ამიტომ შესაძლებლად მიმაჩნია, რომ საიჯარო ქონების ქვეიჯარით გაცემა მოხდეს მეიჯარის თანხმობის გარეშე. თუმცა საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში (თუ ეს მოხდა მოიჯარის მიზეზით, მისი გარდაცვალებით, სულიერი ან ფიზიკური ავადმყოფობის გამო და სხვ.) ქვეიჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების საკითხი სხვადასხვანაირად გადაწყდება.

ქვემოიჯარესთან ურთიერთობაში მოიჯარე უნდა გამოვიდეს როგორც იჯარით გამცემი. ქვემოიჯარეს არ უნდა მიენიჭოს უფრო მეტი უფლებები, ვიდრე მას გააჩნია პირველდაწყებითი იჯარის ხელშეკრულებით.

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის კანონმდებლობაში ასევე მეტად მნიშვნელოვანია მემკვიდრეობის საკითხი. მოიჯარეს უფლება ექნება თავისი საიჯარო უფლება-მოვალეობანი, მეიჯარის თანხმობით, მთლიანად ან ნაწილობრივ ანდერძით გადასცეს ან მიყიდოს სხვა პირს, ხოლო მოიჯარის გარდაცვალების ან სხვა შემთხვევაში, საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელების უფლებით ისარგებლებენ მოიჯარის მემკვიდრეები, მეუღლე, შვილები ან 16 წელს მიღწეული ახლო ნათესავები, რომლებიც მოიჯარესთან ერთად ცხოვრობდნენ და მასთან ერ-



თად ეწეოდნენ სოფლის მეურნეობას, რომლებზედაც გადადის ყველა უფლება-  
მოვალეობანი.

რაც შეეხება სხვა რიგის მემკვიდრეებს, ისინი ისარგებლებენ უპირატესი  
უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეიჯარეს თავად სურს გაუძღვეს მეურ-  
ნეობას ან იჯარით გადასცეს თავის შვილებს ან ახლო ნათესავებს.

საიჯარო ურთიერთობის დროს ვალდებულების შესრულების უზრუნველ-  
ყოფის მიზნით მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ გირავნობის უფლება.

მოიჯარეს, თუ მეიჯარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ  
ვალდებულებას, უფლება ექნება დააგირავოს საიჯარო ქონება მისი მფლობელო-  
ბაში გადასვლის მომენტიდან. ხოლო მეიჯარეს უფლება ექნება ასევე დააგირა-  
ვოს მოიჯარის საკუთრებაში გადასული ქონება, აგრეთვე ის ინვენტარი, საქო-  
ნელი, სასუქი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რომელიც აუცილებელია მომა-  
ვალი მოსავლის მიღებამდე.

როგორც მეიჯარის, ისე მოიჯარის მხრიდან ეს უფლება შეიძლება განზო-  
რციელდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საიჯარო საქმიანობაში მოიჯარე არის შეუზღუდველი მეიჯარისაგან. მას  
უფლება აქვს დადოს ხელშეკრულებები ნებისმიერ ფირმასთან, იურიდიულ და  
ფიზიკურ პირთან, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სხვა წახის სა-  
სოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან, საწარმოო-ტექნიკური მომსახურების მეუ-  
რნეობასთან და ა. შ. აგრეთვე წამოიწყოს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომე-  
ლიც კანონით არ არის აკრძალული. მას უფლება აქვს თავისი შეხედულების  
მიხედვით განკარგოს შემოსავალი, რომლის მესაკუთრედაც ითვლება იგი.

მესაკუთრის, ე. ი. მეიჯარის მიერ საიჯარო ქონების გაყიდვის შემთხვევაში  
მოიჯარეს გააჩნია შესყიდვის უპირატესი უფლება. მას შეუძლია ეს უფლება  
დაუთმოს თავის მემკვიდრეებს, რომლებიც უკვე ეწვეიან სასოფლო-სამეურნეო  
საქმიანობას ან აქვთ ამისი სურვილი და უნარიც.

თუ მესაკუთრე საიჯარო ქონებას გაყიდის მესამე პირზე, ეს პირი ვერ  
გახდება მესაკუთრე თუ მოიჯარე, რომელსაც ჰქონდა შესყიდვის უპირატესი  
უფლება, ვერ განზორციელდეს ამ უფლებას იმის გამო, რომ იგი მისგან დამო-  
უკიდებელი მიზეზების გამო არ იქნება ინფორმირებული საიჯარო ქონების გა-  
ყიდვის შესახებ, მესაკუთრე ვალდებულია, ხოლო მესამე პირს აქვს ამისი უფლე-  
ბა საიჯარო ქონების გაყიდვის შესახებ აცნობოს მოიჯარეს, რომელსაც აქვს  
შესყიდვის უპირატესი უფლება, ამ უფლების დარღვევის შემთხვევაში მოიჯა-  
რეს შეუძლია დარღვევიდან 6 თვის განმავლობაში მიმართოს სასამართლოს და  
მისი გადაწყვეტილების საფუძველზე აღადგინოს დარღვეული უფლება.

შესყიდვის უპირატესი უფლება მოიჯარეს აკისრებს გარკვეულ ვალდებუ-  
ლებას. ამ უფლებით საიჯარო ქონების საკუთრებაში შექმნის დროს მას არა  
აქვს უფლება 10 წლის განმავლობაში გაასხვისოს იგი, გარდა იმ შემთხვევებისა,  
თუ გასხვისება ხდება მისი შრომის უნარის დაკარგვის გამო, ან მის მემკვიდრე-  
ობაზე (შვილებზე, მეუღლეზე).

როდესაც მოიჯარე ახორციელებს შესყიდვის უპირატეს უფლებას, მეიჯა-  
რესა და მას შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება იდება იმ პირობებით, რო-  
მელიც შეიძლებოდა ყოფილიყო მესაკუთრესა და მესამე პირს შორის.

მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში შესყიდვის უპირატესი უფლება  
გადავა მის მეუღლეზე, სრულწლოვან შვილებზე.

შესყიდვის უპირატესი უფლება არ მოქმედებს: 1. თუ საიჯარო ქონების  
იძულებით გასხვისება ხდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათ-  
ვის; 2. თუ გასხვისება ხდება მესაკუთრის შვილებზე, მეუღლეზე და მის ახლო



ნათესავეებზე, თუ მოიჯარე თავად არ ეკუთვნის ამ პირთა რიცხვს; 3. თუ აღვლი აქვს ჩუქებას; 4. თუ საიჯარო ხელშეკრულების დადებიდან არ გასულა 4 წელი იჯარის შესახებ დღეს მოქმედი კანონმდებლობა ავალდებულებს მოიჯარეს უზრუნველყოს საიჯარო ქონების კარგ მდგომარეობაში შენახვა და დანიშნულებით გამოყენება. საიჯარო ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ დააბრუნოს საიჯარო ქონება ვარვის მდგომარეობაში როგორშიც იგი იქნებოდა საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელების დროს სათანადოდ სარგებლობისას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეიჯარეს აუნაზღაუროს მისი ბრალით გამოწვეული გაუარესების ხარჯები, რომელიც მისი აღდგენისათვის არის საჭირო.

გარდა აღნიშნულისა, ახალი საიჯარო კანონმდებლობით მოიჯარემ, რომელიც ტოვებს საიჯარო ქონებას (იჯარის ხელშეკრულების მოქმედების დამთავრების შემდეგ), თავის შემცვლელს უნდა დაუტოვოს შესაბამისი სათავსოები და სხვა მოწყობილობები მომდევნო წლის სამუშაოების შესასრულებლად, ხოლო მოიჯარემ, რომელიც ახლად იწყებს საიჯარო საქმიანობას, წამსვლელს დროებით უნდა დაუთმოს შესაბამისი სათავსოები და სხვა მოწყობილობები საქონლის საკვებისათვის და მოსავლისათვის, ასევე, ძველმა მოიჯარემ ახალს უნდა დაუტოვოს მიმდინარე საიჯარო წლისათვის საჭირო ნამჯა, ნაკელი, სასუქი, შხამქიმიკატები და სხვ. თუ მან ყოველივე ეს მიიღო თავის საიჯარო საქმიანობის დაწყების დროს, ხოლო თუ არ მიუღია, მეიჯარემ უნდა გადაუხადოს მას ეს საფასური.

ნასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

1. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის გამო, თუ არ იქნება მოთხოვნა მისი გაგრძელების შესახებ, ანდა კანონით გათვალისწინებული მიზეზების გამო არ მოხდა მისი გაგრძელება, ეს კი შეიძლება არ მოხდეს: ა) თუ მოიჯარის მხრიდან დარღვეული იქნება მოთხოვნის წამოყენების ვადა; ბ) თუ მოიჯარე სისტემატურად აგვიანებდა, ან არ იზდიდა საიჯარო ქირას, არღვევდა სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებებს, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა საიჯარო ქონების ვარვის მდგომარეობაზე, მისივე ბრალით ხშირად ხდებოდა ზარალის წარმოშობა (მაგალითად, სამუშაო ძალის სიმცირე, ავადმყოფობა და ა. შ.); გ) თუ მეიჯარე რაიმე მიზნით თვითონვე საჭიროებს საიჯარო ქონებას, კერძოდ, თავისი შვილების დასასახლებლად, ან სურს თავად გაუძღვეს და აწარმოოს მეურნეობა, ასეთ შემთხვევაში მეიჯარე ვალდებულია მოთხოვნის წამოყენებიდან 3 თვის ვადაში აცნობოს მოიჯარეს თავისი დასაბუთებული უარი ვადის გაგრძელების შესახებ;

2. მოიჯარის გარდაცვალების ან სხვა შემთხვევაში, თუ მას არ დარჩა მეკვიდრე, უფლებამონაცვლე პირი ან მათ განაცხადეს უარი. მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტაზე თანხმობის უფლება აქვს მხოლოდ გარდაცვლილის მემკვიდრეებს, რომელთაც აქვთ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების უფლება და არა მეიჯარეს;

3. საიჯარო ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე შეწყდება: თუ საიჯარო ქონება, როგორც ერთი, ისე მეორე მხარის ბრალის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ მოისპობა. ქონების ნაწილობრივ დაღუპვის შემთხვევაში მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა, თუ მეიჯარე არ აწარმოებს ქონების აუცილებელ აღდგენას;



4. თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და აღნიშნულის შესახებ ბრალეული მხარე გაფრთხილებული ფაქტობრივად არაერთხელ;

5. თუ მოიჯარეს იჯარით გაცემული მიწა ჩამოერთმევა მისი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის;

6. მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა იმ შემთხვევაში თუ მას ან მისი ოჯახის რომელიმე წევრს, რომლის შრომაც აუცილებელი იყო საიჯარო საქმიანობისათვის, დაეკარგა ან შეუმცირდა შრომის უნარი;

7. ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, რაც მდგომარეობს შემდეგში: თუ მოიჯარე თავისი ბრალით არღვევს მასზე დაკისრებულ სახელშეკრულებით მოვალეობებს, რის გამოც ბოლო ორი წლის განმავლობაში იგი გაფრთხილებული და დაჯარიმებული იქნა, მის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს იძულებითი ღონისძიებები მიწის გამოყენების უზრუნველყოფისათვის, რაც მდგომარეობს მის მიმართ განსაზღვრულ დროში გამოვლენილი დანაკლისის თაჟიდან აცილების მოთხოვნის წაყენებაში. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანო მიუჩნის მას მეთვალყურეს, რომელიც მოიჯარის ანგარიშზე იზრუნებს დანაკლისის აღდგენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეწყვეტს მხარეთა საიჯარო ურთიერთობებს, ხოლო მეიჯარეს წაუყენებს მოთხოვნას, რათა მან თვითონ ისარგებლოს იმ მიწითა და ქონებით, რომელიც იყო იჯარის საგანი ან დაღო ახალი საიჯარო ხელშეკრულება, ან გამოიყენოს სარგებლობის სხვა ხერხი.

იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების ან მისი ვადაზე აღრე შეწყვეტის, ანდა განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დაინტერესებულმა მხარემ უნდა განაცხადოს საიჯარო წლის არა უგვიანეს მესამე სამუშაო დღისა, რაც უნდა განხორციელდეს მომდევნო საიჯარო წელს.

თუ არა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მეიჯარეს არა აქვს უფლება უარი უთხრას მოიჯარეს ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე და იმავე საიჯარო პირობებით გადასცეს სხვას.

წინასახელშეკრულებო ან საიჯარო ურთიერთობის პროცესში მხარეებს შორის წარმოშობილ დავებს განიხილავს სასამართლო.



გურამ ნაჭყავია

## მსჯავრდებულის „მოკლური გამოწერების“ საკითხისათვის

ცნობილია, რომ „დანაშაული“ და „სასჯელი“ სისხლის სამართლის უძირითადესი ცნებებია, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკისათვის, ისე სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის. ბუნებრივია, რომ ამ ცნებების საკანონმდებლო განსაზღვრება ფრიად სერიოზული საქმეა. სისხლის სამართლის მოქმედ კანონმდებლობაში დანაშაულის ცნება ასე თუ ისე განსაზღვრულია (სსკ მე-8 მუხლი), ხოლო სასჯელის ცნება მისი ობიექტური ნიშნებით განსაზღვრული არ არის. მართლაც, სსკ 22-ე მუხლში, რომელსაც „სასჯელის მიზნები“ ეწოდება, ნათქვამია: „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე აცდენილი იქნეს ახალი დანაშაულის ჩადენა როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მხრივ“.

როგორც ამ განსაზღვრებიდან ჩანს, სასჯელი მხოლოდ დასჯა არ არის. ეს არის ე. წ. ნეგატიური განსაზღვრება, მაშინ როდესაც საჭიროა სასჯელის ობიექტური ნიშნების ლოგიკური დალაგება, რათა ჩამოყალიბდეს სასჯელის ცნება, რაც კანონში განსაზღვრული არ არის. ეს კანონმდებლობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული, უკიდურესი ზომა, რომელიც დანაშაულის ჩამდენ პირს ეკისრება სახელმწიფოს სახელით სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით, ართმევს ან უზღუდავს მსჯავრდებულს განსაზღვრულ სიკეთეს და იწვევს მასში მორალურ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას.

სასჯელის ცნების ეს განსაზღვრება საუკეთესო არ არის, მაგრამ ამჯერად ჩვენ იმის დამტკიცება გვინდა, რომ სასჯელის ცნების ნორმატიული განსაზღვრება სავსებით შესაძლებელია. ჯერ უნდა ლოგიკურად დალაგდეს სასჯელისათვის დამახასიათებელი ობიექტური ნიშნები და შემდეგ შესაძლებელია სასჯელის მიზნებზე მითითებაც. სასჯელი, როგორც სოციალური ინსტიტუტი, განსაზღვრული მიზნების გარეშე შეუძლებელია, მაგრამ სასჯელის ობიექტური ნიშნები მაინც ქმნიან სასჯელის ცნებას, რომელიც სასჯელის მიზნებისაგან შეფარდებით დამოუკიდებელია. ამ თვალსაზრისით სასჯელის ცნება შეიძლება სასჯელის მიზნების გარეშე ჩამოყალიბდეს, ხოლო სასჯელის მიზნები ჩამოყალიბდეს ცალკე მუხლად, თუ ეს გზა არ შექმნის რაიმე უხერხულობას პრაქტიკული, თეორიული თუ საკანონმდებლო ტექნიკის თვალთახედვით.



მიუხედავად იმისა, თუ რომელ გზას აირჩევს კანონმდებელი, სასჯელის ცნების და მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებას ის გვერდს ვერ აუვლის. ჯერად შევჩერდებით სასჯელის იმ მიზანზე, რომელიც მოქმედ კანონში გამოხატულია მსჯავრდებულს „ხელახლა აღზრდის“ მოთხოვნით. ჩვენ სასჯელის ერთ-ერთ მიზნად უეჭველად მიგვაჩნია მსჯავრდებულის გამოსწორება, რადგან ამ მიზნის გარეშე სისხლის სამართლის ადღენითი ფუნქცია შეუძლებელი იქნებოდა. მართლაც, დანაშაული შეუქცევადია, რადგან დანაშაულის მორალურ-პოლიტიკური შედეგების აღდგენა შეუძლებელია. მაშასადამე, სისხლის სამართალმა. მთელი ყურადღება უნდა გადაიტანოს დანაშაულის ჩამდენ პირზე, მიზნად დაისახოს მისი გამოსწორება, რათა მან არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული. ამ გზით სისხლის სამართალი ყოფილ მსჯავრდებულს აღადგენს ხოლმე იმ ურთიერთობაში, რომელშიც ის დანაშაულის ჩადენამდე იმყოფებოდა. ეს ურთიერთობა არის სახელმწიფოსთან პოზიტიური ურთიერთობა სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნათა შესრულების გამო.

ამრიგად, მსჯავრდებულის გამოსწორების მიზანი სასჯელის ერთ-ერთი აუცილებელი მიზანია. მაგრამ ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მსჯავრდებულის გამოსწორების მიზანში ვულისხმობდნენ როგორც იურიდიულ, ისე მორალურ გამოსწორებას, თუმცა „მორალური გამოსწორების“ ცნება დღემდე სადავოა. მორალური გამოსწორების გამომხატველად მიჩნეული იყო მსჯავრდებულის „ხელახლა აღზრდა“, რომელსაც მიზნად ისახავს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი. მაშასადამე, სპეციალურ განხილვას მოითხოვს მსჯავრდებულის „ხელახლა აღზრდის“ მიზანი, როგორც მისი მორალური გამოსწორების მოთხოვნა. რამდენად გამართლებულია ეს მოთხოვნა სისხლის სამართლის სპეციფიკის თვალსაზრისით? სამწუხაროდ, სასჯელის მიზნებზე თეორიული კამათის დროს სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის, სპეციფიკა არც მიუღიათ მხედველობაში. მაგალითად, ი. ნოი ამტკიცებდა, რომ სასჯელის ერთ-ერთი მიზანია მსჯავრდებულის მორალურად გამოსწორება, ხოლო მორალური გამოსწორების მიზანში იგულისხმება მსჯავრდებულის ისეთი გამოსწორება, გადაკეთება, როდესაც ის ახალ დანაშაულს არ ჩაიდენს არა მოსალოდნელი სასჯელის შიშით, არამედ დანაშაულისადმი ზიზზის გამო, რაკი დანაშაული ეწინააღმდეგება მის ახალ რწმენას და შეხედულებას.<sup>1</sup> ამგვარ მოსაზრებას გამოთქვამდნენ სხვა საბჭოური კრიმინალისტები.<sup>2</sup> მაგრამ იყვნენ კრიმინალისტები, რომლებიც მორალურ გამოსწორებას არარეალურად მიიჩნევდნენ იმის გამო, რომ სასჯელის აღსრულების პრაქტიკა რთული და წინააღმდეგობრივია.<sup>3</sup>

ამრიგად, კრიმინალისტთა ერთი ჯგუფი მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების აუცილებლობას ასაბუთებდა, ხოლო, მეორენი, პირიქით, უარყოფდნენ მას სასჯელის აღსრულების პრაქტიკაში მისი განუხორციელებლობის გამო.

ჩვენი აზრით, სრულდება თუ არა სასჯელის მიზანი სასჯელის აღსრულების პრაქტიკაში, სასჯელის ეფექტიანობის სოციოლოგიური საკითხია, მაშინ როდესაც

<sup>1</sup> И. С. Ной, Сущность и функции уголовного наказания в Советском государстве. Саратов, 1973, с. 114.

<sup>2</sup> Н. А. Беляев, Цели наказания и средства их достижения в исправительно-трудовых учреждениях, Ленинград, 1963, с. 42; Курс советского уголовного права в шести томах, т. 3, 1970, с. 46.

<sup>3</sup> И. И. Карпец, Наказание, социально-правовые и криминологические проблемы, М., 1973, с. 264—265; М. Д. Шаргородский, Наказание, его цели и эффективность, ЛГУ, 1973, с. 32.



საც თავდაპირველად უნდა გადაწყდეს მთავარი საკითხი: შეუძლია თუ არა სისხლის სამართალს მოითხოვოს მსჯავრდებულის მორალური გამოსწორება? მართლაც, „მორალური გამოსწორება“ მორალური ნორმის მიზანია და მორალურ კრიტერიუმებს მოითხოვს. მორალური ნორმა კი ადამიანებს უმაღლეს მოთხოვნებს წარუდგენს ხოლმე. მორალურ ნორმათა სისტემა საზოგადოების ნორმატული სისტემის უმაღლესი საფეხურია, მაშინ როდესაც სისხლის სამართალი მატერიალური სამართლის სისტემის უკიდურესი, ბოლო საფეხურია და ამ თვალსაზრისით მინიმალურ სამართლებრივ მოთხოვნას გამოხატავს.

მართლაც, ცნობილია, რომ არსებობს სამართლის სისტემა, რომელსაც მკაცრად იერარქიული წესრიგი ახასიათებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლის სისტემა ობიექტურია და მოითხოვს სამართლის ყოველი დარგის კუთვნილი ადგილის დადგენას. სამართლის სისტემაში სამართლის ყოველი დარგის ადგილი გვიჩვენებს ამ დარგის სპეციფიკას, მისი ნორმების სისტემას, ამ ნორმებში გამოხატულ მოთხოვნებს. შემთხვევითი არ არის, რომ სამართლის სისტემის უმაღლეს საფეხურს კონსტიტუციური სამართალი წარმოადგენს, ვინაიდან კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონი, აწესრიგებს უძირითადეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. კონსტიტუციური სამართალი დარგობრივი იერარქიის წესით განსაზღვრავს სამართლის სხვა დარგების პრინციპულ შესაძლებლობას.

არც ის არის შემთხვევითი, რომ მატერიალური სამართლის (ე. ი. არაპროცესუალური) სისტემაში სისხლის სამართალს სულ ბოლო ადგილი უჭირავს. ეს ჩანს თუნდაც სამართლის დარგების უბრალო ჩამოთვლიდანაც კი. რით უნდა აიხსნას სამართლის სისტემაში სისხლის სამართლის ეს ადგილი?

ჩვენი აზრით, სამართლის სისტემაში სამართლის ყოველი დარგის ადგილი უნდა აიხსნას სამართლებრივ ღირებულებათა გადანაწილების აქსიოლოგიური კანონზომიერებით. „აქსიოლოგია“ არის ღირებულების ფილოსოფია, რომელიც მოწოდებულია იკვლიოს გარესინამდვილისადმი ადამიანის ღირებულებითი დამოკიდებულება, რომელიც სხვადასხვა შეფასებით ცნებებში გამოიხატება. მაგალითად, „მშვენიერი“, „მახინჯი“, „კომიკური“ და ა. შ. ესთეტიკური კატეგორიებია, რომლებიც ესთეტიკურ შეფასებას გამოხატავენ; „კეთილი“, „ბოროტი“, „სამართლიანი“ და ა. შ. ეთიკურ შეფასებას გამოხატავენ; „მართლზომიერი“, „კანონიერი“, „მართლსაწინააღმდეგო“, „დანაშაული“ და ა. შ. სამართლებრივ შეფასებას გამოხატავენ და მიუთითებენ, რომ არსებობს არა მარტო ეთიკური თუ ესთეტიკური ღირებულება, არამედ სამართლებრივი ღირებულებაც. სამწუხაროდ, ყოფილ საბჭოთა კავშირში გავრცელდა „სამართლის ღირებულების“ ცნება<sup>4</sup>, რაც სამართლის სარგებლიანობის ფაქტიდანაა ნაწარმოები. ზნეობა სასარგებლოა, მაგრამ ეთიკაში დღემდე არავის წამოცდენია „ზნეობის ღირებულება“. ეთიკოსები ლაპარაკობენ ზნეობრივ ღირებულებაზე, როგორც ზნეობრივი შეფასების იდეალურ საფუძველზე, რადგან ცნობილია, რომ ღირებულების აქსიოლოგიური კატეგორია საზოგადოდ შეფასებისა და ორიენტაციის იდეალური საფუძველია. თუ არსებობს სამართლებრივი შეფასება, მაშინ არსებობს სამართლებრივი ღირებულებაც, რომელიც სამართლებრივი შეფასების იდეალური საფუძველია. რაკი ყოველი სამართლებრივი შეფასება ზორციელდება ამა თუ იმ სამართლებრივი ნორმის საფუძველზე, მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამართლის ამა თუ იმ ნორმაში გამოხატულია განსაზღვრული სამართლებრივი ღირებულება. სამართლის ნორმა არის სამართლებრივი ღირებულების გა-

<sup>4</sup> ამ საკითხზე მართებულად გაამახვილა ყურადღება ბ. ფხალაძემ. იხ. ბ. ფხალაძე, სამართლის შეფარდებითი დამოუკიდებლობის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1973, № 4, გვ. 60.



მოვლენის სპეციფიკური ფორმა. ამ ფორმის ანუ ნორმის შინაარსი არის ის დირეზულება, რომელიც ამ ნორმის მიხედვით უნდა იყოს, ხოლო უნდა იყოს ის, რაც განხორციელებული არ არის, რაც ჯერ არ არის რეალობაში, მაგრამ რაც განხორციელების ღირსია. „მართლზომიერი“ ქმედობა უნდა იქნეს ჩადენილი, ხოლო მართლსაწინააღმდეგო ქმედობა, პირიქით, არ უნდა იყოს ჩადენილი. ქურდობა, ძარცვა და ა. შ. არ უნდა იქნეს ჩადენილი, ხოლო ექიმმა მძიმე ავადმყოფს უნდა გაუწიოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, გემის კაპიტანმა უნდა გაუწიოს დახმარება გაჭირვებაში ჩავარდნილ სხვა გემის ეკიპაჟს და ა. შ.


ძნელი არ უნდა იყოს იმის შემჩნევა, რომ სამართლებრივ ნორმებში გამოხატულია განსაზღვრული მოთხოვნა, რომელიც უნდა განხორციელდეს. ეს მოთხოვნა არის ღირებულება, რომელიც სამართლებრივი შეფასების საფუძველია. ის, რაც არ არის, მაგრამ უნდა იყოს, რაც ჯერ არ არსებობს, მაგრამ უნდა არსებობდეს, უნდა გახდეს არსი, ჯერარსია. ამიტომ, რომ ყოველი ნორმატიული სისტემა განსაზღვრულ ჯერარსობას გამოხატავს. როგორც მართებულად აღნიშნავს ბ. ფხალაძე, სამართალი მიუთითებს, „თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ადამიანები. ამ მნიშვნელობით სამართალი არის ფაქტიური ურთიერთობების მოდელი. ეს მოდელი კი თავისთავად ღირებულებაა. ასრულებენ თუ არა სამართლის სუბიექტები იმას, რაც „უნდა“ შესრულდეს, ეს სამართლის განხორციელების საკითხს ეხება და არა სამართლის ნორმის ბუნებას“<sup>5</sup>.

ამრიგად, სამართლის ყოველი ნორმა არის იმისი ღირებულებითი მოდელი, რაც უნდა განხორციელდეს. მაგრამ არც ის უნდა იყოს სადავო, რომ არსებობს ღირებულებათა იერარქია, უმაღლეს და უმდაბლეს ღირებულებათა კავშირი. ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ საზოგადოების მთელ ნორმატიულ სისტემას. უკვე ითქვა, რომ ზნეობრივ ნორმაში უმაღლესი ღირებულებაა გამოხატული, რადგან ის ადამიანებს უმაღლეს მოთხოვნას წარუდგენს. სიკეთეზე უფრო მაღალი ღირებულება არ არსებობს, ხოლო ზნეობა სიკეთის ქმნას მოითხოვს. ცხადია, გაცილებით უფრო დაბალი მოთხოვნა ანუ ღირებულება გამოხატულია სამართლის ნორმებში. მაგრამ სამართლის სისტემაში სამართლის ამა თუ იმ დარგის ადგილი სამართლებრივ ღირებულებათა გადანაწილების თავისებური გამოხატულებაა. ეს ჩანს სისხლის სამართლის სფეროშიც: რაკი სისხლის სამართალი მატერიალური სამართლის სისტემის ბოლო საფეხურია, მაშასადამე, ყველაზე უფრო მინიმალური სამართლებრივი მოთხოვნა ანუ ღირებულება გამოხატულია სწორედ სისხლის სამართალში. მართლაც, სისხლის სამართალი მოითხოვს იმას, რომ დანაშაული არ იქნეს ჩადენილი. თუ პირი არ იპარავს, არ კლავს, არ აუპატიურებს და ა. შ., მაშინ ის მართლზომიერად მოქმედებს. „არ იქურდო“, „არ მოკლა“, „არ გააუპატიურო“ და ა. შ., ის მინიმალური მოთხოვნაა, რაც კი სამართალმა შეიძლება ადამიანს წარუდგინოს. ეს იმიტომ, რომ დანაშაული უკიდურესი სამართალდარღვევაა. ამ უკიდურეს სამართალდარღვევას უპირისპირდება სასჯელი, როგორც სახელმწიფო იძულების უკიდურესი ზომა.

ამრიგად, სისხლის სამართლის ნორმებში გამოხატულია მინიმალური სამართლებრივი მოთხოვნა, რაც დადასტურებას პოულობს დანაშაულის, როგორც უკიდურესი სამართალდარღვევისა, და სასჯელის, როგორც უკიდურესი სახელმწიფო იძულების, მოვლენებში. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ სისხლის სამართლის ნორმას არ შეუძლია დაისახოს მსჯავრდებულის მო-

<sup>5</sup> ბ. ფხალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.





რალური გამოსწორების მიზანი, როგორც უმაღლესი ნორმატული მოთხოვნა, მორალური გამოსწორების მიზანი, როგორც უკვე ითქვა, შეიძლება იყოს მორალური ნორმის მიზანი და მოითხოვს ამ გამოსწორების მორალურ კრიტიკრიუმებს, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის ნორმას თავისი არსით, თავისი თავისაგან გაუსვლელად, არ შეუძლია მოითხოვოს მსჯავრდებულის მორალური გამოსწორება. როგორც კი სასჯელის მიზნად მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების მიზანს შევიტანთ, სისხლის სამართალი ლოგიკურად გადის თავისი თავის გარეთ და გადადის მორალურ ნორმათა სისტემაში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამით სისხლის სამართლის ისეთი უძირითადესი ცნება, როგორცაა სასჯელი, გადადის მორალურ ურთიერთობათა სიბრტყეზე, სასჯელი იქცევა მორალურ სასჯელად, ე. ი. სასჯელის ცნება გადაიქცევა ეთიკის, როგორც მეცნიერების, ცნებად. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ეთიციზმი სისხლის სამართლის მეცნიერებაში, როდესაც სასჯელი კარგავს სისხლის სამართლებრივ ბუნებას და ეთიკის საგანში შემოდის. ამით სისხლის სამართლის მეცნიერება კარგავს სასჯელის ცნებას, როგორც მის ერთ-ერთ უძირითადეს ცნებას.

მეორე მხრივ, სასჯელის ცნების გადასვლა ეთიკის საგანში ამახინჯებს ეთიკის, როგორც მეცნიერების, ცნებათა (კატეგორიათა) სისტემას, რადგან სისხლის სამართლებრივი სასჯელი, როგორც სახელმწიფო იძულების უკიდურესი ზომა, უცხოა ეთიკისათვის, რამდენადაც იგი უცხოა თვით ზნეობისათვის. „მორალი, — წერს პროფ. ვ. ერქომაიშვილი, — თავისი ბუნებით გამოირიცხავს ძალადობას, ამიტომ მას პრინციპულად არ შეუძლია მისი გამართლება. იგი მოითხოვს მიტევენას და არა შურისძიებას, გაკიცხვას და არა სასჯელს“<sup>6</sup>.

ამრიგად, ძალადობა, თუნდაც კანონიერი, არ შეიძლება მორალურ აქტად ჩაითვალოს. სასჯელი, როგორც სახელმწიფო იძულების კანონიერი ფორმა, ზნეობრივად ვერ შეფასდება. ცხადია, სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი, ხოლო სამართლიანობა ეთიკის ერთ-ერთი კატეგორიაა, მაგრამ ეს სხვა საკითხია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ზნეობრივი მიზნის მისაღწევად საჭიროა შესატყვისი საშუალება. მიზანი უპირობოდ არ ამართლებს საშუალებას და საშუალებაც მიზნით უნდა იყოს განსაზღვრული. ამით იმის თქმა გვიწევს, რომ მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების მიზანი, როგორც ზნეობრივი მიზანი, შეუძლებელია მიღწეული იქნეს სახელმწიფო იძულების იმ უკიდურესი ზომით, როგორცაა სასჯელი. მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების მიზნის საშუალებად სასჯელი ვერ ჩაითვლება. სასჯელი მორალური გამოსწორების მიზნის ადეკვატურ საშუალებად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ყოველივე აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ სასჯელის მიზნად მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების მიზნის დასახვა არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს, რადგან ეს ეწინააღმდეგება საზოგადოების ნორმატულ სისტემაში სისხლის სამართლის ადგილს, სისხლის სამართლის ბუნებას. სისხლის სამართლის ნორმათა სისტემა მინიმალურ მოთხოვნათა სისტემიდან უმაღლეს მოთხოვნათა სისტემაში ვერ გადავა, თუ თავის თავს არ გააუქმებს. ესაა ამ პრობლემის გადაჭრის პრინციპული გზა. რაც შეეხება იმას, რომ სასჯელის აღსრულების პრაქტიკაში მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების მიზანი რეალურად ვერ განხორციელდება, უეჭველად საყურადღებოა, მაგრამ ეს არაა სასჯელის მიზნის პრობლემატიკაში მთავარი და განმსაზღვრელი, ვინაიდან სასჯელის აღსრულების პრაქტიკაში მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების

<sup>6</sup> ვ. ერქომაიშვილი, ადამიანის თავისუფლება და პასუხისმგებლობის პრობლემა, ბათუმი; 1989, გვ. 88-89.



ცალკეული შემთხვევები სულაც არაა გამორიცხული. მაშასადამე, სასჯელის ეფექტიანობის პრობლემა სასჯელის აღსრულების პრაქტიკის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, სასჯელის მიზნის ზუსტად, სისხლის სამართლის ბუნების შესატყვისად, განსაზღვრის გარეშე სასჯელის ეფექტიანობის პრობლემაც კი ვერ დაისმება. თუ სასჯელს მორალური გამოსწორების მიზანს დაუესახავთ, ხოლო ეს მიზანი სასჯელის აღსრულების პრაქტიკაში ვერ ხორციელდება, მაშინ სასჯელი არაეფექტიანად უნდა ჩაითვალოს.

ამრიგად, სასჯელის მიზნის პრობლემა მოითხოვს როგორც სისხლის სამართლის ბუნების დადგენას, ისე სასჯელის აღსრულების პრაქტიკის ანალიზს. ეს ორმხრივი პრობლემაა, რომელსაც ასევე ორმხრივი მიდგომა სჭირდება.

ჩვენი აზრით, სასჯელის მიზნების სისტემაში სრულიად საკმარისი იქნებოდა მსჯავრდებულის იურიდიული გამოსწორების მიზანი. „იურიდიული გამოსწორების“ მიზანში იგულისხმება მსჯავრდებულის ისეთი გამოსწორება, როდესაც ის ახალ დანაშაულს არ ჩაიდენს, მიუხედავად ახალი დანაშაულის ჩადენისაგან თავშეკავების მოტივებისა. მართლაც, თუ ყოფილმა მსჯავრდებულმა არ ჩაიდინა ახალი დანაშაული, განა სასჯელის მიზანი მიღწეულად არ უნდა ჩაითვალოს? რა უნდა მოითხოვოს სასჯელმა ამაზე მეტი? ან რას მოითხოვს სისხლის სამართალი, თუ არა დანაშაულის ჩადენისაგან თავშეკავებას ამ თავშეკავების მოტივების მიუხედავად? მაგალითად, ვანა რაიძე მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენისაგან ნებაყოფლობით ხელის ადების მოტივებს? არც ეს გარემოებაა შემთხვევითი, სისხლის სამართლის ბუნებაზე თავისებურად ლაპარაკობს.

ამრიგად, სასჯელს შეუძლია მიზნად დაისახოს მსჯავრდებულის იურიდიული გამოსწორება და არა მორალური გამოსწორება. ამიტომ სასჯელის მიზნიდან ამოდებული უნდა იქნეს მსჯავრდებულის „ხელახლა აღზრდის“ მიზანი. სასჯელის მიზანში მოხსენიებული უნდა იქნეს საზოგადოდ გამოსწორების მიზანი, რაც საკმარისია სასჯელისათვის.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასჯელის აღსრულების პრაქტიკა საერთოდ გამორიცხავს მორალურ ურთიერთობებს. საქმე ისაა, რომ სასჯელაღსრულებითი სამართალი სამართლის დამოუკიდებელი დარგია, რომელიც აწესრიგებს სასჯელის აღსრულების გამო წარმოშობილ ურთიერთობებს. ამ ურთიერთობებს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, აქვს ზნეობრივი ასპექტი. მაშასადამე, მსჯავრდებულზე ზემოქმედების ოფიციალურ ზომებს შორის გამოყენებული უნდა იქნეს ზნეობრივი ზემოქმედების ზომებიც. სასჯელის აღსრულების პრაქტიკა ამ მხრივ უფრო თავისუფალია არჩევანში, მაშინ როდესაც სისხლის სამართალი განსაზღვრულია თავისი საკუთარი ბუნებით და მისი იგნორირება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს.

ამრიგად, სისხლის სამართლის ბუნების შესატყვისად სასჯელის მიზნებიდან მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების მიზნის ამოღება სრულიად არ ათავისუფლებს სასჯელის აღმასრულებელ ორგანოებს მსჯავრდებულზე ზნეობრივი ზემოქმედების ვალდებულებებისაგან, რადგან სასჯელაღსრულებითი სამართალი სამართლის დამოუკიდებელი დარგია და ამ მხრივ ზემოქმედების საშუალებათა არჩევანში მეტ თავისუფლებას იძლევა. მსჯავრდებულებისადმი მოპყრობის მორალური მხარე არ შეიძლება ყურადღების გარეშე იქნეს დატოვებული. პირიქით, მას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. მით უმეტეს, რომ ამ მხრივ მომავალში ბევრი რამაა გასაკეთებელი საქართველოში, როგორც პრაქტიკულად, ორგანიზაციულად, ისე თეორიულად და საკანონმდებლო თვალსაზრისით.



ამრიგად, სისხლის სამართლის ბუნების შესატყვისად სასჯელს მიზანში უნდა იგულისხმებოდეს მსჯავრდებულის იურიდიული გამოსწორება და მორალური გამოსწორება. თუ სასჯელი მსჯავრდებულს გამოასწორებს ისე, რომ ის ახალ დანაშაულს არ ჩაიდენს, მაშინ სასჯელის მიზანი ამ თვალსაზრისით მიღწეულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ სასჯელის მიზნიდან „მორალური გამოსწორების“ მიზნის ამოღება სრულიადაც არ გამორიცხავს მსჯავრდებულზე მორალური ზემოქმედების ზომებს, რომელთაც სასჯელის აღსრულების პრაქტიკაში სხვა ზომებთან ერთად გამოიყენებენ. ამიტომაც არ არის გამორიცხულა სასჯელის აღსრულების პრაქტიკაში მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების შესაძლებლობაც, მაგრამ, როგორც უკვე ჩანს, ეს სისხლის სამართლისათვის უცხოა.

სასჯელის მიზნებიდან მორალური გამოსწორების მიზნის ამოღება მოითხოვს „მორალური გამოსწორების“ კრიტერიუმების გადამიჯვნასაც, მაგრამ ამჯერად ამ საკითხზე ვერ შევჩერდებით, რადგან, როგორც უკვე ითქვა, სასჯელის ცნება და მიზნები შემდგომ საკანონმდებლო გადაწყვეტას მოითხოვს. ჩვენ მხოლოდ იმის დამტკიცება გვინდოდა, რომ სასჯელის მიზნად მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების მიზანი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ბუნებას.





შოთა შავიაშვილი

## სასჯელის ეფექტიანობა სისხლის სადაჯილჯოში

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილია სასჯელის შემდეგი ძირითადი სახეები: თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა, თანამდებობიდან დათხოვნა, საზოგადოებრივი გაკიცხვა, საღისეობლინო ბატალიონში გაგზავნა, შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტიკორიუმში მოთავსება. გარდა ამისა, დამნაშავეს მიმართ აგრეთვე დამატებითი სასჯელის სახით შეიძლება გამოყენებული იქნას პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა, ქონების კონფისკაცია, სამხედრო ან სპეციალური წოდების, ან მშობლის უფლების ჩამორთმევა. სსკ 24-ე მუხლით დაშვებულია აგრეთვე სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯის გამოყენება.

უკანასკნელ დროს საზოგადოებაში გავრცელდა არასწორი შეხედულება, თითქოს ჩვენი კანონმდებლობით აკრძალული იყოს სასჯელის ამ უკიდურესი ღონისძიების გამოყენება. სსკ-ით სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება დაშვებულია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებებისა და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი სხვა დანაშაულებათვის, კერძოდ, სამშობლოს ღალატის, ჯაშუშობის, ტერორისტული აქტის, უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ ჩადენილი ტერორისტული აქტის, დივერსიის, ბანდიტიზმის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანის, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის ამ ღონისძიების შეფარდება პრაქტიკულადაც ხორციელდება სასამართლო ორგანოების მიერ. ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა დავა იმის შესახებ, თითქოს ჩვენთან კანონით აკრძალული იყოს სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება. სულ სხვაა რატომ არ ვაძლევთ ამგვარ დანაშაულებრივ ქმედობებს სწორ იურიდიულ შეფასებას და რატომ არ გამოგვაქვს ისინი დღის სინათლეზე.

იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორი ავითარებს აზრს, თითქოს სასჯელის მიზანი იყოს მარტოოდენ მსჯავრდებულთა გამოსწორება, მათი ხელახალი აღზრდა და დანაშაულთა თავიდან აცილება. ამასთან, დაუშვებლად მიანინათ სასჯელის მიზნად დამნაშავეთა დასჯის და მათთვის სამაგიეროს მიზღვის აღიარება. მაგრამ არც იმას უარყოფენ, რომ სასჯელი წარმოუდგენელია ტანჯვის მიყენების გარეშე. ასეთი მსჯელობა წინააღმდეგობრივია, რადგან თუ ვაღიარებთ, რომ სასჯელი შეიცავს ტანჯვის მიყენების ელემენტებს, მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა უარყოთ ის დებულება, რომ სასჯელი შეიცავს დასჯისა და



სამაგიეროს მიზღვის ელემენტებსაც, უფრო სწორად, მის მიზნებსაც? განა შეიძლება ვილაპარაკოთ სასჯელზე დასჯის გამოუყენებლად ანდა სასჯელით გამოწვეული ტანჯვის მიყენებაზე — სამაგიეროს მიზნის გარეშე?

თუ ვაღიარებთ, რომ სასჯელი დასჯაა, რომელიც გამოიყენება მსჯავრდებულისათვის მთელი რიგი უფლებების შეზღუდვით, რომ სასჯელი უაზრობაა ტანჯვის მიყენების გარეშე, მაშინ უსაფუძვლოა შეზღუდვება, რომლითაც სასჯელის მიზნად მიჩნეულია მარტოოდენ მსჯავრდებულის გამოსწორება, მისი ხელახალი აღზრდა და დანაშაულის თავიდან აცილება. ვფიქრობო, უფრო სწორი და ლოგიკურია იმ ავტორების მოსაზრება, რომლებიც სასჯელის მიზნებში ზედმეტ აგრეთვე დამნაშავეთა დასჯის მიზნის არსებობას და, რომ სასჯელის გამოყენებას თან სდევს არა მარტო დამნაშავეის დასჯა, არამედ მისი აღზრდაც. მაგრამ, ცხადია, ეს ისე არ უნდა გაიგოთ, თითქოს დამნაშავეის დასჯა იყოს თვითმიზანი.

სსკ 22-ე მუხლში სასჯელის მიზნებთან დაკავშირებით ნათქვამია: „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე აცდენილ იქნეს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ.“

სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან ადამიანის ღირსების დამცირება“.

კანონში მოცემულ სასჯელის მიზნების ამ განმარტებიდან არ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ცნებები „სასჯელი“ და „დასჯა“ იდენტურნი არიან. მათ შორის არსებობს რაღაც გარკვეული სხვაობა და სწორედ ამიტომ კანონმდებელმაც ამჯობინა ამ ორივე ტერმინის ხმარება და მათში განსხვავებული შინაარსი ჩადო, როცა მიუთითა: „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი“.

კანონის ამ მითითებით, ჩვენი აზრით, გადაჭრილია ორი მნიშვნელოვანი პრობლემა სასჯელის ტერმინოლოგიისა და მისი მიზნების შესახებ. ამიტომ, უმჯობესია ვიხმაროთ ორივე ტერმინი: სასჯელი და დასჯა და ამის მიხედვით ვიმსჯელოთ სასჯელის მიზნებზეც რადგან კანონის ასეთი რედაქციით ნათელი ეფინება აგრეთვე სასჯელის მიზანსაც. „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე დამნაშავეის აღზრდას“ (ხაზგასმა ჩემია — შ. ფ.). ე. ი. ამ საკანონმდებლო განმარტების მიხედვით სასჯელის მიზანია არა მარტო დამნაშავეის დასჯა, არამედ დამნაშავეის გამოსწორება და მისი ხელახალი აღზრდაც. ამიტომ სრულიად უსწოროდ მიგვაჩნია იმ მეცნიერთა მტკიცება, თითქოს სასჯელს არა აქვს დასჯისა და სამაგიეროს მიზნის მიზანი.

სასჯელისათვის დამახასიათებელი და მისი თანმდევი დამნაშავეის დასჯის და მისთვის სამაგიეროს მიზნის ნიშნები განსაკუთრებით აშკარად შეიმჩნევა თვით სასჯელის განხორციელების საშუალებებში, რომლებიც, როგორც წესი, დანაშაულებრივი ქმედობის ჩამდენი პირის მიმართ ძირითადად ტარდება მისთვის ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების სახით. ფიზიკურ ზემოქმედებაში იგულისხმება დამნაშავე პირისათვის იმის საშუალებების მოსპობა, რომ მან გარკვეული დროის მონაკვეთში კვლავ ვერ შეძლოს საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ჩადენა ან საერთოდ მისთვის ამის შესაძლებლობის სამუდამოდ მოსპობა (სიკვდილით დასჯის შემთხვევაში), სასჯელის ფსიქიკური ზე-



მოქმედება კი გულისხმობს იმას, რომ იგი ვარკვეულ მორალურ გავლენას ახდენს როგორც თვით დანაშაულის ჩამდენ პირზე, ისე დანაშაულის ჩადენის მიდრეკილების მქონე სხვა პირებზე.

სასჯელის მიზანში დასჯისა და სამაგიეროს მიზლის ელემენტების არ არსებობის მტკიცება ვფიქრობთ, ერთგვარი გულუბრყვილობა და მისი არსის არასწორი, არაობიექტური შეფასებაცაა. სასჯელის მიზანი დამნაშავეს დასჯასა და მისთვის სამაგიეროს მიზლვასაც რომ არ ითვალისწინებდეს, მაშინ თვით სასჯელის კლასიფიკაციასაც არავითარი აზრი არ ექნებოდა.

თუ სასჯელის მიზანი დანაშაულის ჩამდენის დასჯა არ არის და მისთვის სამაგიეროს მიზლის ელემენტებსაც არ შეიცავს, მაშინ რით უნდა აიხსნას ისეთი სახის სასჯელების არსებობა, როგორიცაა: თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად, ქონების კონფისკაცია, ჯარიმა და ბოლოს — სიკვდილით დასჯა? განა ეს სასჯელები დამნაშავესათვის ერთგვარი სამაგიეროს მიზლვაც არაა? ნუთუ სადავო უნდა იყოს რომ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ ამ სასჯელების გამოყენება ვარკვეულ წილად სამაგიეროს მიზლისა და მისთვის ერთგვარი ტანჯვის მიყენების ელემენტებსაც შეიცავს? ანდა განა შეიძლება ვილაპარაკოთ მსჯავრდებულის აღზრდაზე სასჯელის გამოყენებით მაშინ, როცა მას სასამართლო სასჯელის უმაღლეს ზომას უფარდებს? ცხადია, არა. ამ შემთხვევაში მას დაშინების თვალსაზრისით, ვარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ საზოგადოების სხვა წევრების მიმართ და არა თვით ამ მსჯავრდებულისათვის. ამასთან, განა ლოგიკურია, კაცს სიცოცხლეს ვუსპობდე და თან ვამბობდე: სასჯელის მიზანია მხოლოდ დამნაშავეს გამოსწორება, მისი ხელახალი აღზრდა და დანაშაულის თავიდან აცილება? დამნაშავეს სიკვდილით დასჯას უფარდებენ იმისათვის, რომ მან მეტად საშიში და მძიმე დანაშაული ჩაიდინა და არა მისი გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისათვის. ნუთუ მისი ასეთი დასჯა, მისთვის ვარკვეულწილად სამაგიეროს მიზლვაც არ არის? თუ ეს ასე არ არის მაშინ სხვა პირის მიმართაც, რომელმაც მასთან შედარებით ნაკლებად საშიში დანაშაული ჩაიდინა, რატომ არ ვიყენებთ სასჯელის ამ უმაღლეს ზომას, საზოგადოების სხვა წევრების დაშინებისა და საერთოდ დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის? რატომ ვცდილობთ, რომ დანაშაულის ჩამდენი თითოეული პირი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით სამართლიანად დაისაჯოს? რატომ არის, რომ სასჯელის განსაზღვრის ერთერთ მთავარ კრიტერიუმად მიჩნეულია ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი და მისი ჩამდენის პიროვნება? რა უფლება გვაქვს სიკვდილით დასაჯოთ დამნაშავე საზოგადოების სხვა წევრთა დაშინების ან თუნდაც მათი აღზრდისათვის, თუკი სასჯელის ერთ-ერთი მიზანი დამნაშავეს დასჯა და ჩადენილი დანაშაულისათვის მისთვის ერთგვარი სამაგიეროს მიზლვაც არ არის? და თუ ეს ასე არ არის, მაშინ რა მიზანი აქვს მის სიკვდილით დასჯას? ეს რა, მისი მსხვერპლად შეწირვაა საზოგადოების სხვა წევრების დაშინებისათვის?

მოცემული პრობლემის განხილვისას სხვა კიდევ მრავალი მსგავსი საკითხი იყრის თავს, რომელთა მართებულად გაშუქებას ვარკვეული მნიშვნელობა აქვს მისი სწორად გადაწყვეტისთვის.

თუკი სასჯელი სხვა არა არის რა, თუ არა საზოგადოების დაცვის საშუალება, მაშინ არც ის უნდა უარყვოთ, რომ სასჯელის ერთ-ერთი მიზანია დამნაშავეს დასჯა და, რომ იგი შეიცავს სამაგიეროს მიზლის ელემენტებსაც. ჩაიდინე დანაშაული? მიიღე მისი შესაბამისი სასჯელი და მოიხადე იგი კანონით დადგენილ მკაცრ პირობებში. ასეთია სასჯელის განმარტების ძირითადი არსი.





ამასთან, ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სასჯელის უმთავრესი მიზანი იყოს დამნაშავეისათვის სამაგიეროს მიზღვა და ტანჯვის მიყენება, მაგრამ არ შეიძლება საერთოდ უარყოფითი სასჯელის მიზნებში მისი არსებობა. ამ მიზნების გარეშე წარმოუდგენელია სასჯელის არსებობა. ამიტომ, სასჯელში დასჯისა და სამაგიეროს მიზნების არსებობის უარყოფა არასწორი და უღოვკია.

აქედან გამომდინარე, სასჯელის მიზნებად უნდა ჩაითვალოს: 1. დამნაშავეთა გამოსწორება და მათი ზელახალი აღზრდა; 2. დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც მსჯავრდებულის (ე. წ. სპეციალური პრევენცია) ისე საზოგადოების სხვა წევრების მიერ (ე. წ. ზოგადი პრევენცია); 3. დამნაშავეთა დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის და ამით მათთვის გარკვეული ტანჯვის მიყენება და სამაგიეროს მიზღვა.


იურიდიულ ლიტერატურაში ასევე ერთნაირად არ არის გაგებული სასჯელის ეფექტიანობის საკითხი. აქაც არსებობს აზრთა სხვაობა. ნაწილი ავტორებისა სასჯელის ეფექტიანობაში გულისხმობენ საზოგადოების უშიშროების რეალურ უზრუნველყოფას, სასჯელის მიზნების რეალურ განხორციელებას. ზოგიერთი ავტორის აზრით კი სასჯელის ეფექტიანობა, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება იგი საზოგადოების ობიექტურ, პროგრესულ, კანონზომიერ განვითარებას, შინაარსობრივად ორივე ეს მოსაზრება სწორი და სამართლიანია.

სასჯელის ეფექტიანობა, უპირველეს ყოვლისა, მის პრაქტიკულ გამოყენებაში, მისი მიზნების მიღწევაში უნდა ვეძიოთ. კანონით დადგენილი სასჯელის ეფექტიანობა ბევრდაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად რეალურ, პრაქტიკულ გამოყენებას პოულობს იგი და როგორია მისი შედეგები დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით. ამასთან სადაო არაა, რომ კანონით დადგენილი ერთიდაიგივე სასჯელი ერთი და იმავე სახის დანაშაულისათვის ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს ეფექტიანი თუ იგი პრაქტიკაში სწორად, ობიექტურად გამოიყენება და შეესაბამება საზოგადოების პროგრესულ, კანონზომიერ განვითარებას. მეორე შემთხვევაში კი მან შეიძლება უარყოფითი გავლენაც მოახდინოს როგორც თვით მსჯავრდებულის აღზრდაზე, ისე საზოგადოების დანარჩენ წევრებზე, თუკი სასამართლო დამნაშავე პირს არასწორად და დაუსაბუთებლად უზომოდ მკაცრად ან მეტად ღმობიერად დასჯის და არ დაიცავს სასჯელის დანიშნვის ინდივიდუალიზაციის პრინციპს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმზე არაერთხელ აღინიშნა, რომ საჭიროა სასჯელის განსაზღვრისას სასამართლოებმა განუხრელად დაიცვან კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღონ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი, დამნაშავეს პიროვნება და საქმის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. სასამართლო ერთნაირად არ უნდა მიუდგეს მორალურად გაზრწნილ ბოროტ დამნაშავეებსა და იმ პირებს, რომლებმაც დანაშაული შემთხვევით ან სხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ხელშემწყობ პირობებში ჩაიდინეს.

ასევე დამნაშავე პირისათვის სასჯელის განსაზღვრისას, დანაშაულის ჩადენი პიროვნების შეფასებისას რეკომენდირებულია სასამართლოებმა მხედველობაში მიიღონ დამნაშავე პირის სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისებები დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის. კერძოდ, მისი ასაკი, ზნეობრივი ფორმირების პირობები ოჯახსა და სკოლაში, მისი განათლება და ცოდნის დონე, შეხედულებები, კვალიფიკაცია, მუშაობის სტაჟი და სამუშაოს ხასიათი, მისი საზოგა-





ლოებრივი საქმიანობა, დამოკიდებულება ოჯახისადმი, ინტერნეტო სფერო, მისი დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულისადმი.

სასჯელის მიზნებისა და მისი ეფექტიანობის საკითხთა განხილვის დროს ბუნებრივად იბადება კითხვა: არის თუ არა ეფექტიანი და შეესაბამება თუ არა ჩვენი საზოგადოებრიობის განვითარების დღევანდელ დონეს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ისეთი სახე სასჯელებისა, როგორცაა: სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, თავისუფლების აღკვეთა თხუთმეტი წლის ვადით და ქონების კონფისკაცია? ცოტა უხერხული ხომ არ არის საქართველოში დემოკრატიული მოძრაობისა და საკუთრების ფორმების გაფართოებისა და განმტკიცების შემდეგ კვლავ ქონების კონფისკაციასა და სასჯელის უმაღლესი ზომის — დახვრეტის არსებობაზე ან მის პრაქტიკულ გამოყენებაზე ვილაპარაკოთ? პირი დანაშაულს რომ ჩაიდენს განა ამაში ბრალი გარკვეულწილად თვით საზოგადოებასაც არ მიუძღვის? განა დღეს ვინმეს ეპარება ეჭვი იმაში, რომ ადამიანი დამნაშავედ არ იბადება, იგი იქმნება და ყალიბდება იმ საზოგადოებასა და გარემო ვითარებაში, რომლებშიც მას უხდება ცხოვრება და აღზრდა-ჩამოყალიბება? განა ამ დებულების სისწორეზე არ მიუთითებს ჩვენი დღევანდელი რთული კრიმინოგენური ვითარება? ამიტომ, განა თვით სახელმწიფო, ხელისუფლება და მთელი საზოგადოებრიობა არ არის ვალდებული იზრუნოს მის ხელახალ აღზრდასა და ფორმირებაზე და არა საზოგადოებისაგან მისი სამუდამოდ განდევნასა და აღკვეთაზე? ყოველივე ეს მეტად მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემებია და იგი ღრმა მეცნიერულ გამოკვლევასა და დასაბუთებას საჭიროებს.

ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს, რომ მშვიდობიანობის პერიოდში აიკრძალოს დახვრეტის გამოყენება და ამ სასჯელის მაგიერ გაიზარდოს თავისუფლების აღკვეთა ოცდახუთ წლამდე ან საერთოდ, სიკვდილით დასჯის მაგიერ შემოვიღოთ „სამუდამო პატიმრობა“. ეს მოსაზრება სიკვდილით დასჯასთან შედარებით, ცხადია, პროგრესულია, მაგრამ არასწორია, რადგან ამით სასჯელადაკარგავს თავის უმთავრეს მიზანს — დამნაშავის გამოსწორებისა და მისი ხელახალი აღზრდის შესახებ. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მოსაზრების რეალიზაცია ნაწილობრივ უკვე მოხდა, როცა სსკ 25-ე მუხლში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტით შეტანილი ცვლილებებით მითითებული იქნა, რომ სიკვდილის დასჯის პატიების წესით თავისუფლების აღკვეთის შეცვლისას იგი შეიძლება დაინიშნოს თხუთმეტი წელზე მეტი ვადითაც, მაგრამ არა უმეტეს ოცი წლისა. ვფიქრობ, უფრო ლოგიკური და დროულია ვიმსჯელოთ არა მარტო ზოგიერთი სახის დანაშაულისათვის არსებული სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე, არამედ თავისუფლების აღკვეთის ვადების გადასინჯვა-შემცირებაზე და მათი აღსრულების გამკაცრებაზე.

სასჯელის გამოყენებაზე დაკვირვების ისტორიული განვითარება გვიჩვენებს, რომ მარტოდენ მკაცრი სასჯელის გამოყენების მექარა საკმარისი არ არის დანაშაულთა აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის. მაგალითად, ცნობილია, რომ სპარსეთის ერთერთმა მეფემ ბრძანა მექრთამეობაში მხილებული მოსამართლე სიკვდილით დაესაჯათ, გაეტყავებინათ და მისი ტყავი მოსამართლის იმ სკამზე გადაეკრათ, სადაც ახალი მოსამართლე უნდა დამჯდარიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, მექრთამეობა ასეთი შემზარავი სახის სასჯელის გამოყენებითაც ვერ აღიკვეთა.

პროფესორი ა. ფ. ბერნერი სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებში საკმაოდ ვრცლად და დამაჯერებლად ასაბუთებს მკაცრი სასჯელების — სიკვდილით დასჯის ნაკლებ ეფექტიანობას და მართებულად დაასკვნის, სასჯელის დაშინებას



მაღას მატებს არა მისი ბარბაროსული სიმკაცრე, არამედ მისი გარდღუვალობის შეგნება. და, რომ განმეორებით დანაშაულის ჩამდენ პირებსა და რეციდივისტებს უფრო მეტად ვხვდებით იმ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულია ყველაზე ბარბაროსული დასჯაო.

ილია ჭავჭავაძე მტკიცედ და თანმიმდევრულად ილაშქრებდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, აზრს გამოთქვამდა რომ „დიდი და მძიმე სასჯელი“ სრულიადაც არ შევლის „დანაშაულის ამოკვეთას და ზნეობის გამოსწორებასო“, მასთან, თავის მოთხოვნას სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ იგი შემდეგი გარემოებებით ასახულებდა: ჯერ ერთი, სიკვდილით დასჯა „აჩლუნგებს გრძნობას ბუნებურს, რომელსაც სისხლი ეზიზღება და ზშირად ნახვით კი ყურიც ეჩვევა და გრძნობაც“, მეორე, სიკვდილით დასჯით ირყევა ადამიანთა ზნეობა, რადგან ერთმევა ის, რაც გრძნობით არ შეიძლება — ე. ი. ადამიანის სიცოცხლე მესმე, სიკვდილით დასჯის შეფარდებით დაშვებული შეცდომების გამოსწორება შეუძლებელიაო.

დიდი ილიას ამ უკანასკნელი დებულების სისწორის ნათელი დადასტურებაა 1937—1938 წლებში სიკვდილით დასჯის უმართებულო პრაქტიკა.

ამრიგად, მოძღვრება სასჯელთა შესახებ წინა პლანზე აყენებს არა სასჯელის სიმკაცრეს, არამედ მისი გამოყენების გარდღუვალობას და ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობით ცალკეული სახის დანაშაულისათვის სასჯელების დადგენის დროს. ვფიქრობთ, სასჯელების დანიშვნის ვადები უნდა იყოს უფრო ნაკლები (არა უმეტეს ათი თორმეტი წელი) მაგრამ რეალური. ამასთან, სასჯელი უფრო ეფექტიანი იქნება და თავის მიზანსაც მიაღწევს თუ იგი ყველა დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გარდღუვალად და სწორად გამოიყენება, თუ არცერთი დანაშაული არ დარჩება გაუხსნელი და მისი ჩამდენი პირი დაუსჯელი. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სამართალდამცავი ორგანოების ძირითადი საქმიანობაც დღევანდელ მძიმე ეკონომიკურ, რთულ პოლიტიკურ და კრიმინოგენულ ვითარებაში, ვფიქრობთ, სწორედ ამ მიმართებით უნდა წარიმართოს, რადგან ჩვენს დღევანდელ ბელუჯულმართ ყოფაში დანაშაულთა ესოდენ კატასტროფულ ზრდას ზელი შეუწყობ სწორედ მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების მიჩქმალვამ, დანაშულთა მასიურმა გაუხსნელობამ და მათი ჩამდენი პირების დაუსჯელობამ.



ალექსანდრე კვაშილაძე, ლევან კვაშილაძე

## კორუფციასთან ბრძოლის პრობლემა

იურიდიულ მეცნიერებაში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კარგადაა ცნობილი, რომ ჯგუფური დანაშაულის საშიშროება მნიშვნელოვნად აღემატება ცალკეულ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროებას. აქედან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ცნობს წინასწარი შეთანხმებით დანაშაულის ჩამდენ პირთა ჯგუფს (სსკ-ის 91-ე – 94, 96-ე მუხლები), კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად ორგანიზებულ ჯგუფს (სსკ-ის 79-ე მუხლი), ბანდას (სსკ – ის 78-ე მუხლი). ამ დანაშაულებრივ ჯგუფებში ბოროტმოქმედები გაერთიანებული არიან მეტნაკლები სიმყარითა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროებაც სწორედ ამის მიხედვით უნდა შეფასდეს. თუ მხოლოდ დამდგარი შედეგის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება მნიშვნელობა არ მივანიჭოთ იმას თუ ვინ ჩაიდინა დანაშაული – ერთმა პიროვნებამ, პირთა ჯგუფმა, ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირებულმა ბანდამ, დადებითი დახასიათების მქონე პირმა, ჯგუფმა თუ განსაკუთრებით საშიშა რეციდივისტმა. ქონება თუ გაიტაცეს, ის გაიტაცებულა, კაცი თუ მოკლეს, ის მოკლულია, პიროვნება თუ შეურაცხვეს, იგი შეურაცხყოფილია და ა. შ. ასეთ დროს არც დაზარალებულისათვის და არც საზოგადოებისათვის თითქოს არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა დანაშაულის ჩამდენთა რაოდენობას ან დანაშაულებრივ ჯგუფში შემავალ პირთა დახასიათებას, მაგრამ ეს აზრი მცდარი და მიუღებელია, რადგან იგი ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, სსკ – ის 37-ე მუხლის თანახმად სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო მხედველობაში იღებს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, დამნაშავის პიროვნებას და საქმის გარემოებებს, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას.

პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულისათვის სასჯელი უფრო მკაცრია, ვიდრე იმ დანაშაულისათვის, რომელიც ერთმა პირმა ჩაიდინა. რაც უფრო ორგანიზებულია დანაშაულის ჩადენა, მით უფრო მეტია მისი საშიშროება, რაც უფრო საშიშაა დანაშაულის ჩამდენი პირი, მით უფრო საშიში ხასიათისაა მისი ქმედობა, რაც უფრო მეტნი არიან საშიში პირები დანაშაულებრივ ჯგუფში და რაც უფრო მტკიცეა მათი კავშირი, მით უფრო მეტია ამ ჯგუფის წევრთა საშიშროება. სწორედ ამიტომ არის გამკაცრებული სასჯელი ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულისათვის. სადავო არ არის, რომ ორ კაცს უფრო მეტი შეუძლია გააკეთოს კარგიც და ცუდიც, ვიდრე ერთს, ხოლო ათს უფრო მეტი, ვიდრე ოთხს და ა. შ. ამასთან, არ შეიძლება მხედველობაში არ მივიდოთ ჯგუფის წევრთა ურთიერთკავშირის სიმტკიცე. თუ ჯგუფი ისეთია, რომ ყველა თავის თავს უფროთხილდება, მისი შესაძლებლობა და საშიშროება განსხვავდება ჯგუფისაგან, რომლის წევრებიც თავიანთი სიცოცხლის ფასად იცავენ ერთიმეორეს.



აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: განა საკმარისია დამნაშავეობასთან ბრძოლაში ეფექტიანი შედეგების მისაღწევად მხოლოდ ის, რომ ბოროტმოქმედთა ჯგუფები დაიყოს ნაირსახეობად ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსით?

როგორც ცნობილია, ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს ბოროტმოქმედთა ჯგუფებს (დანაშაულის ჩადენაზე წინასწარ შეთანხმებული ჯგუფი, ორგანიზებული ჯგუფი, ბანდა), რომლებიც ხელს უწყობენ დამნაშაობასთან ბრძოლის ორგანიზებასა და მისი ეფექტიანობის ამაღლებას, დამნაშავეთა მიმართ კანონიერი და სამართლიანი განაჩენების გამოტანას, მათ დასჯასა და გამოსწორებას, პროფილაქტიკურ ღონისძიებებს — დანაშაულის ჩადენის ასაცდენად საჭირო ზომების მიღებას და ა. შ. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული უფრო საშიში, უფრო მეტ შესაძლებლობათა მქონე დანაშაულებრივი ჯგუფები.

სამწუხაროდ, საქართველოში უკვე შეიმჩნევა ისეთი კორუპციული დანაშაულებრივი ჯგუფები, რომლებიც ჩვენი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ თავისი საშიშროებით ბევრად აღემატებიან კანონით აღიარებულ და გავრცელებულ დანაშაულებრივ ქმედობებს. საზოგადოებრივი აზრი ამის შესახებ თითქმის ერთნაირია. ფაქტია, რომ თითქმის მთელი საქართველო დაფარა სავაჭრო ჯიხურებმა, სადაც ფალსიფიცირებული კვების პროდუქტებო, სასმელი, წამლები და ჰუმანიტარული დახმარების საგნები იყიდება, განადგურდა სახელმწიფო სექტორი, საზოგადოება იძარცვება კომერციული ბანკების მეშვეობით, ეროვნული ფულის ნიშნები უკიდურესად გაუფასურდა, გაუხსნელია პიროვნებისა და პირადი საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ მძიმე დანაშაულთა უმრავლესობა, დამნაშავეთა პარაპსს საზღვარი არ აქვს. ასეთ ვითარებაში, როდესაც ხელისუფლებაც რატომღაც უმოქმედოა, იფურჩქნება კორუფცია, ანუ ხელისუფლების წარმომადგენლებისა და დამნაშავეთა დანაშაულებრივი მიზნით ერთ ჯგუფში გაერთიანება, რაც ქვეყანას კარგს არაფერს უქადის.

„კორუფცია“ ლათინური სიტყვაა და სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით თანამდებობრივი პირის დანაშაულებრივი გზით გამდიდრებას ნიშნავს, კორუფცია მთელ მსოფლიოში ითვლება დანაშაულად და ბევრი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს კიდევ პასუხისმგებლობას ასეთი დანაშაულისათვის. როგორც წესი, კორუფცია დაკავშირებულია მექრთამეობასთან და ღობიზმთან, ე. ი. ისეთი სისტემების შექმნასთან, რომლებიც ეწვევან ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენელთა მოსყიდვას იმ მიზნით, რომ სათავეისო კანონები მიაღებინონ. აქედან გამომდინარე, კორუფცია ორმხრივია: ერთი — დანაშაულებრივი ჯგუფის, წრის, ბანდის, ან ცალკეული ბოროტმოქმედების მოსყიდვა, ხოლო მეორე — თანამდებობის პირის გამყიდველობა. თანამდებობის პირი შედის რა კორუპციულ დანაშაულებრივ ჯგუფში, წვევტს თავის ფუნქცია-მოვალეობას, ან მოვალეობას ასრულებს იმდენად, რამდენადაც იგი საჭიროა დანაშაულებრივი განზრახვის მისაღწევად. ამრიგად, იქმნება გაერთიანებული დანაშაულებრივი ძალა, რომელსაც გააჩნია არა მარტო დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა, არამედ დაუსჯელობის გარკვეული გარანტიაც.

ასეთ დროს დაუსჯელობის გარანტიას იძლევა თანამდებობის, პირი, რომელსაც სახელმწიფოში ან საზოგადოებაში შეიძლება იმაზე მეტი შესაძლებლობა და ავტორიტეტი ჰქონდეს, ვისაც ამგვარი დანაშაულებრივი ჯგუფების მხილება ევალება. კოროფციის მომეტებული საშიშროებაც სწორედ ამამია და ალბათ



ამითაა განპირობებული, რომ დამნაშავეთა კორუპციული ჯგუფი უფრო მკაცრად უნდა ისჯებოდეს, ვიდრე სხვა.

ახლა იმის შესახებ, იყო თუ არა კორუფცია საბჭოურ პერიოდში და თუ იყო როგორ, რით ებრძოდნენ მას? უნდა მივიღოთ თუ არა კანონი კორუფციასთან ბრძოლის შესახებ?

კორუფცია, რა თქმა უნდა იყო, მაგრამ იმდენად შეზღუდული და შენიღბული რომ იგი თითქმის არ ჩანდა. კანონი კორუფციისათვის პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებდა, ხოლო თანამდებობრივი, სამეურნეო, მმართველობისა და მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ თანამდებობის პირთა მონაწილეობა კორუფციაში სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებით ან სხვაგვარად კვალიფიცირდებოდა. ასეთ დროს, შესაფერისი სასჯელის გარღვევალობის პრინციპი ყოველთვის დაცული იყო. ნებისმიერი დარღვევისათვის თანამდებობის პირი, როგორც წესი, კომუნისტური პარტიის რიგებიდან ირიცხებოდა და ეს ყველაზე დიდ სასჯელად ითვლებოდა, რადგან კომუნისტური პარტიის წევრობა თანამდებობის დაკავების აუცილებელი პირობა იყო. პარტიიდან გარიცხვით პირი კარგავდა თანამდებობასაც და შემოსავალსაც. პრაქტიკულად სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი თუ შრომითი დისციპლინა იმდენად მკაცრა იყო, რომ კორუფციას განვითარების საშუალება არ ეძლეოდა, ხოლო თუ სწამე იჩენდა თავს, იგი უკიდურესად შეზღუდული იყო.

სწორედ ამიტომ იმ პერიოდში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას დამოუკიდებელი სისხლისსამართლებრივი ნორმა არ სჭირდებოდა. ამჟამად კი, როცა ქაოსია გამეფებული, დანაშაული მძვინვარებს და მას უკიდურეს მდგომარეობაში მიჰყავს მოსახლეობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მკაცრი კანონი არა თუ საჭირო, არამედ აუცილებელია. აქვე მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ყოველი დამოუკიდებელი სახელმწიფო თავად განსაზღვრავს იმას თუ რომელი ქმედებაა მისთვის საზოგადოებრივად საშიში და თვითონვე ქმნის ამ ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ ნორმებს.

დამოუკიდებლობის გზაზე მტკიცედ მდგარი საქართველოს რესპუბლიკა უკვე შეუდგა ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი, ეროვნული ნიშნებით გათვალისწინებული ახალი კანონმდებლობის შექმნას. როგორც საზოგადოებრიობისთვისაა ცნობილი, შესაბამის ზემდგომ ორგანოებში ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა ახალი კოდექსებისა და სამართლებრივი ნორმატიული აქტების შემუშავებისათვის. შექმნილია დარგობრივი კომისიები, რომლის წევრები არიან გამოჩენილი ქართველი იურისტი მეცნიერები, პრაქტიკოსი მუშაკები, დეპუტატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მათი ძალისხმევით ალბათ მალე გვექნება ახალი, ჭეშმარიტად ქართული, მაგრამ მსოფლიო სტანდარტების დონეზე შემუშავებული დემოკრატიული კანონები, რომელთა ცხოვრებაში გატარება და განხორციელებაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრებას და კანონის უზენაესობას.

ჩვენი აზრით, საქართველოს სისხლის სამართლის ახალ კოდექსში კორუფციის შინაარსი უნდა მოიცავდეს თანამდებობის პირის, ხელისუფლების წარმომადგენლის ან პოლიტიკური მოღვაწის ქრთამით მოსყიდვას, ჩადენილს დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, ხელისუფლების წარმომადგენლის ან პოლიტიკური მოღვაწის უკანონო ზრუნვას დანაშაულის ჩამდენი პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიუცემლობის ან სასჯელის შემსუბუქებისათვის, აგრეთვე დაიმედებას, რომ პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელიდან დაიხსნიან ამ პირს.



კორუფციის შესახებ კანონის მიღებამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ბრძოლა იმ დანაშაულობებთან, რომლებიც კორუფციასთანაა დაკავშირებული. ასეთ დანაშაულად უპირველესად უნდა ჩაითვალოს ვაჭრობის წესების დარღვევა, რაიმე საგნებისა და განსაკუთრებით კი კვების პროდუქტების ან სამკურნალო საშუალებების დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულის ან დამზარე მასალების ფალსიფიკაცია გასაღების მიზნით, ასევე დაავადებული პირუტყვის ან ფრინველის ხორცისა და მათგან მიღებული პროდუქტების გასაღება ან მათი გადაცემა საზოგადოებრივი ხმარებისათვის უფასოდ. ასეთი ქმედობების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება.

მიგვაჩნია, რომ ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა იმ პრობლემებს განეკუთვნება, რომელთა გადაწყვეტაზეც ბევრადაა დამოკიდებული საქართველოს რესპუბლიკის ხვალინდელი დღე.



## ვის უნდა ეკუთვნოდეს პატენტი სამსახურებრივ გამოგონებაზე?

ამჟამად, როდესაც მიმდინარეობს სამრეწველო საკუთრების სფეროში სკანონმდებლო აქტების (საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების კომისიის მიერ უკვე მომზადებულია საქართველოს რესპუბლიკის საპატენტო კანონის პროექტი) და სამოქალაქო სამართლის კოდექსის შემუშავება, ერთ-ერთი აქტუალური საკითხია სამსახურებრივი დავალების შესრულების შედეგად შექმნილ გამოგონებაზე მესაკუთრის სწორი განსაზღვრა. იმაზე, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს პატენტი — მეწარმეს თუ გამოგონებელს, პირდაპირაა დამოკიდებული პატენტის მიღების და მისგან გამომდინარე უფლებების გამოყენებისას წარმოქმნილ ურთიერთობათა დარეგულირება. თუ პატენტი გაიცა გამოგონებელზე, იგი ხდება მონოპოლიური უფლებების მქონე (ასევე პირიქით), მაგრამ მეწარმეც ამ შემთხვევაში უნდა სარგებლობდეს შესაბამისი უფლებებით, რადგან საუბარია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე, რასაც შედეგად მოჰყვა გამოგონების შექმნა. ხომ არ იქნებოდა უფრო, სამართლიანი, რომ პატენტის მიღების უფლება და თავად პატენტიც ეკუთვნოდეს მეწარმეს? თანამედროვე ლიტერატურაში (მათ შორის ქართულშიც — ჟურნალი „სამართალი“, 1992 წ., № 3, გვ. 30—34), არსებობს ორი შეხედულება. ევროპის საპატენტო სამართალი, როგორც წესი, ამგვარი გამოგონებების მესაკუთრედ აღიარებს მეწარმეს (ამავე დროს საპატენტო ან სპეციალური კანონმდებლობით განსაზღვრავს, თუ რა პირობებია საჭირო, რომ გამოგონება მიჩნეულ იქნეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შედეგად). მაგ., ავსტრიის, გერმანიის, სკანდინავიური ქვეყნების კანონმდებლობის და იურიდიული დოქტრინის თანახმად, რადგან გამოგონება შექმნილია ისეთ პირობებში, როდესაც მუშაკებს არ აქვთ უფლება თავისუფლად განკარგონ სამსახურებრივი დრო, იყენებენ მეწარმის მიერ დაგროვილ გამოცდილებას, მის მანქანა-იარაღებს, ლაბორატორიებს და ა. შ. პატენტის მიღების უფლება უნდა ეკუთვნოდეს, როგორც ზემოთ ითქვა, მხოლოდ მეწარმეს. ეს შეხედულება გამოირჩევა ცალსახა მიდგომით, აწესებს მთავარი ფიგურის — გამოგონებლის მიმართ ხისტ პირობებს (ალტერნატივის გარეშე) და მის წიაღში დამატებითი სამართლიანი სხვა მიდგომის მოძებნა ძალზე ძნელია. ისეთი ქვეყნების საპატენტო კანონმდებლობა კი, როგორცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვა ინგლისურ-ამერიკული სისტემის ქვეყნები, აგრეთვე იაპონია აწესებს, რომ პატენტი უნდა ეკუთვნოდეს გამომგონებელს. ამავე დროს, მინიშნებულია, რომ თუ სხვა რამე არ არისო გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებით. ფაქტობრივად საკითხის სამართლიანად გადაწყვეტის სიმძიმის ცენტრი გადატანილია შრომით ხელშეკრულებაზე ან სასამართლოზე. შრომით ხელშეკრულებაში თავიდანვე დაშვებულია, რომ ჩაიდონ პირობა, რათა ნებისმიერ გამოგონებაზე დაპატრონების უფლება მეწარმეს გადაეცეს. რა თქმა უნდა, ხელშეკრულების დადებისას საწყის პერიოდში ეს ორი მხარე არათანაბარ პირობებში იმყოფება და ხშირად იბღალბება გამომგონებლის უფლებანი. ეს მიდგომა მეტი მოქნილობით გამოირჩევა, ვიდრე ევროპის (საკონტინენტო) სამართლის მიმდევარ ქვეყნებს ახასიათებს. ინგლი-



სური სპატიენტო კანონის 39-ე მუხლი აწესებს, რომ მეწარმეს ეკუთვნის გამოგონება, თუ მუშაკი ასრულებდა მასზე დაკისრებულ ჩვეულებრივ მოვალეობებს ან ისეთ მოვალეობებს, რომლებიც ჩვეულებრივის ფარგლებს სცილდება, მაგრამ ვითარება ისეთი იყო, რომ ორივე შემთხვევაში მოსალოდნელი იყო გამოგონების შექმნა. ასევე წყვეტს საკითხს 39-ე მუხლის შემდეგი აზრით, რომელიც ეხება მუშაკის მეწარმესთან ისეთ ურთიერთობებს, როგორცაა: „მუშაკს დაკისრებული ჰქონდა სპეციალური მოვალეობა, რათა ხელი შეეწყო მეწარმის ინტერესების განხორციელებასათვის...“ სხვა სახის ურთიერთობისას უფლება გამოგონებაზე ეკუთვნის ავტორს. მიუხედავად იმისა, რომ ავტორისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება, რათა მან მეწარმეს ან სასამართლოს დაუმტკიცოს, რომ გამოგონების შექმნა არ იყო მოსალოდნელი, ინგლისის და ამერიკის სამართლის მიერ ჩამოყალიბებული დოქტრინა, რომ გამოგონება უნდა ეკუთვნოდეს გამოგონებელს, თუ მისგან მოსალოდნელი არ იყო გამოგონების შექმნა, ტოვებს შესაძლებლობას, რათა მოძებნილ იქნეს სხვა სახის ნორმა, რომელიც ხსენებულთან ერთად დაწესებს უფრო სამართლიან მიდგომას. ის, თუ როდის არის მოსალოდნელი გამოგონების შექმნა, დაწვრილებით არის განხილული პრეცედენტებზე დაყრდნობით (ინგლისის მაგალითზე) ნაშრომში „Employee's inventions in the United Kingdom law and practice by Jeremy Philips and Michael Holahan, ESC publishing limited, Oxford“, 1982 და აშშ-სა და კანადის მაგალითზე მოხსენებებში ბუქარესტის 1992 წლის 6-7 ოქტომბრის სიმპოზიუმზე.

თუ მოკლედ შევაჯამებთ ხსენებულ წყაროებში მოყვანილ არგუმენტებს, უნდა დავასკვნათ, რომ გამოგონების შექმნა ყოველთვის მოსალოდნელია, თუ გამოგონების ავტორმა გამოგონება შექმნა სამსახურებრივ საათებში, ან გამოიყვანა საწარმოს ინფორმაცია და გამოცდილება, დანადგარები, მანქანა-იარაღები, ან ჩაატარა ცდები საწარმოს ლაბორატორიაში. ანუ კვლავ მეორდება პირობები, როდესაც ავტორი დამოკიდებულია საწარმოსთან ურთიერთობებზე. აქვე აღინიშნულია, რომ თუ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასამრჯელო გამოგონების შექმნისათვის ადეკვატურად ვერ ასახავს გამოგონებლის წვლილს საწარმოს წინაშე, ანუ შეიქმნა ისეთი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გამოგონება, რომელმაც ძალზე დიდი სარგებელი მოუტანა მეწარმეს, მაშინ გამოგონებელს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ფარდი გასამრჯელო. ეს ბოლო პირობა მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ არის სრულყოფილი და რომ სამსახურებრივი ურთიერთობის გარდა არსებობს სხვა რამ — გამოგონებლის ნიჭი, რომელზედაც არის დამოკიდებული, რა კარგი სამსახურებრივი პირობებიც უნდა არსებობდეს, თუ რა დონის გამოგონება შეიქმნება.

ჩვენი აზრით, არსებობს შესაძლებლობა და მექანიზმი, რომ სამართლებრივად შესაბამისი მიდგომით და ნორმებით დარეგულირდეს და შეივსოს ამგვარი ხარვეზი სპატიენტო კანონმდებლობაში.

როგორც ცნობილია, გამოგონება თავისი შინაარსით სხვადასხვა დონისაა. ერთი მხრივ, პატენტი გაიცემა ისეთ გამოგონებებზე, რომლებიც უკვე არსებული ობიექტების გაუმჯობესებაა და ტექნიკის თუ მეცნიერების დონისათვის არსებითად ახალ სიტყვას არ წარმოადგენენ. ამგვარ გამოგონების შექმნისას შეიძლება სრულიად გავიანზროთ ინგლისურ-ამერიკული მიდგომა და დავასკვნათ, რომ, თუ გამოგონებელს შეექმნა შესაბამისი სამსახურებრივი პირობები და ამას ითხოვს სამსახურებრივი დავალება ან მოვალეობა, მისგან უნდა ველოდოთ გამოგონების შექმნას და შესაკუთრედ ვადიაროთ მეწარმე. ასეთი გამოგონების ფორმალურად განსაზღვრაც კი არ არის რთული. ამ პრობლემას წყვეტს გამოგონების ფორმულის ჩამოყალიბების ევროპული (გერმანული) სისტემა, თუ



გამოგონება დანასიათებულია ფორმულით, რომელშიც მკვეთრადაა მოცემული ცნობილი არსებითი ნიშნების ერთობლიობა, მაშინ გამოგონება წარმოადგენს ტექნიკის დონისათვის ცნობილ ობიექტის გაუმჯობესებას. მეორე მხრივ, ისიც ცნობილია, რომ არსებობენ გამოგონებები, რომელთა შექმნაც დაკავშირებულია მხოლოდ ამა თუ იმ პიროვნების ნიჭთან და ვერავითარი სამსახურებრივი პირობების არსებობა ვერ განაპირობებს მათი შექმნის მოლოდინს. მაგ., თავის დროზე შეიქმნა რეაქტიული ძრავა, რომელმაც ტექნიკის დონისათვის და მეცნიერებისათვისაც დააფუძნა სრულიად ახალი მიმართულება. დღეს ასეთ მიმართულებად შეიძლება იქცეს, ვთქვათ, ფოტონური ან გრავიტაციული ძრავების შექმნა. როგორ გამოვარჩიოთ ასეთი გამოგონებები, რომლებიც ცნობილია როგორც „პიონერული“. იმის გათვალისწინებით, რომ მათ არ მოეძებნებათ არც ანალოგები და არც პროტოტიპი, აქაც დაგვეზღვრება გერმანული ტიპის ფორმულა. თუ პატენტი ვაიცა გამოგონებაზე, რომლის ფორმულაში არ არის მოყვანილი მისი სტრუქტურული ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ცნობილ არსებითა ნიშნების ერთობლიობას, მაშინ იგი პიონერულია. მისი შექმნა გამოიწვია გამოგონების ავტორის ნიჭის გამობრწყინებამ და სწორედ იგი უნდა იქნეს მიჩნეული პატენტმფლობელად. გამომგონებელი არ უნდა იყოს დამოკიდებული კანონით დათქმულ პირობებზე, თუ რა გასამრჯელო ეკუთვნის ამ შემთხვევაში მეწარმისაგან. პირიქით, მეწარმე უნდა სთავაზობდეს, თუ იგი დაინტერესებულია, ისეთ პირობებს, რაც დააკმაყოფილებს გამომგონებელს.

მასასადამე, ჩვენი აზრით, ნებისმიერი სამსახურებრივი ურთიერთობის შედეგად შექმნილ გამოგონებაზე მესაკუთრეობის უფლების განსაზღვრისას შეიძლება მიღებულ იქნეს შემდეგი შეხედულება:

ა) თუ გამოგონება წარმოადგენს ტექნიკის დონისათვის ცნობილ ობიექტის გაუმჯობესებას, მაშინ მესაკუთრეობა, ანუ პატენტი, შეიძლება ეკუთვნოდეს მეწარმეს;

ბ) თუ გამოგონება წარმოადგენს ტექნიკის დონისათვის უცნობ ობიექტს (პიონერული გამოგონება) და იგი აფუძნებს ახალ მიმართულებას, მაშინ პატენტის მიღება შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ გამომგონებელს.

აქედან გამომდინარე, არ უნდა იყოს დაშვებული შრომით ხელშეკრულებაში განსხვავებული პირობების ჩადებაც.

ყოველივე ხსენებულის გათვალისწინებით, სანამ არ არის მიღებული საქართველოს საპატენტო კანონი და სამოქალაქო კოდექსი, რომელშიც აისახება წამრწველო საკუთრების დაცვის საკითხები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათში შეტანილ იქნეს შემდეგი საკანონმდებლო ნორმა: „სამსახურებრივ ურთიერთობის შედეგად შექმნილ გამოგონებაზე პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის გამოგონების ავტორს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

თუ შექმნილი გამოგონება ტექნიკის დონისათვის აფუძნებს ახალ მიმართულებას, პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის მხოლოდ გამოგონების ავტორს“.

მიგვაჩნია, რომ საკითხის ამგვარი გადაჭრა შეავსებს საპატენტო კანონმდებლობებში არსებულ ხარვეზს და უფრო სამართლიანად გადაწყვეტს პრობლემას, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს პატენტი — გამომგონებელს თუ მეწარმეს.

## დავით კაპუკაშვილი,

საქართველოს საპატენტო უწყების საპატენტო ექსპერტიზის ცენტრის დირექტორი.



## დასავითი აკროზოლური გალონების დაგაზიანებული ეფექტი

უკონტროლოდ მიტოვებულმა თავისუფალმა ბაზარმა თავისთავად წარმოშვა იატაკქვეშა ვაჭრობაც, აქ ყველაფერს ყიდულობენ და ჰყიდიან, მათ შორის თავდცვისა და თავდასხმის საშუალებებსაც. ყველაზე ხელმისაწვდომი, და ამდენად, ფართოდ გავრცელებული გახდა ცრემლსადენი და აღმგზნები ნივთიერებების შემცველი აეროზოლური ბალონები. მათ ამზადებენ როგორც თავდაცვის სპეციალურ საშუალებას, მაგრამ ხშირად დანაშაულებრივი მიზნებისთვისაც იყენებენ. ასეთი ბალონები შეიცავენ ცრემლსადენ (ლაკტიმატორები), ცხვირის დასაცმინებელ (სტერნიტები) ან შერეული მოქმედების ნივთიერებებს, რომლებიც განკუთვნილია ადამიანის ფიზიკური აქტივობის უნარის დროებით წართმევისათვის.

ამასთან დაკავშირებით, საპროკურორო-საგამოძიებო და სასამართლო-საექსპერტო ორგანოთა მუშაკების წინაშე ხშირად დგება საკითხი აეროზოლური ბალონების დანაშაულებრივი მიზნებისათვის გამოყენების ფაქტების დასაბუთების თაობაზე. სწორედ ასეთი პრაქტიკული ინტერესებისთვის ჩავატარეთ ექსპერიმენტი, ამასთან, გავითვალისწინეთ, რომ აქტიური ნივთიერებებით დატენილი ბალონი წარმოადგენს თავდაცვის საშუალებას და მისმა გამოყენებამ მკვეთრად უნდა აღკვეთოს, დანაშაულებრივი ხელყოფა. განზრახული გვქონდა გავვერკვია ის პირობები, თუ როდის შეიძლება აღნიშნული მიზნის მიღწევა და როდის — არა.

ექსპერიმენტის პირველი ნაწილი დაეთმო საცდელი ცხოველების რეაქციის გამოვლინებას — აქტიური ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებას თეთრ ვირთაგვებზე. ვირთაგვებიანი ბრტყელი გალია მოთავსებული იყო ვერტიკალურად კარადაში, რომლის ცენტრშიც მიმართული იყო აეროზოლის ჭავლი. გამოიყენებოდა გერმანული წარმოების სტანდარტული აეროზოლური ბალონები. „KOGAS 5001“, რომლებიც შეიცავენ აქტიურ ნივთიერებას — მალენმჟავას დინიტრილორტოქლორბენზიდილენს. ნივთიერება მიესხურებოდა ერთ-ორ წამს 30—50-დან 80—100 სანტიმეტრამდე მანძილიდან. ცდის თითოეულ სერიაში გამოიყენებოდა სხვადასხვა ცხოველები, რათა გამორიცხულიყო აქტიური ნივთიერების კუმულაციის ეფექტი.

ცხოველებზე ღრუბლის სახით გაზის ზემოქმედება მათში იწვევდა „გარინდების“ ტიპურ რეაქციას, შემდეგ კი — თვალებისა და ღრუნის ფხანას. რაიმე მკვეთრი მოძრაობები არ შეიმჩნეოდა. აეროზოლის ჭავლის პირდაპირი მოხვედრის დროს ცხოველების ქცევა უფრო აქტიური იყო, გალიას აქეთ-იქით აწყდებოდნენ, „გარინდების“ რეაქცია ნაკლებად გამოიხატებოდა, იფხანდნენ არა მარტო თვალებსა და ღრუნს, არამედ იმ ადგილებსაც, სადაც ჭავლი მოხვდათ. ამრიგად, დადასტურდა არსებული მონაცემები, რომ გამადიზიანებელი ნივთიერებები, რომლებიც წამიერად ზემოქმედებენ ადამიანზე, სხვადასხვა ცხოველებზე არ მოქმედებენ. ცდების ამ სერიით დავასკვნით, რომ ცხოველების გაცილებ-



ბით მკვეთრ რეაქციას იწვევს უშუალოდ ლორწოვან გარსზე, ბეწვზე და კანზე აეროზოლის წვრილდისპერსიული ფაზების მოხვედრა.

ექსპერიმენტის მეორე ნაწილი განხორციელდა მოხალისეებზე, რომლებიც რიგრიგობით თვით ექსპერიმენტატორები ვიყავით. გამოიყენებოდა გერმანული წარმოების იგივე ბალონები, აგრეთვე აეროზოლური ბალონი „ჩერიომუხა“, რომელიც შეიცავს ქლორაცეტოფენონს. 25 კვ. მ ფართობის ოთახში გაზის დრუბელში ყოფნისას ყველა გამოსაცდელ პირზე დაზიანება ნელა იზრდებოდა 2-4 წუთის განმავლობაში, თუმცაღა ინფორმაციის გაცვლისა და გადაადგილების უნარი შენარჩუნებული გვექონდა. ღრუბლიდან გამოსვლისა და წყლით სახის ჩამობანვის შემდეგ უსიაპოვნო შეგრძნებანი სწრაფად იფანტებოდა.

იმვე პირობებში, როცა აეროზოლის ნაკადი ხვდებოდა კისერზე და მხრების არეში ტანისამოსზე, რეაქცია მეტად მკვეთრი იყო — იმ წამსვე თვალების დახუჭვა და ხველება. თითქმის მთლიანად ირღვეოდა, ანდა ზღებოდა „ბრმად“ მიზანმიმართული მოქმედებანი. ასეთ შემთხვევაში, გამაღზიანებელი ეფექტის ლიკვიდაციისათვის საჭირო ხდებოდა ლორწოვანი გარსისა და სახის წყლით მრავალგზის ჩამობანა, მაგრამ ასეთი პორცედურების შემდეგაც კი 20-30 წუთის მანძილზე მაინც გრძელდებოდა ზომიერი წვა, ლორწოვანი გარსის შეწითლება და უსიაპოვნო შეგრძნებანი ცხვირსა და ყელში.

ჩატარებულმა ექსპერიმენტმა შესაძლებლობა მოგვცა რამდენიმე დასკვნის გამოტანისა, რომელთაც ჩვენი აზრით, აქვთ გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა. ცხოველებზე გამაღზიანებელი ნივთიერებებით ექსპერიმენტალური ზემოქმედება არ გვაძლვს ორიენტირებულ წარმოდგენასაც კი ადეკვატური ზემოქმედების დროს ადამიანის ქცევაზე, მითუმეტეს სტრესულ სიტუაციაში, რაც ყოველთვის თან ახლავს თავდაცვას ან თავდასხმას. ტოქსიკური ეფექტი, როცა დაზიანებული კარგავს მიზანმიმართული მოქმედების უნარს, მიიღწევა აეროზოლის ნაკადის უშუალოდ სახეზე, კისერზე და მხრებზე მოხვედრისას.

მიღებული შედეგების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის წარმოიშვა ამ სფეროში სრულმასშტაბიანი სამეცნიერო გამოკვლევის ჩატარების აუცილებლობა, რასაც ექნება ზუსტად განსაზღვრული პრაქტიკული მნიშვნელობა. ვფიქრობთ, ასეთი გამოკვლევების ძირითადი ამოცანები უნდა იყოს:

— ქიმიურად აქტიური ნივთიერებების ზემოქმედებით ორგანიზმის რეაქციის შესწავლა დაზიანებული ნაწილების ლოკალიზაციისა და მისხურების დისტანციასთან დამოკიდებულებაში;

— კლინიკურ-დიაგნოსტიკური ტესტების შემუშავება, რაც საშუალებას მოგვცემს დავადასტუროთ ცრემლსადენი, გამაღზიანებელი და სხვა ნივთიერებების გამოყენების ფაზები;

— ტანისამოსზე და კანზე მოხვედრილ ამ შენაერთთა განსაზღვრის ქიმიურ მეთოდთა სრულყოფილება, ზღვრული დროითი ინტერვალების დადგენა, რამელთა მიმდინარეობის დროსაც შესაძლებელი გახდება ამ ნივთიერებათა აღმოჩენა სხვადასხვა მასალებისაგან დამზადებულ საგნებზე;

— აეროზოლური ბალონების გამოყენების შემთხვევებში აქტიური ქიმიური ნივთიერებების რაოდენობის გარკვევის ექსპრესმეთოდების შემუშავება;

— ისეთი შესაბამისი ტერმინოლოგიური ლექსიკონის შექმნა, რომელიც უპასუხებდა პერატიული, საგამოძიებო, საპროკურორო, საექსპერტო და სასამართლო პრაქტიკის მოთხოვნებს.



ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანები სრულიად ვერ ამოწურავენ ამ კატეგორიის პრობლემისადმი სამეცნიერო ინტერესს. ბუნებრივია, რომ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია აუცილებელია კომპლექსური გამოკვლევები, სადაც ჩართული იქნებიან სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები.

**გია ბახტაძე,**

ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სამხედრო პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი,

**როგორც ბაბახანიანი,**

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის კათედრის გამგე,

**ივორ კატკოვი,**

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სანკტ-პეტერბურგის მერიასთან არსებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის განყოფილების გამგე,

**ივორ ბაღმანიანი,**

სანკტ-პეტერბურგის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საოლქო ბიუროს უფროსის მოადგილე



## საუხრო გამოკვლევა სანივთო სამართალი

შარშან, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობამ დასტამბა ლადო ზანტაძრის მონოგრაფია „უძრავი ნივთების საკუთრება, შედარებითი სამართლებრივი კვლევა (გერმანული სამართლის მაგალითზე“. ამ ნაშრომისათვის მის ავტორს 1994 წლის 7 ოქტომბერს მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მკითხველს ვთავაზობ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბესარიონ ზოიძის რეცენზიას აღნიშნულ მონოგრაფიაზე.

ლადო ზანტაძრის მონოგრაფია, გერმანული სამართლისადმი ახლებური დამოკიდებულების მაგალითია. შემთხვევით არაა დასმული ნაშრომში საკითხი ქართული სამართლის ადგილის შესახებ სამართლის სისტემებში. გერმანული სამართლისადმი ინტერესი ვინმეს ახირების შედეგი კი არაა, არამედ ესაა ქართული სამართლის ისტორიული მდგომარეობის ასახვა. ცნობილი ფაქტია, რომ საქართველო საუკუნეთა მანძილზე იმყოფებოდა ბერძნულ-რომაული სამყაროს ორბიტაში, რის გამოც ძლიერი იყო თვით ბერძნულ-რომაული სამართლის გავლენები ქართულ სამართალზე.

კონტინენტური ევროპის სამართალი, რომლის შენობაც ბერძნულ-რომაული სამართლის საძირკველზე აიგო, ახალი სიტყვა იყო სამართლის განვითარებაში. სამწუხაროდ, ისტორიული ბედუკუდმართობის გამო, ჩვენ მხოლოდ დღეს გვეძლევა შანსი პრაქტიკულად გამოვიყენოთ კონტინენტური ევროპის სამართლის მიღწევები და საბჭოთა სამართლის მიერ გაჩერებული მდინარეა აღვადგინოთ.

საინტერესოა საკითხების ის წრე, რითაც ავტორი აგებს ნაშრომის სისტემას. სახეზეა სრულყოფილი, ორიგინალური სისტემა, რომელიც თავისთავად შეადგენს მეცნიერულ ღირებულებას. ნაშრომიდან გამოვეყოფ მხოლოდ რამდენიმე მთავარ მიმართულებას, რაც მის ხერხემალს უნდა შეადგენდეს. ამ ხერხემლის თვისებად მესახება სანივთო სამართლის ფილოსოფიური ხედვა. ესაა რეალური, ნორმატიული ცხოვრების ამსახველი ფილოსოფია. სწორედ აქ ჩანს მკვლევარის ოსტატობა აბსტრაქციებით გამორჩეული გერმანული სამართლის სულის შემეცნებაში.

ნაშრომის მთელი ორგანიზმის საერთო თვისებას შეადგენს საჯარო და კერძო სამართლის მოქმედების ფარგლების განსაზღვრა საკუთრებითი ურთიერთობების მოწესრიგებაში. ამით ავტორი არ კმაყოფილდება და საგანგებოდ მსჯელობს საჯარო და კერძო სამართლის ურთიერთმიმართებაზე, რისი აუცილებლობა გამოწვეულია იმითაც, რომ ჩვენში აღრეულია ერთმანეთში საჯარო და კერძო სამართლის მოქმედების ფარგლები. ეს განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა სამართლის რეფორმის პროცესში, რის თაობაზედაც ავტორი შენიშნავს, რომ „საქართველოში არსებული ბევრი პარადოქსული ვითარება ზმიარად კერძო და საჯარო სამართლის იგნორირებით შეიძლება აიხსნას“. აქედან გამოსავალი იქნება არსებული ტრადიციის აღდგენა და სამართლის სისტემის ამ ორი ელემენტის ადგილის სწორად განსაზღვრა ავტორი ერთ-ერთი პირველთაგანია,



რომელმაც ჩვენს ჰინამდვილეში ყურადღება მიაპყრო სამართლის სისტემის აღნიშნულ ელემენტებს. როგორც ძველი, ისე უახლესი ლიტერატურიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ ძნელია მყარ კრიტერიუმის მოძებნა მათს გასამიჯნავად. მკვეთრი სადემარკაციო საზის გავლება საჯარო და კერძო სამართლის მოქმედების ფარგლებს შორის შეუძლებელია (მ. პოკროვსკი).

საკუთრების ცნების ერთიანობისა და აბსოლუტურობის იდეა ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი დებულებაა. საკუთრების ცნება უცვლელია, ცვალებადი შეიძლება იყოს საკუთრების შინაარსი, საკუთრებითი წესრიგი. ვერც საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვები ცვლიან საკუთრების ცნებას. საკუთრება ესაა ნივთზე პირის შეუზღუდავი, სამართლებრივად აღიარებული ბატონობის უფლება. ეს განმარტება კვლავაც რჩება ძალაში, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების სოციალურმა ბოჭვამ ჩვენს საუკუნეში არნახულ ძასშტაბებს მიადწია. და მაინც სოციალური ბოჭვა პრინციპიდან გამონაკლისია, იგი ემსახურება თვით მესაკუთრის ინტერესებსაც. საკუთრების შინაარსიც ამ ბოჭვის მასშტაბზეა დამოკიდებული. ამიტომაც წერს ავტორი, რომ „საკუთრების შინაარსი განისაზღვრება საკუთრების თავისუფლებასა და მის ბოჭვას შორის არსებული მოცულობით“ (გვ. 48). სამწუხაროდ, საბჭოთა ცივილისტებს ნეგატიურ მომენტზე გადაჭქონდათ ძირითადი ყურადღება. თუ პოზიტიურ ელემენტში ისახება ნების თავისუფლების ფარგლები ნივთთან მიმართებაში, ნეგატიურში ჩანს ამ თავისუფლების ფარგლები მესამე პირებთან მიმართებაში. მოკლედ, საკუთრება გულისხმობს არა მხოლოდ ნივთის თვისად ცნობის შეგნებას, არამედ მისი სხვისად ცნობის შეგნებასაც, ის, რაც ჩემია, „უნდა ცნონ სხვებმაც“ (ჰეგელი).

საკუთრება მონოგრაფიაში გაგებულია როგორც პიროვნების ძირითადი უფლება, მისი თავისუფლების აუცილებელი ატრიბუტი. ჰეგელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მხოლოდ საკუთრებაში ვლინდება პირი, როგორც გონი.“ ამიტომაცაა, რომ როგორც საკუთრება, ისე თავისუფლება ადამიანის ბუნებითი უფლებებია. ისინი პიროვნებას დაბადებიდანვე აქვს. როგორც ავტორი შენიშნავს, საკუთრების უფლება წინარესახელმწიფოებრივი უფლებაა. სახელმწიფოს მოვალეობაა აღიაროს და გარანტირებული გახადოს ეს უფლება.

საკუთრება, რბილად რომ ვთქვათ, აფუძნებს თავისუფლებას, მაგრამ იგი არაა ერთადერთი გზა თავისუფლებისაკენ. ინდუსტრიულ საზოგადოებაში საკუთრების სანივთო უფლების გვერდით ისე ვითარდება სხვა სანივთო თუ ვალდებულებითი უფლებანი, რომ უდაოდ იზრდება მათი როლი პიროვნული თავისუფლების დაფუძნებაში. ამით გარკვეულწილად მცირდება ის განსხვავება, რომელიც მესაკუთრესა და არამესაკუთრეს შორისაა თავისუფლებასთან მიმართებაში.

ნაშრომის დიდი ღირსებაა ის, რომ საკუთრების უფლება გააზრებულია კერძო და საჯარო ინტერესების თანაფარდობის ჭრილში. მართალია, ავტორი ცალკეც კი გამოყოფს პრობლემის ამ მხარეს, მაგრამ იგი მაინც ნაშრომის მთელი ორგანიზმის თვისებად მესახება. საკითხი დგას ასე: რომელი ინტერესი აფუძნებს საკუთრებას: კერძო თუ საჯარო; როგორია მათ შორის მიმართება? ეს ინტერესები შესაბამის გამოხატულებას პოულობენ სუბსტანციურ და ფუნქციურ საკუთრებაში. სწორად მიმაჩნია ავტორის მსჯელობა, როდესაც იგი საკუთრების ცივილური ცნების დამფუძნებლად თვლის მხოლოდ სუბსტანციურ საკუთრებას.

საკუთრების ბოჭვა (შეზღუდვა) საჯარო ინტერესებით ობიექტური რეალობაა სოციალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში. კარგად შენიშნავს მკვლევარი, რომ „საკუთრების შეზღუდვის მოცულობა განისაზღვრება იმით, თუ



რამდენად არის საზოგადოება ამ საკუთრებაზე დამოკიდებული და რა სოციალური ფუნქციის შესრულებას ემსახურება იგი. რაც უფრო ძლიერადაა განსაზღვრული მესაკუთრე უცხო საკუთრების სარგებლობაზე დამოკიდებული, მით უფრო მათთვის კანონმდებლის უფლებამოსილება დააკისროს მესაკუთრეს ვალდებულება (გვ. 31), აქედან ნათელი ხდება, რომ გერმანული სამართლისათვის საკუთრება სოციალურ ფუნქციასთან კი არაა გაიგივებული, არამედ იგი სოციალური ფუნქციის მატარებელია, დამფუძნებელი კი, საკუთრებაში ჩადებულ ინტერესებში, მაინც, გერმო ინტერესებია, სხვანაირად რომ ვთქვათ, სუბსტანციური საკუთრება. სოციალური ფუნქცია ჩადებულია საკუთრებაში, როგორც ერთიან, განუყოფელ ცნებაში, სულ ერთია, ვინ იქნება ამ საკუთრების უფლების მატარებელი. ვფიქრობ, ეს კარგად უნდა გააცნობიეროს კანონმდებელმა. შეცდომაა იმაზე ფიქრი, რომ თუ საკუთრება კერძო პირის ხელთ იქნება, იგი არ შეიბოჭება სოციალური ფუნქციით. საკუთრების სოციალური ფუნქციის თეორიითაც კი, კერძო საკუთრება უნდა ემსახურობდეს არა მარტო მისი მფლობელის ინტერესებს, არამედ მთელ საზოგადოებას (დიუვი).

ზემოთმოყვანილ ინტერესთა თანაფარდობის ლოგიკურ დასრულებად გვესახება საკუთრების გარანტიის პრობლემა, რასაც ავტორი საგანგებო ყურადღებას მიაპყრობს. „საკუთრების გარანტია, — ნათქვამია ნაშრომში, — ორ დონეს მოიცავს: პირველია საკუთრების დაცვა კანონმდებლის მხრიდან, რაც გულისხმობს ისეთი კანონისმიერი შეზღუდვების დაწესებას, რომლებიც არარაობად არ აქცევენ საკუთრების უფლებას... მეორეა საკუთრების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან“ (გვ. 84). ამდენად, ამ გარანტიისათვის აუცილებელია მოქმედების ფარგლების დადგენა. კანონმდებელმა სამართლიანი ზღვარი უნდა დააწესოს, რათა მესაკუთრე დაცული იყოს სახელმწიფოსთან მიმართებაშიც. კარგად შენიშნავს მკვლევარი, რომ ამ ზღვარის (ფარგლების) დადგენისას „კანონმდებლის უფლებამოსილება საკუთრების სოციალური ფუნქციის პროპორციულია“ (გვ. 114).

სწორად მიგვაჩნია, როდესაც საკუთრების გარანტიაში ქონებრივის გარდა პიროვნული (არაქონებრივი) მომენტებიცაა წინა პლანზე წამოწეული. გერმანული სამართალი, მართალია, დინჯად, მაგრამ სრულიად ლოგიკურად მიდის არაქონებრივ სიკეთეთა სამართლებრივი აღიარების გზით. ქართულ სამართალში, ძველთაგანვე მოკიდებული, მთელი სიცხადით ჩანს არაქონებრივი ფასეულობებით კანონმდებლის დაინტერესება. მრავალი მაგალითი მოიძიება იმისა, როდესაც ნივთის ფასეულობაში პიროვნული (არაქონებრივი) მომენტებია გამოკვეთილი. ამ მხრივ ქართული სამართალი ემსგავსება უფრო რომაულს, ვიდრე გერმანულს. გავიხსენოთ რომაული გაგება მემკვიდრეობისა, როცა ყურადღება გადატანილი იყო პიროვნების უფლებამონაცვლეობაზე, რაც ლოგიკურად იწვევდა ქონებრივ უფლებამონაცვლეობასაც. ძველი გერმანული სამართალი კი იფარგლება (როგორც მრავალი სხვა) მარტოდონ ქონებრივი უფლებამონაცვლეობით.

ავტორს საკუთრების გარანტიის მთელი სისტემა აქვს ჩამოყალიბებული, რომლებიც ბევრად ავსებენ ჩვენს წარმოდგენებს როგორც საკუთრების ცნების, ასე მისი ფუნქციის თაობაზე.

დიდ ინტერესს იწვევს ნაშრომში საერთო მოძღვრება სანივთო სამართალზე. ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენში სანივთო სამართლის ხსენებაც კი აღარ იყო. დღეს სანივთო სამართალი უნდა აღსდგეს თავის ისტორიულ უფლებებში. გერმანულ იურიზტებთან მჭიდრო თანამშრომლობით უკვე მომზადდა სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის სანივთო სამართლის განყოფილება. ფაქტობრივად ამ დარგში სახეზეა გერმანული სანივთო სა-



მართლის ზომიერი რეცეფციის მცდელობა—აქ ჯეროვანი ადგილი მიეჩინება ერთ მხოლოდ საკუთრებას, არამედ მფლობელობასა და სხვის ნივთებზე უფლებებს. ამით აღსდგება სანივთო სამართლის ტრადიციული სისტემა. ასეთ ვითარებაში გერმანული სანივთო სამართლის მეცნიერული ანალიზი, რასაც მკვლევარი აკეთებს, დიდად წაადგება სამოქალაქო კოდექსის მომზადების საქმეს.

მონოგრაფიაში სანივთო სამართალი გამოიჯნულია ვალდებულებითისაგან. პირველისთვის დამახასიათებელი ნიშნები იმაზე მეტყველებენ, რომ იგი „სტატიკური“ სამართალია, მეორის ნიშნები კი მის „დინამიურობას“ იუწყებიან. მე არ ჩამოვთვლი ამ ნიშნებს, ავტორი მათ დაწვრილებით იხილავს. შევნიშნავ მხოლოდ ამ ორი ინსტიტუტის ერთმანეთისაგან გამოიჯნვის აუცილებლობას. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა კოდექსებშიც მრავლად მოიძიება მაგალითები, როცა მიუღწეველია სანივთო და ვალდებულებითი სამართლის თანხმობა და ერთის პრინციპების განხორციელება ზოგჯერ თავდაყირა აყენებს მეორისას. მოკლედ, საჭიროა მათი მოქმედების ფარგლების სწორი გამოიჯნვა. მე მოვიტან ერთ მაგალითს მოქმედი სამოქალაქო კოდექსიდან, რაშიც, ვფიქრობ, აღნიშნული წინააღმდეგობაა სწორედ. საქმე ეხება ვინდიკაციაზე უფლებას. დადგინილია, რომ როცა ნივთი მესაკუთრის ხელიდან გამოდის მისი ნებით (ვთქვათ ვინმეს ათხოვა), და შემძენი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ სასყიდლიანად გაასხვისებს მესამე პირზე, ეს უკანასკნელი ზღება მისი მესაკუთრე. აქ შედეგად ის მივიღეთ, რომ ვინდიკაციის სანივთო უფლებამ ფაქტობრივად შეცვალა ვალდებულებითი უფლება. საქმე იმაშია, რომ ხელშეკრულების საფუძველზე შემძენზე საკუთრების უფლება რომ წარმოიშვას, საჭიროა, გამსხვივებელი იყოს ამ ნივთის მესაკუთრე, სხვანაირად გარიგება ბათილად ჩაითვლებოდა. აქ კი მოხდა ის, რომ ვალდებულებითი სამართლის აზრით ბათილი გარიგება, ფაქტობრივად, ნამდვილად ჩაითვალა, რახან დადგა ის იურიდიული შედეგები, რაც ნამდვილად გარიგების დროს დგება ზოლმე.

ასევე დამაფიქრებელია მკვლევარის აზრი სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ურთიერთობის იმ ტენდენციაზე, რაც ჩვენს საუკუნეში შეიმჩნევა. ეს არის ვალდებულებით უფლებათა სანივთო უფლებებად გარდაქმნის ტენდენცია. ეს საკითხი მართლაც ცალკე დაფიქრების საგანია, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ სანივთო და ვალდებულებით უფლებათა მიმართებაში მართლაც შეიმჩნევა ვალდებულებით უფლებათა შინაარსის გაფართოება და ამით ერთგვარი ბოჭვა სანივთო უფლებებსა: ფართო ვალდებულებითი უფლების მატარებელს უმოშვდება სანივთო უფლების ქონების ანალოგიური განაწყობა, რაც ბევრად აწელებს მის სწრაფვას ამ უკანასკნელის მოპოვებისაკენ. ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ბევრად უწყობს ხელს ის, რომ თუ ადრე სანივთო უფლება უფრო დამოუკიდებელი იყო, დღეს, ინდუსტრიულ საზოგადოებაში, იგი, რაც შეიძლება დამოკიდებული ზღება ვალდებულებით უფლებებზე (მე ამ შემთხვევაში ძირითადად მხედველობაში მაქვს უძრავ ქონებაზე საკუთრება). შეიძლება ითქვას, მესაკუთრე შინაგანად იძულებულია წავიდეს მეტ დათმობებზე, ვიდრე იგი ამას გააკეთებდა, ვთქვათ, მარტივი წარმოების დროს. ამ იძულების ობიექტური შედეგი კი ვალდებულებით უფლებებში სანივთო უფლების ელემენტების შემოტანაა.

ინტერესით იკითხება ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც ნივთებზე მოძღვრებაა გადმოცემული. გერმანული სამართალი მხოლოდ ნივთებზე საკუთრებას იცნობს, ნივთები კი სხეულებრივი საგნებია. მისთვის უცხოა საკუთრება არამატერიალურ სიკეთეზე (მაგალითად, როგორცაა ინტელექტუალური ფასეუ-



ლობანი). საქართველოს მომავალი სამოქალაქო კოდექსის პირველადი მონახაზი უსხეულო საგნებზე უფლებასაც ჯეროვან ყურადღებას უთმობს.

მოძრავ ნივთებთან ერთად ჩვენში მკვიდრდება უძრავი ნივთების ცნებაც. ახალი საკუთრებითი წესრიგის დაკვიდრების პროცესში განსაკუთრებით ფასეულია ჩვენთვის უძრავ ნივთებზე უფლების საკითხი.


აქვე გავიხსენებ, რომ მკვლევარმა უძრავი ნივთების საკუთრებაზე თავისი აზრი მრავალჯერ გამოხატა ცალკეულ პუბლიკაციებში, რომლებიც შემდგომ საფუძვლად დაედო მის მიერ მომზადებულ კანონთა პროექტებს.

უძრავი ნივთების საკუთრება გერმანულ სამართალში არსებითად რომის სამართლის აღიარებულ პრინციპს ემყარება: მიწის მესაკუთრისაა ყოველივე (ქონება), რაც მიწის ქვეშ ან მის ზედაპირზეა. ამიტომაცაა, რომ შენობა მიწის მესაკუთრისაა, ვის მიერაც არ უნდა იყოს იგი აგებული. ამ პრინციპის ასე ხელაღებთ მიღება ჩვენში გაძნელებოდა, ამიტომაცაა აზრი, რომ მომავალმა სამოქალაქო კოდექსმა დაუშვას აღნაგობის უფლება, რომელსაც იცნობდა საქართველოს 1923 წლის სამოქალაქო კოდექსი.

საადგილმამულო წიგნის სისტემა, რასაც საგანგებოდ მიაქცევს ყურადღებას მკვლევარი, გერმანულ სანივთო სამართლის მშვენებაა. „მთელი მიწის სამართალი გამსჭვალულია საადგილმამულო წიგნის სისტემით. ეს ნიშნავს, რომ უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ყველა სანივთო უფლება მოითხოვს რეგისტრაციას საადგილმამულო წიგნში. გარდა ამისა, მიწის ნაკვეთის ყველა ცვლილება პირდაპირ აისახება მასში. მხოლოდ საადგილმამულო წიგნში რეგისტრაცია წარმოშობს შესაბამის სამართლებრივ ცვლილებებს“ (გვ. 130). აქედან ცხადი ხდება, რომ უძრავ ნივთებზე სანივთო უფლება საადგილმამულო წიგნით აღიარებული უფლებაა, საადგილმამულო წიგნი სხვა სისტემებშიც გამოიყენება და არც ჩვენ უნდა ვთქვათ მასზე უარი. მაგრამ საკუთრების ვადასვლის ის მექანიზმი, რომლის ელემენტაცაა საადგილმამულო წიგნი და რასაც აბსტრაქციის პრინციპი ჰქვია, ვფიქრობთ, ზედმეტი გართულებების წყაროდნელად აღსაქმელია და გასამიჯნავია ამ მექანიზმში პირველი ორი რიგის მოვლენები: ვალდებულებით-სამართლებრივი და სანივთო-სამართლებრივი გარიგებანი. ამ პრინციპის წინააღმდეგობად მეჩვენება ის, რომ თუ სანივთო სამართლებრივი გარიგება საკუთრებას ქმნის, ვალდებულებითის როლი ჩანს მხოლოდ უკვე წარმოშობილი საკუთრების გაუქმებაში. მე ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ამ პრინციპის ის თეზა, რომ ვალდებულებითი გარიგება, ბათილიც რომ იყოს, სანივთო მაინც აღწევს თავის მიზანს — საკუთრების უფლება ჩნდება. მაგრამ რახან ვალდებულებითი გარიგება ბათილი იყო — ამის გამო საკუთრების უფლება წყდება (ნივთი უბრუნდება გამყიდველს). თუ სანივთო უფლების პრიმატს ვაღიარებთ ვალდებულებითთან შედარებით, მაშინ უკვე წარმოშობილი საკუთრება ამ პრინციპის პირობებშიც არ უნდა შემწყდარიყო. მე მაინც მეჩვენება, რომ აბსტრაქციის პრინციპში ერთიანი გარიგების ხელოვნური გახლეჩა ხდება. ამ პრინციპის შეფასებაში მე მილიანად ვეთანხმები ავტორს, როცა იგი წერს, რომ ქართულ სანივთო სამართალში შეუძლებელია მისი გამოყენება. სწორად მეჩვენება ასევე მისი უარყოფითი დამოკიდებულება წმინდა სახელშეკრულებო პრინციპზე, რომელიც ხშირად ბევრ უხერხულობაში აყენებს ქონების შემძენს. მკვლევარის უდაოდ სწორ მიგნებად უნდა ჩაითვალოს ტიტულუსისა და მოლუსის კლასიკური მოდელის უპრიანობა ქართულის სინამდვილისათვის.

მონოგრაფიაში ცალკე მიმართულებად იკვეთება მიწების დაქუცმაცების შემაკავებელი მექანიზმის ანალიზი. მიწების თავისუფალი საკუთრების დაკვიდ-





რებას პოზტიურ შედეგებთან ერთად ის დიდი ნაკლიც ჰქონია, რომ მას უწვევია მიწების დაქსაქსვა, მიწების დავალიანება და საადგილმამულთა (გვ. 175). მიწების დაქსაქსვის აღსაკვეთად ერთმემკვიდრეობა დამკვიდრებულა. ასეთი დაქსაქსვის საშინაობა ჩვენშიაც მოსალოდნელია, თუკი სათანადო დამცავი მექანიზმი არ შემუშავდება მემკვიდრეობით სამართალში. ჩემი აზრით, ჩვენი ძველი ისტორიის გამოცდილება აქ არ ივარგებს. საქმე ისაა, რომ ქართული მემკვიდრეობითი სამართლით ოჯახის გაყრის შემთხვევაში ადგილ-მამულიც იყოფა და ცხადია ქუცმაცდება. მემკვიდრეებს ერთმანეთისაგან განსხვავებს მარტოოდენ მათი განსაკუთრებული წილი, რომელიც საუფროსოს, საუმცროსოსა და საშუალოს სახელწოდებითაა ცნობილი. ქართული სამართალი, როგორც წესი, ერთმემკვიდრეობას არ იცნობს. ავტორის მიერ განვითარებული მსჯელობა ერთმემკვიდრეობის შესახებ, ვფიქრობ, ბევრად დამაფიქრებელია ჩვენთვისაც. ამ შემთხვევაში ერთმემკვიდრეობა ფაქტობრივად არც მაიორატი და არც მინორატი. მემკვიდრეობის უფლებას აფუძნებს, როგორც წესი, არა უფროს-უმცროსობა, არამედ მეურნეობის გაძლიერების უნარი. ეს კი სრულიად ახლებური და განსხვავებული მიდგომაა მემკვიდრეობისადმი.


საჯარო ნივთებზე მოძღვრება, რომელიც კვლევის ერთ-ერთი საგანთაგანია, ბევრად ავსებს ჩვენს წარმოდგენებს სანივით სამართალზე. სწორადაა აღნიშნული ნაშრომში, რომ კონტინენტალური ევროპის სამართალში მიღებული საჯარო ნივთი, საბჭოთა სამართლით საზოგადოებრივ საკუთრებად იწოდებოდა. აქ საიტერესო ისაა, რომ საჯარო ნივთია არა მხოლოდ სხეულებრივი ობიექტი, არმედ უსხეულოც (გვ. 197-199). გერმანული ცივილური სამართლის აღიარებული პრინციპებით კი ნივთები მხოლოდ სხეულებრივი საგნებია. საჯარო ნივთები სხვა ნივთებთან შედარებით ყველაზე მეტადაა დატვირთული საჯარო-სამართლებრივი ფუნქციით, როგორც ავტორი იტყვის ხოლმე „მასზეა საჯარო-სამართლებრივი სერვიტუტი“ (გვ. 201). აქვე დაწვრილებით არის ნაჩვენები საერთო და სპეციალურ სარგებლობაში არსებული საჯარო ნივთების ბუნება.

სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების საკითხი ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია მონოგრაფიაში. სასურველია აქ წამოყენებულმა იდეებმა პრაქტიკული განხორციელება პოვონ მიწის რეფორმის პროცესში. ასეთი მიდგომა ჩვენთვის ბევრად მომგებიანი იქნება. სამწუხაროდ, მიწის რეფორმის უმრავლეს აქტებში მხოლოდღა ძველი საკუთრებითი წესრიგია შელამაზებული. ნაშრომში მოცემული დებულებანი სწორედ რომ ზედგამოჭრილია ახალი საკუთრებითი წესრიგისთვის. თუ სადმეა საკუთრება ყველაზე მეტად შებოჭილი სოციალური ფუნქციით — ეს ეხება სწორედ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე საკუთრებას. ამ წესით სუნთქავს მთლი კონტინენტური ევროპის სამართალი.

ბინის საკუთრების პრობლემა კვლევის ფინალურ ნაწილს შეადგენს. როგორც ითქვა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ემყარება როგორც სამართალს, და თვლის, რომ სახლი იმისი საკუთრებაა, ვისიცაა მიწა. ეს რადიცია და ურღვევია ბინის საკუთრების შესახებ კანონს. გერმანულ სამართალში უფლებების ასეთი ტრანსფორმაცია მეტად გვარწმუნებს ჩვენც აღნაგობის უფლების აღდგენის აუცილებლობაში.

ამ მცირე რეცენზიაში ვერ შევძელი ჯეროვანი მიმეგო ყველა იმ საკითხისთვის, რაც ნაშრომშია დაყენებული. აქ მხოლოდ შევეცადე რამდენიმე ცენტრალური მომენტისთვის გამესხვა ხაზი და ზოგჯერ ჩემი დამოკიდებულებაც შევუთხრობინა ვიდრე ნაშრომს მთლიანად შევაფასებდე, შემიძლია გადაუჭარბებლად ვთქვა, რომ მკვლევარი საკუთრების სულში ჩამწვდარა.





ნაშრომის გაცნობამ აღმიძრა სურვილი გამომეთქვა ზოგიერთი ჩემი კერძო მოსაზრება მასში მოცემული ცალკეული დებულებების თაობაზე, რაც სასწარგებლო თუ არა, კეთილი ნების კარნახი მაინც იქნება საკუთრების პრობლემებზე მუშაობისას.

ზემოთ ვთქვი, რომ მონოგრაფიაში დიდი გულმოდგინებითა და სიცხადითაა ერთმანეთისაგან გამიჯნული კერძო და საჯარო სამართლის მოქმედების ფარგლები. ეს ნაშრომის მთელი ორგანიზმის საერთო თვისებაა. ნაშრომიდან კარგად ჩანს საჯარო-სამართლებრივი ნორმების სიუხვე საკუთრების უფლების მოწესრიგებაში. საკუთრების სოციალურმა ფუნქციამ ბევრი მსგავსი ნორმა შობა, მაგრამ რატომღაც მეჩვენება, რომ საკუთრების შინაარსის დამფუძნებელი მაინც კერძო სამართლებრივი ნორმები უნდა იყოს, ამიტომაც ჩემში ეჭვს იწვევს ნაშრომში მოცემული აზრი, რომ „დღევანდელ პირობებში საკუთრების შინაარსი, უპირატესად საჯარო სამართლით არის განსაზღვრული“ (გვ. 39). თუ აქ მხედველობაშია არა ზოგადი პრინციპი, არამედ მხოლოდ უძრავ ქონებაზე (მიწაზე) საკუთრება, ანდა ჩვენში არსებული საკუთრებითი რეჟიმი, მაშინ ამ ეჭვის საფუძველი ქრება. მართალია, სოციალური ფუნქცია საკუთრების ორგანულ ნაწილად იქცა, მაგრამ მისი კერძო ფუნქცია მაინც საკუთრების უფლების მთავარი დამფუძნებელი ფასეულობაა, საკუთრების ბოჭვა არ შეიძლება აღემატებოდეს საკუთრების თავისუფლებას. ამას გარდა, თუ ცნება სამოქალაქო-სამართლებრივია, შეუძლებელია საკუთრების შინაარსში საჯარო-სამართლებრივი ელემენტები ჭარბობდნენ. ასე რომ იყოს, გამოგვივა, რომ რაღაც მოვლენის ცნებას შეესაბამება სხვა მოვლენის შინაარსი. მითუმეტეს ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი თეზაა საკუთრების ცნების ერთიანობა და ეს ცნებაა კერძო-სამართლებრივი (სამოქალაქო-სამართლებრივი) ცნება. კვლევიდან ნათლად ჩანს, ის სიძნელეები, რაც საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ცნებას ახლავს ხოლმე. ვფიქრობ, არ არსებობს საფუძველი საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ცნებისა. ეს აზრი უნდა იკვეთებოდეს მონოგრაფიიდანაც.

სრულიად სამართლიანადაა საკუთრება აღიარებული პიროვნული თავისუფლების უმნიშვნელოვანეს წყაროდ. მართლაც, პიროვნების ქონებრივი თავისუფლება მისი პიროვნული თავისუფლების მნიშვნელოვანი საფუძველია. საკუთრების ამგვარი როლი ბევრადაა განპირობებული იმით, რომ საკუთრება ძალაუფლების შემცველია. სასურველი იყო ნაშრომში საკუთრება გვეხილა ძალაუფლების ჭრილშიც.

მთელი ერთი პარაგრაფი ეძღვნება სანივთო უფლებათა ცნებასა და მის ძირითად ნიშნებს. სანივთო უფლებანი გამიჯნულია ვალდებულებითისაგან სწორედ მათი არსებითი ნიშნების მიხედვით. ვფიქრობ, ამ გამიჯვნისათვის გამოდგებოდა მისი ერთი ისეთი ნიშანი, როგორიცაა უპირატესობის უფლება, რომლის არსიც იმაშია, რომ სანივთო და ვალდებულებით უფლებათა კოლიზიის შემთხვევაში პირველს ენიჭება უპირატესობა. მაგალითად, როცა ნივთია უფლების (მოთხოვნის) დაკმაყოფილების ობიექტი, რამდენიმე კრედიტორთაგან უპირატესობა ეძლევა მასზე გირავნობის უფლების მატარებელს.

რატომღაც მიძნელდება შეგუება გერმანულ სამართალში არსებული სანივთო გარიგებისადმი. თუ მიუღებლად ჩავთვლით საკუთრების გადასვლის აბსტრაქციის პრინციპს, მაშინ უარი უნდა ვთქვათ მის იურიდიულ გამოხატულებაზეც, როგორცაა სანივთო გარიგებანი. გერმანული სამართლით ნასყიდობა ვალდებულებითი გარიგებაა, ნივთის გადაცემა კი სანივთო-სამართლებრივი. განა ნასყიდობაშივე არ ძვეს ნივთის გადაცემის ვალდებულება? რა საჭიროა ურთი-




ერთობის ასე დაწვრილმანება? ვარდა ამისა, ასეთი გარიგება სხვა გაუგებრობათა წყაროცაა. მაგალითად, ნაშრომში ერთგან ნათქვამია, რომ როცა სანავთო გარიგებაზეა საუბარი, აქ „შეთანხმება“ იგულისხმება და არა „ხელშეკრულება“ (გვ. 158). სხვაგან კი, ვკითხულობთ, რომ „შეთანხმება არის სანავთო ხელშეკრულება“ (გვ. 158). ასევე ძნელდება შეთანხმების გაცნობიერება ვალდებულების მომენტის გარეშე. ამ შემთხვევაში ჩვენი აზრი უფრო ფაქტობრივ ნორმატიულ სინამდვილეს ეხება, ვიდრე ავტორის პოზიციას. იგი თვითონაც შენიშნავს, რომ ძნელია სანავთო და ვალდებულებით გარიგებათა გამიჯვნა ერთმანეთისაგან, რამეთუ ისინი ხშირად ერთმანეთშია გადახლართული (გვ. 162).

მიწის თავისუფალი საკუთრების დამკვიდრებასთან კავშირში მონოგრაფიაში აღბრუნდებიან საკითხი დანაწევრებული საკუთრების თაობაზე. მიწის რეფორმის პროცესში კვლავ იჩინა თავი ფეოდალიზმის ამ კლასიკური ინსტიტუტისადმი ერთგულების იდეამ. რომანულ-გერმანული სამართლის მკვლევარები საკუთრების უფლების დანაწევრების ტენდენციას აფიქსირებენ ევროპულ სამართალში. ასეთ ვითარებაში დანაწევრებული საკუთრების კუთხით საკუთრების უფლების შეფასება სრულიად ლოგიკურია. ხშირად მოვლენა მოძველებული ჩანს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ ის სულაც არ ყოფილა ძველი. ასე მოსვლია გაუყრელი ოჯახი იდეასაც. როგორც ნაშრომიდან ვიგებთ, მიწების დაქუცმაცების ადკვეთის მიზნით, მისი აღდგენის პრაქტიკაც დამკვიდრებულია. მე ყოველთვის, ისევე როგორც ავტორი, მომხრე ვიყავი ერთიანი საკუთრების იდეისა. საკუთრების უფლებისას მთავარია ნივთის სუბსტანციაზე უფლება. ამიტომ, როგორადაც არ უნდა გაიზარდოს არამესაკუთრეთა უფლებები სხვის ქონებაზე, ეს მაინც ვერ გამოიწვევს საკუთრების უფლების გაორებას. ძველი რომაული ტრადიცია, რომ შეუძლებელია ერთდროულად ორი განსხვავებული საკუთრების უფლება ქონებაზე, ვფიქრობთ, დღესაც ძალაშია. დანაწევრებული საკუთრების კონცეფცია გლოსატორების ყველაზე დიდი ქმნილებაა. მათ ძველ რომაულ ინსტიტუტებს ახალი შინაარსი შესძინეს. ასეთ ინსტიტუტებს შეადგენდა სუპერფიცია და ემფითევიზისი, რომლებიც სხვის ნივთზე უფლებების მნიშვნელოვანი სახეებია. გლოსატორებმა ეს ინსტიტუტები დანაწევრებული საკუთრების მხოლოდ მასალად გამოიყენეს. ამიტომაც, საჭოჭმანოდ მეჩვენება ავტორის აზრი, რომ „ჯერ კიდევ იუსტინიანეს დივესტებში განმტკიცებული ეს კონცეფცია მე-18 საუკუნის ფრანგულმა დოკმატიკამაც გაიმეორა“ (გვ. 169). თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ სუპერფიციარისა და ემფითევიტის ფართო უფლებრივი მდგომარეობა შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი შეხედულების წყაროც. საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ეპოქებში დანაწევრებული საკუთრების სხვის ნივთზე უფლებისადმი მიმართება ერთ-ერთი ყველაზე ბნელით მოცული პრობლემა იყო. ასეც კი დაუყენებიათ საკითხი: საერთოდ არსებობს კი დანაწევრებული საკუთრება, ის, რასაც ჩვენ Unter Eigentum-ს ვეძახით, ხომ არაა სხვის ნივთზე უფლება?

მონოგრაფიაში საკუთრების უფლება მისი რეალიზაციის ჭრილშია გააზრებული, რაც შეიძლება ითქვას, საკუთრების გარანტიის პრობლემაცაა. ავტორი აგვიწერს მოცემულ საკითხზე სამი დიდი დისკუსიის შედეგებს. როგორც ნაშრომიდან ჩანს, ამ დისკუსიის ერთ-ერთი დასკვნა იყო ის, რომ თანამედროვე პრობებში საკუთრების თავისუფლებას ცვლის „მენჯერის რეჟიმი“, მოკლედ, დღეს მთავარია არა საკუთრების განკარგვის, მისი თავისუფალი გასხვისების პრობლემები, არამედ საწარმოს მართვის, მენეჯმენტის საკითხები (გვ. 106). ამ საგნის გარშემო აზრი მართლაც რომ საინტერესოა. საქმე ისაა, რომ „კომერციული“, „საფინანსო“ საკუთრების ავტორთა ნააზრევი ძირს უთხრის





საკუთრების ერთიანი ცნების იდეას, რაც შეიძლება ითქვას, ნაშრომიში ერთი მთავარი და სწორი თეზაა. მენეჯერთა ძალაუფლების ზრდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მესაკუთრის ძალაუფლება ნულის ტოლია. აქ მთავარია ის, რომ მენეჯერის ძალაუფლების წყაროა მესაკუთრის ძალაუფლება. ამდენად, იგი მესაკუთრის თავისუფლების გამოვლენის ერთ-ერთი მომენტიცაა. თავისუფლებას კი თავისთავად მოქმედების შედეგი კი არ აფუძნებს, არამედ ამ მოქმედების ნებელობითი ბუნება. მოკლედ, მთავარია თავისუფალი ნება. ასეთი მიდგომისას მენეჯერებს, რომ „კომერციული საკუთრების“ ავტორები ერთმანეთში აიგივებენ საკუთრების ცნებასა და საკუთრების რეალიზაციის მდგომარეობას. სულაც არ ვაკნინებ დინამიური მომენტის როლს საკუთრებაში, მაგრამ მაინც საკუთრება წარმომადგენია, როგორც უფრო სტატიკური მდგომარეობა. ისეთ ვითარებაში, როდესაც „კომერციული“, „საფინანსო“, „სააქციო“ საკუთრებებს იდეა ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად გამოიკვეთა თანამედროვე პირობებში, ვფიქრობთ, სამომავლოდ მასზე ყურადღების მიქცევა სასარგებლო იქნება.

\* \* \*

ნაშრომი ისეთი გზებითაა დაწერილი, რომ კომუნისტური სამართლის ტყვეობას თავდაღწეულ საზოგადოებაში, იგი მრავალს ჩააგონებს სანივთო სამართლისადმი სიყვარულს. ამ ძალას მას მატებს ის ფაქტიც, რომ გერმანული სანივთო სამართლის სარკეში ბევრად იკვეთება ქართული სანივთო სამართლის ხატება.

კიდევ მრავლის თქმა შეიძლებოდა კვლევის საგნის გარშემო, მაგრამ ვფიქრობ, ამისთვის დრო მომავალშია ბევრი გვექნება — სანივთო სამართალი ზომ ცივილური სამართლის ხერხემალია, რაზედაც იგება შენობა სამოქალაქო საზოგადოებისა. ამ ნაშრომით უეჭველად დაინტერესდებიან ეკონომისტებიც, რადგან აქ მათთვისაც ბევრი თავსატეხის გასაღები შეიძლება მოიძებნოს.

ღაბოლოს, ისღა დამრჩენია ვთქვა, რომ ღაბოლოს ჭანტურიას ეს ნაშრომი ბევრად წინ წევს ცივილისტიკის განვითარების საქმეს ჩვენში. იგი შედარებითი იურისპუდენციის ბრწყინვალე შენაძენია. ვფიქრობ, მსგავსი ნაშრომების ხილვა დიდი იმედების მაუწყებელია.





## საქართველოს პრესის ისტორიიდან

საქართველოს პრესის ისტორია ოფიციალურად იწყება 1819 წლის 8 მარტს, როცა გამოვიდა „საქართველოს გაზეთის“ პირველი ნომერი. ეს გაზეთი დაარსდა კავკასიის მაშინდელი მთავარმართებლის ერმოლოვის მფარველობით, გამოდიოდა კვირაში ერთხელ და მასში იბეჭდებოდა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებები, ბრძანებები, რუსეთისა და კავკასიის რეგიონის, აგრეთვე საქართველოს ამბები. „საქართველოს გაზეთი“ 1820 წლის მეორე ნახევრიდან გამოდიოდა „ქართული გაზეთის“ სახელწოდებით, მისი გამოცემა შეწყდა 1821 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა და სპეციალისტთა ვარაუდით, გაზეთის მსგავსი ორგანოს ბეჭდვა საქართველოში ჯერ კიდევ 1763 წლიდან დაწყებული მეფე ერეკლეს ხელშეწყობით, თავდაპირველად ერთთაბახიან ნაბეჭდ ფურცელს ეწოდებოდა „ბრძანება და უწყება“, ხოლო მოგვიანებით — „ლეპორტი“. იგი შეიცავდა მეფისა და პატრიარქის ბრძანებებს, განკარგულებებს და სხვა ოფიციალურ აქტებს. სამწუხაროდ, იგი გამოდიოდა სპორადულად და ჩვენამდე არცერთ ეგზემპლარს არ მოუღწევია.

XIX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან თანდათანობით საქართველოში (ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში) ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა მრავლდება. 1828-32 წლებში გამოდიოდა ყოველკვირეული „ტფილისის უწყებანი“ ლიტერატურული ნაწილის დამატებით, 1845 წლიდან — „კავკასიის მხარეთა უწყებანი“, 1852 წლიდან გამოსვლას იწყებს ჟურნალი „ცისკარი“, 1862 წლიდან — გაზეთი „გუთნისდღა“, 1863 წლიდან — ი.ჭავჭავაძისეული „საქართველოს მოამბე“, შემდეგ გაზეთი „ივერია“, ყოველკვირეული „დროება“ და „საქართველო“ სურათებიანი დამატებით, „ცნობის ფურცელი“ და ა. შ. ამ ჟურნალ-გაზეთებს რედაქტორობდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი და სხვები.

XX საუკუნის დამდეგიდან ქართული ჟურნალ-გაზეთების რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა. ეს განპირობებული იყო სარბიელზე პოლიტიკური პარტიების გამოსვლის, შეცვლილი პოლიტიკური ვითარებისა და მეფის ხელისუფლების ცენზურის შესუსტების გამო.

რუსულენოვანი პრესაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გასაგები მიზეზების გამო ხელისუფლება მათ ყოველნაირად მხარს უჭერდა და შესაბამის მატერიალურ დახმარებას უწევდა. 1828 წელს თბილისში დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „ტიფლისსკიე ვედომოსტი“, 1838-1855 წლებში იბეჭდებოდა „ზაკავკაზსკიე ვესტნიკ“ ოფიციალური და არაოფიციალური ნაწილით. 1846 წლიდან — ყოველკვირეული „კავკაზი“, რომელიც მოგვიანებით ყოველდღიური გაზეთი გახდა, 1873 წლიდან — „ტიფლისკიე ვესტნიკ“, 1880 წლიდან — „ობზორი“, 1883 წლიდან — „ნოვოე ობზრენიე“, ხოლო 1878 წლიდან — „ტიფლისკიე ლისტოკ“. ხსენებული რუსული გაზეთები გამოდიოდა ყველაზე დიდი ტირაჟით (10 — 20 ათ.), მაშინ, როცა ქართული გაზეთების ტირაჟი საკმაოდ შეზღუდული იყო.

გარდა ქართული და რუსული გაზეთებისა, თბილისში იბეჭდებოდა სომხურენოვანი გაზეთები: „მშაკი“, „აშხატავორი“, „ორიზონი“ და სხვები, რომლე-



ბიც აქ მოქმედი სომხური პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კუთვნილებას შეადგენდნენ.

საქართველოს პრესის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს 1918 – 1921 წლების პერიოდს, როცა პრესა ჩაღვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის, დემოკრატიის პრინციპების განმტკიცების სამსახურში და აქტიურად ეხმარებოდა ყველა საერთაშორისო თუ საშინაო პოლიტიკურ მოვლენას.

1918 წლის 26 მაისის შემდეგ ბეჭდვას განაგრძობდნენ რამდენიმე თვის წინათ დაარსებული საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ყოფილი რსდმპ ამიერკავკასიის ორგანიზაცია) გაზეთი „ერთობა“ და ჟურნალი „სოციალ-დემოკრატი“ (ქართულ და რუსულ ენებზე), სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის – „სახალხო საქმე“ და „სოციალისტ-ფედერალისტი“, ესერთა პარტიის – „შრომა“ და „რევოლუციური დროშა“, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო „საქართველო“, „კლდე“ (ეს უკანასკნელი იბეჭდებოდა როგორც დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაში მომხდარი გათიშვის შემდეგ), ქართველ ებრაელთა სიონისტური ფრაქციის „ცეცორე ციანის“ გაზეთი „ხმა ებრაელის“ და ა. შ. გარდა ზემოჩამოთვლილი პარტიული პრესისა, იბეჭდებოდნენ „პარტიის გარე“ გაზეთებიც: „თავისუფალი გზა“, „ახალი სიტყვა“, „რაჭის ხმა“...

1918 – 21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის ბეჭდვითი საშუალებებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უპირველესი და უმთავრესი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელმაც გამოსვლა დაიწყო 1918 წლის 25 ივლისიდან სპეციალური კანონით და იგი საქართველოს მთავრობის ოფიციალური ორგანო გახდა. გაზეთში იბეჭდებოდა ბრძანებები, განკარგულებები, დეკრეტები და კანონები, რომლებიც ასახავდა მთავრობის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობას. მასში ქვეყნდებოდა აგრეთვე ყველა საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები: საქართველოსა და უცხოეთის სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებები, ერთობლივი განცხადებები, დეკლარაციები, შეთანხმებები, დიპლომატიური ნოტები და სხვა მასალები. ფართოდ იყო წარმოდგენილი რესპუბლიკის ყოველდღიური ცხოვრება – ახალი ამბები პროვინციებიდან, კომენტარები სხვადასხვა აქტუალური პრობლემის ირგვლივ, აგრეთვე უცხოეთის ამბები. ამ მხრივ ეს გაზეთი დღეისათვის მეცნიერთა და დაინტერესებულ პირთათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს 1918 – 21 წლების პერიოდზე. „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორები იყვნენ ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები პავლე საყვარელიძე, ვიქტორ ნოზაძე და გრიგოლ მაჭავარიანი. სულ გამოვიდა გაზეთის 831 ნომერი, აქედან 1918 წელს – 192, 1919 წელს – 297, 1920 წელს – 299, ხოლო 1921 წელს – 43 ნომერი.

დამოუკიდებლობის წლებში არ-დარჩენილა თითქმის არცერთი ცენტრალური უწყება, აგრეთვე საზოგადოებრივი კავშირი თუ გაერთიანება, რომელთაც არ ჰქონოდათ საკუარი გაზეთი ან ჟურნალი. მაგალითად, სამხედრო სამინისტროს ეგიდით გამოდიოდნენ ჟურნალები – „ჯარი და ერი“, „რესპუბლიკის ჯარი“, სახალხო გვარდიის შტაბის ეგიდით – „მხედარი“ და „სახალხო გვარდიელი“. სხვადასხვა პერიოდულობით იბეჭდებოდნენ გაზეთები: „ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა ხმა“, „მილიცია“, „ცისფერყანწელთა“ გაზეთი „ბარიკადი“, ჟურნალები: „პრომეთე“ (ყოველთვიური სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული), „კავკასიის ქალაქი“ (1918 წლის დამლევადან მას ეწოდა „ერთობა და ქალაქი“), „შვიდი



მნათობი“ (მასში იბეჭდებოდა წერილები სიტყვაკაზმულ ლიტერატურაზე, მსხრუტეობაზე, მეცნიერების სხვადასხვა დარგზე). 1919 წელს გამოვიდა მხოლოდ რამდენიმე სქელტანიანი ნომერი, „თოდაბულისის სარტყელი“, „კრონოსის სარკე“, „ცისარტყელა“, „ეკიმი“, „შომსახურე ფარმაცევტი“, „მევენახეობა და მეღვინეობა“, „საქართველოს ეკონომისტი“, „სკოლა და ცხოვრება“, „ვაჭი და ღვინო“, „სოციალური დახმარება“, „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ და სხვა-ნი.

ჟურნალებიდან მკითხველის ჟურნალდება უნდა შეეაჩეროთ ცნობილ საზოგადო მოღვაწისა და მწერლის იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით გამოძავალ „თეატრი და ცხოვრებაზე“, რომელიც იმდროინდელ საქართველოში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან კულტურულ საქმიანობას ეხმაურებოდა. მასში იბეჭდებოდა როგორც პოეზიისა და პროზის ნიმუშები, ასევე პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი მასალებიც აღსანიშნავია რომ ხსენებული ჟურნალი ფართოდ იყო ილუსტრირებული. ფაქტობრივად მხოლოდ მან შემოგვინახა 1918 – 21 წლების ქართველი და უცხოელი პოლიტიკური მოღვაწეების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროს მუშაკების, დიპლომატების ფოტოსურათები...

იურიდიული მიმართულების პრესის ორგანოები წარმოდგენილი იყო ბიულეტენებით „საქართველოს დამფუძნებელი კრება“ და „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული“. ამ უკანასკნელს გამოსცემდა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან (1920 წლიდან – საქართველოს სენატთან) არსებული საკოდიფიკაციო განყოფილება. სულ გამოვიდა: 1919 წელს – ნაწილი I, ნაკვეთი № 1 – 25 (დამფუძნებელი კრებისმიერ 1919 წელს მიღებული კანონები); 1920 წელს – ნაწილი I, ნაკვეთი № 1 – 29 (დამფუძნებელი კრების მიერ 1920 წელს მიღებული კანონები); ნაწილი II, ნაკვეთი № 1 – 5 (მთავრობის განკარგულებები); 1921 წელს – ნაწილი I (დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წელს მიღებული კანონები. ბოლო დოკუმენტი დათარიღებულია – 1921 წლის 12 თებერვალი).

აღსანიშნავია, რომ ამ კრებულებს თანდართული აქვთ საგნობრივი და ქრონოლოგიური საძიებელი.

რაც შეეხება 1918 წლის 26 მაისიდან საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტი) მიერ მიღებულ კანონებს, ისინი გამოიცა ცალკე კრებულის სახით საერთო სათაურით „საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული. 1918 წელი“.

მრავალი გაზეთი გამოდიოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც, მსხვილ საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში. მათი სრული ჩამოთვლა შორს წავგიყვანდა და ამიტომ დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთ სამაზრო და საქალაქო ორგანოს: ახალციხეში – „განახლებული მესხეთი“, „მესხეთ-ჯავახეთი“, „სამუსულმანო საქართველო“, ფოთში – „რიჟრაჟი“ და „ფოთის მოამბე“, ოზურგეთში – „გურიის ერობის მოამბე“ და „გურიის ხმა“, სამტრედიამი – სატირულ-იუმორისტული გაზეთი „შოლტა“ ანუ „დროგამომშვებით სამტრედიელთა გასაშოლტავი იუმორისტული ორგანო“...

საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი იყო საქართველოში იმ წლების რუსულენოვანი პრესაც. ქართული პოლიტიკური პარტიების რუსულენოვან გაზეთებთან („ბორბა“, „სოციალ-დემოკრატ“, „გურუზია“. ერთად იბეჭდებოდა „ზნამია ნაროდა“, „გუმეტ“, „ევერეისკი ეოლოს“ (სიონისტური სახალხო ფრაქციის თბილისის კომიტეტის ორგანო), „ვოლნი გორეც“ – ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ემიგრანტული გაზეთი, აგრეთვე სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების, და-



მოუკიდებელი და კერძო გაზეთები: „ედინენიე“, „ნოვოსტი დნია“, „პრობუჟდენიე“, „რენ“, სვობოდნი პუტ“, „ზაკავკასკოე სლოვო“ და სხვა. ჟურნალები: „არს“, „იზვესტია ზაკავკასკოვო ობშესტვა რუსსკოი კულტური“, „იზვესტია ზაკავკასკოვო რუსსკოვო ნაციონალნოვო სოვეტა“, „კავკასკიი ვოროდ“, „რუსსკაია ღუმა“, „ფენიკს“, „ზაკავკასკაია კოოპერაცია“... საერთო ჯამში რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთების რიცხვი 50-ს (!) აღწევდა.

საქართველოს სომხურენოვანი პრესაც საკმაოდ მრავლად იყო წარმოდგენილი. ეს განპირობებული იყო თბილისში არსებული მრავალრიცხოვანი სომხური დიასპორით, აგრეთვე სომხური პოლიტიკური პარტიებით, რომლებთაც ხშირად თავიანთი შტაბ-ბინები თბილისში ჰქონდათ. 1918–21 წლებში ბეჭდვას აგრძელებდნენ გაზეთები „მშაკი“, „აშხატავორი“, „ორიზონი“ და სხვანი.

უკრაინის სახალხო რესპუბლიკის საელჩო თბილისში გამოსცემდა საკუთარ გაზეთს „უკრაინსკაია ნაროდნაია რესპუბლიკა“, რომელშიც იბეჭდებოდა ცნობები უკრაინის შესახებ, ორი ქვეყნის ურთიერთობების განმტკიცებისაკენ მიმართული მასალები.

მოკლედ შევეხთ საქართველოში, კერძოდ, თბილისში დასავლეთ ევროპულ ენებზე გამოშვებულ პრესას: კერძოდ, გამოდიოდა „კავკასიის ფოსტა“. გამოცემული – ამიერკავკასიის გერმანელთა კავშირი. გაზეთი დაარსდა ჯერ კიდევ 1909 წელს. 1918 წლის მაისიდან, საქართველო-გერმანიის ურთიერთობის გაცხობის შემდეგ „კავკასიის ფოსტა“ კვირაში ორჯერ დაიწყო გამოსვლა. ამ გაზეთში თანამშრომლობდა ცნობილი მოღვაწე არტურ ლაისტი; „თავისუფალი კავშირი“ – ყოველთვიური ჟურნალი ფრანგულ ენაზე. გამოვიდა მხოლოდ ერთი 48 გვერდიანი ნომერი; „დამოუკიდებელი საქართველო“ – გამოდიოდა 1919–1920 წლებში, პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი. 1920 წლის შუახანებიდან ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“. გამომცემელი და რედაქტორი ელისაბედ ორბელიანი. იბეჭდებოდა ფრანგულ ენაზე; „საქართველოს ამბები“ გამოდიოდა 1919 წელს, ინგლისურ ენაზე. გამომცემელი და რედაქტორი ელისაბედ ორბელიანი; „საქართველოს ფოსტა“ – გამოდიოდა 1919–20 წლებში, ინგლისურ ენაზე, არარეგულარულად; „ამიერკავკასიის ამბები“ – გამოდიოდა 1919 წელს, არარეგულარულად, გამომცემელი ვინმე ს. მელიქიანი, ინგლისურ ენაზე; „ახლო აღმოსავლეთის ამბები“ – გამოდიოდა არარეგულარულად 1919–20 წლებში, ინგლისურ ენაზე; „გელეჯიქ“ – გამოდიოდა თურქულ ენაზე თბილისში 1918 წლის მეორე ნახევრიდან, რედაქტორი იყო მემედ მირზა ბაღა.

მკითხველისათვის საინტერესო იქნება აღვნიშნოთ, რომ საზღვარგარეთ, კერძოდ, ბერლინში 1918 წლის ივლისამდე იბეჭდებოდა ქართული ჟურნალი, ხოლო კიევში – ქართველ სტუდენტთა ორგანო, გაზეთი „ზარი“.

რა თქმა უნდა, 1918–21 წლებში გაზეთების პერიოდულობა ერთნაირი არ იყო. რეგულარულად, ყოველდღე გამოდიოდნენ მთავრობასა და პარლამენტში (დამფუძნებელ კრებაში) წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების გაზეთები, აგრეთვე ჟურნალები „სოციალ-დემოკრატი“, „თეატრი და ცხოვრება“ და ზოგიერთი სხვა.

გაზეთების მატერიალური და ფინანსური ბაზა შედგებოდა სახელმწიფო, პარტიული და კერძო (კომერციული) სტამბებისაგან. სარჯები იფარებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან (დოტაციით), პარტიების ფულადი დახმარებით და კერძო შემოწირებულობებისაგან. პრესა იბეჭდებოდა საკმაოდ მდარე ხარისხის



ზოგჯერ ღია — მწვანე და ღია-ლურჯ ქაღალდზეც კი, შექმნილი რთული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით საქართველოს მთავრობამ ევროპაში რამდენიმე რმე შეისყიდა საგაზეთო ქაღალდი.

რაც შეეხება ტირაჟს, იგი მერყეობდა 1000-დან 15 — 20 ათასამდე, ყველაზე დიდი ტირაჟი ჰქონდა მთავრობის გაზეთს „საქართველოს რესპუბლიკას“ და მმართველ სოციალურ-დემოკრატიული პარტიის საინფორმაციო საშუალებებს. ფასები — რამდენიმე ათეული კაპიკიდან (1918 წ.) 40-50 მანეთამდე (ბონამდე) 1921 წლის 25 თებერვლამდე.

რა თქმა უნდა, იმ პერიოდში საქართველოში ბოლშევიკური გააზეთებიც იბეჭდებოდა, თუმცა მათი რეგულარული ბეჭდვა ცნობილი მიზეზების გამო შეზღუდული იყო, გარდა ამისა, ისინი იხურებოდა ზელისუფლების საწინააღმდეგო შეიარაღებული გამოსვლების მოწოდების გამო. მხოლოდ 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების საფუძველზე გახდა კომუნისტური პრესა ლეგალური, დაიწყო გამოსვლა ცნობილმა „კომუნისტმა“ და „ახალგაზრდა კომუნისტმა.“

1921 წლის 26 თებერვლიდან რევკომის განკარგულებით ყველა ზემოჩამოთვლილი ჟურნალ-გაზეთი, გარდა კომუნისტურისა, დაიხურა და გაუქმდა. ამ დროიდან მათ ბიბლიოთეკებისა და არქივების ე. წ. სპეცფონდებში გადაინაცვლეს „ზემდგომი კომპენტენტური ორგანოების“ მითითებით. რასაკვირველია, ამით ფართო მკითხველისათვის მიუწვდომელი გახდა მათი გაცნობა და ისინი თანდათანობით დავიწყებას მიეცა. 1918 — 21 წლების საქართველოს პრესა ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მეცნიერ-სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის, რომლებიც ხშირად სამეცნიერო კვლევისათვის მათში დაბეჭდილ მასალებს ტენდენციურად იყენებდნენ.

რა თქმა უნდა, 1989 წლიდან საქართველოში განვითარებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა პროცესებმა ე. წ. „სპეციალურა ფონდების“ მდგომარეობაზეც მოახდინა ზეგავლენა. კვლავ გამოჩნდა და მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახდა დემოკრატიული საქართველოს პრესა.

სამწუხაროდ, მათში მასალების მოძიებას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ არ არსებობს ბიბლიოგრაფიული გზამკვლევი და მიუხედავად მრავალგზისი აღდგენისა, 1918 — 21 წლების ჟურნალ-გაზეთები ხშირი გამოყენების გამო თანდათანობით ცვდება და იხევა.

დღეისათვის იმ პერიოდის საქართველოს პრესა ყველაზე სრულყოფილი სახით ინახება მხოლოდ ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნთსაცავში, აგრეთვე საარქივო გაერთიანება „მემატიანეში“ და საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტში.

დასასრულს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ წერილს მიზნად არ ჰქონდა (და არც შეიძლება ჰქონოდა) საქართველოს პრესის საფუძვლიანი გამოკვლევა. ეს უფრო სპეციალობის სხვა სფეროს განეკუთვნება. ამ ჟურნალში მისი გამოქვეყნება განაპირობა მხოლოდ იმ მიზეზმა, რომ დაინტერესებული მკითხველისათვის საორიენტაციოდ მიგვეწოდებინა მცირეოდენი ინფორმაცია 1918 — 21 წლების პრესაში გამოქვეყნებულ მასალების თემატიკის თაობაზე. ვფიქრობთ, ეს სასარგებლო იქნება ქართული სამართლის ისტორიის შემსწავლელთათვისაც.

## სიმონ კილაკი,

საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი.



# 1994 წელს საქართველოს რესპუბლიკაში ნასამართლობის ეფექტურობა

1994 წელს საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებულია 17.643 დანაშაული, 4422-ით, ანუ 20,0 პროცენტით ნაკლები 1993 წელთან შედარებით (1993 წელს რეგისტრირებული იყო 22065 დანაშაული). დანაშაულის კოეფიციენტმა ყოველ 100 000 მოსახლეზე შეადგინა 325,1 (1993 წელს — იყო 406,6).

1994 წელს რესპუბლიკის სასამართლოებში განსახილველად შემოვიდა 7360 საქმე, ე. ი. რეგისტრირებული დანაშაულის მხოლოდ 41,7 პროცენტი, 1121 საქმით მეტი წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით (1993 წელს განსახილველად შემოვიდა 6293 საქმე).

შესაბამისად გაიზარდა განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეთა რაოდენობაც. 1993 წელს განაჩენი გამოტანილი იქნა 5022 საქმეზე, 1994 წელს კი — 6070 საქმეზე (1048 საქმით ანუ 20,8 პროცენტით მეტი).

1994 წელს რესპუბლიკის სასამართლოების წარმოებაში ერთ თვეზე მეტ ხანს იყო 1419 საქმე, 23,3 პროცენტი (1993 წელს — 22,8 პროცენტი), ერთ-თვიანი ვადის ზევით განხილულ საქმეთა დიდი ხვედრითი წილი მოდის თბილისის მთაწმინდის რაიონის — 42,7 პროცენტი, ქ. გორის — 62,0, დუშეთის რაიონის — 83,3 თელავის რაიონის — 44,2, მცხეთის რაიონის — 58,3, საჩხერის რაიონის 52,9 ყვარლის რაიონის 65,7, წყალტუბოს — 59,0, ფოთისა და გორის რეგიონალურ სამხედრო სასამართლოებზე — 77,7 და 72,0 პროცენტი.

1994 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა, თუ 1993 წელს მსჯავრი დაედო 7003 პირს, 1994 წელს მსჯავრდებულთა რაოდენობამ შეადგინა 8283 პირი (1280 პირით ანუ 20,1 პროცენტით მეტი).

1994 წელს, წინა წელთან შედარებით, მსჯავრდებულთა რაოდენობა გაიზარდა: — სახელმწიფო და პირადი ქონების ყაჩაღობისათვის 55,2 პროცენტით, ძარცვისათვის — 9, 6, განზრახი მკვლელობისათვის (104—105, 106 მუხ). — 19,6, ადამიანის მოტაცების ან თავისუფლების სხვაგვარი უკანონო აღკვეთისათვის — 147,6 იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა უკანონო შექმნა, შენახვა, ტარებისათვის — 60,4, ნარკოტიკულ ნივთიერებათა შექმნა-შენახვისათვის გასაღების მიზნით — 41,5 პროცენტით.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა შექმნა — შენახვისათვის გასაღების მიზნის გარეშე — 22,4 პროცენტით, სასამართლობის კოეფიციენტმა 100.000 მოსახლეზე შეადგინა 154,9 (1993 წელს იყო 129,0).

1994 წელს სტაბილურია დასჯითი პრაქტიკის მაჩვენებელი. 1993 წელს



სასჯელის ღონისძიება თავისუფლების აღკვეთის სახით შეეფარდა 53,0 პროცენტს, 1994 წელს — 53,1 პროცენტს.

მთლიანად რესპუბლიკურზე მაღალი დასჯითი პრაქტიკა აქვთ თბილისის ნაძალადევის რაიონის სასამართლოს — 63,1 პროცენტი, ისნის — 72,8, სამგორის 66,1 კრწანისის — 64,2, ქ. რუსთავის 63,0, ქუთაისის — 61,3, ღუშეთის — 70,9, ბაღდადის — 83,7, სენაკის — 83,6, წყალტუბოს — 73,1, ხობის რაიონის — 78,5, თბილისის რეგიონალურ სამხედრო სასამართლოს — 72,4 პროცენტი და სხვ.

დასჯითი პრაქტიკის რესპუბლიკურზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ: ქ. ფოთის სასამართლოს — 34,4 პროცენტი, ტყიბულის — 24,1, ჭიათურის 26,8, ახალქალაქის — 16,1, ბორჯომის — 38,1, თიანეთის — 29,4, ოზურგეთის — 37,0, ჭავჭავაძის — 25,0, ხაშურის რაიონის სასამართლოს — 30,4 პროცენტი.

რესპუბლიკაში დასჯითი პრაქტიკის მაჩვენებელი მაღალია ისეთი დანაშაულებისათვის როგორცაა: ყაჩაღობა — 92,9 პროცენტი, ძარცვა — 70,0, განზრახ მკვლელობა — 88,3, ადამიანის მოტაცება ან სხვაგვარი თავისუფლებას აღკვეთა — 96,0, ნარკოტიკულ ნივთიერებათა შექმნა-შენახვა გასაღების მიზნით — 82,5 პროცენტი და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოები კვლავ გაურბიან კანონით გათვალისწინებულ სანქციის მაქსიმუმს გამოყენებას. მაგალითად, 1994 წელს პირადი და სახელმწიფო ქონების ყაჩაღობისათვის მსჯავრდებულთა მხოლოდ 13,4 პროცენტს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 10-დან 15 წლამდე, მსჯავრდებულთა თითქმის ნახევარზე მეტს მისჯილი აქვს სანქციის მინიმუმი.


ნარკოტიკულ ნივთიერებათა გასაღების მიზნით შექმნა — შენახვისათვის მსჯავრდებულთაგან სანქციის მაქსიმუმი — თავისუფლების აღკვეთა 10-დან 15 წლამდე შეეფარდა მხოლოდ 7,0 პროცენტს.

მიმდინარე წელს, წინა წელთან შედარებით, გაუმჯობესდა განაჩენის ხარისხობრივი მაჩვენებელი. თუ 1993 წელს სტაბილური იყო განაჩენების 94,7 პროცენტი, 1994 წელს განაჩენთა სტაბილურობამ შეადგინა 96,0 პროცენტი. 1994 წელს ზემდგომი სასამართლოების მიერ საკასაციო და ზედამხედველობის წესით გაუქმდა განაჩენი 223 პირის (2,6 პროცენტი) მიმართ 1993 წელს იყო 3,1 პროცენტი), შეიცვალა 133 პირის (1,4 პროცენტი) მიმართ (1993 წელს — 2,2 პროცენტი).

საანგარიშო პერიოდში გაუქმებული განაჩენებიდან (223 პირის მიმართ), ლმობიერების გამო გაუქმდა განაჩენი 22 პირის მიმართ (1993 წელს — 23 პირის მიმართ), დანაშაულის ნიშნების ან შემადგენლობის არარსებობის გამო გაუქმდა განაჩენი და საქმე წარმოებით შეწყდა 4 პირის მიმართ (1993 წელს — 10 პირის მიმართ).

განაჩენთა სტაბილურობის მხრივ ცუდი მაჩვენებელი აქვთ: ყვარლის, აბაშის, ღუშეთის, ლაგოდეხის, ცაგერის, თელავის, მცხეთის, ქუთაისისა და გორის სამხედრო სასამართლოებს. საანგარიშო პერიოდში განაჩენი არ გაუქმებით ფოთის, ამბროლაურის, ადიგენის, ახალციხის, დმანისის, თეთრიწყაროს, ლანჩხუთის, ონის, ხონის, ხობის და სხვა რაიონის სასამართლოებს საანგარიშო პერიოდში პირველი ინტანციის სასამართლოების მიერ დამატებით ძიების ჩასატარებლად საგამომებო ორგანოებს დაუბრუნდა 361 საქმე ანუ განსახილველად შემოსულ საქმეთა 5,0 პროცენტი. 41 საქმით ანუ 12,8 პროცენტით მეტი 1993 წელთან შედარებით (1993 წელს დაუბრუნდა გამოძიებას 320 საქმე). 1994 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკის სასამართლოებში განუხილველი დარჩა 1600 საქმე ნაშთის სახით.





1994 წელს რესპუბლიკის ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილია 350 კერძო განჩინება.

რესპუბლიკის სასამართლოებში 1994 წელს, ვადის დარღვევით დამთავრდა 1419 საქმე, განხილულ საქმეთა 23,3 პროცენტი ვადის დარღვევებითი ძირითა- 1419 საქმე, განხილულ საქმეთა 23,3 პროცენტი ვადის დარღვევებითი ძირითა- ში წარმოდგენილია.

აღნიშნული საკითხი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე მრავალჯერ და- აყენა როგორც სასამართლოებმა, ასევე მათი ინფორმაციის საფუძველზე იუსტი- ციის სამინისტრომ, რათა განეხორციელებინათ ქმედითი ღონისძიებანი მდგომ- რეობის გამოსასწორებლად.

სისხლის სამართლის საპატიმრო საქმეთა განხილვის გაჭიანურების საკითხი ორჯერ გაზდა იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის მსჯელობის საგანი შინაგან საქმეთა სამინისტროს და რესპუბლიკის პროკურატურის შესაბამისი სამსახუ- რის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

1994 წელს საბადრაგო სამსახურის მიზეზით მხოლოდ თბილისის სასამარ- თლოებში განსასჯელთა წარმოდგენილობით საპატიმრო საქმეთა განხილვა გადა- იდო 2748-ჯერ, რაც იწვევს განსასჯელების, დაზარალებულების, მოწმეების და მათი ახლობლების სამართლიან გულისწყრომას.

ამავე დროს, საგამოძიებო იზოლატორებში შექმნილია არასახარბიელო მდგომარეობა, რადგან 4 თვეზე მეტი ვადით ყოველდღიურად იმყოფება იზოლა- ტორში 220-230 განსასჯელი, რომლებიც განაჩენს ელოდებიან. როგორც ანა- ლიზმა გვიჩვენა, მათი გამოკვება და შენახვა ხანგრძლივი დროის განმავლობაში უფრო ძვირი უჯდება სახელმწიფოს, ვიდრე იმ ობიექტური მიზეზების აღმოფ- ხვრა, როგორცაა საბადრაგო სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესება, მათი უზ- რუნველყოფა სპეციალური დანიშნულების ავტო-ტექნიკური აღჭურვილობით და სავვაით, რაც სამთავრობო დონეზე უმიოკლეს დროში უნდა გადაწყდეს.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს რესპუბლიკაში ადგილი ჰქონდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობის კლებას. 1990 წელს მსჯავრი დაედო 499 არასრულწლოვანს, 1991-492-ს, 1992-335-ს.

1993 წელს კი არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 24,1 პროცენტით. (4:6 პირი). ხოლო 1994 წელს მსჯავრი დაედო 483 არასრულწლოვანს, 67 პირი ანუ 16,1 პროცენტით მეტი 1993 წელ- თან შედარებით.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა გაიზარდა ისეთი დანაშაუ- ლისათვის, როგორცაა სახელმწიფო და პირადი ქონების ძარცვა 12-დან 46-მდე ანუ 283,3 პროცენტით, ყაჩაღობა 36-დან 38-მდე - 5,5 პროცენტი, ავტოსატრან- სპორტო საშუალებათა გატაცება - 10-დან 26-მდე - 160, პროცენტი, იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეიქებად ნივთიერებათა უკანონო შექმნა, შენახვა, ტა- რებისათვის 17-დან 20-მდე - 42,8 პროცენტი.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა შემცირდა: სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობისათვის 291-დან 286-მდე - 1,8 პროცენტი, გაიზარდა მკვლელობისათვის - 9-დან 6-მდე - 33,3 პროცენტი და ნარკოტიკულ ნივთიე- რებათა შექმნა - შენახვისათვის გასაღების მიზნის გარეშე-4-დან 2-მდე - 50 პროცენტი.

1994 წელს არასრულწლოვან მსჯავრდებულთაგან 278 პირის ანუ 57,5 პროცენტის მიმართ გამოყენებული იქნა სსკ 47<sup>1</sup> მუხლი და განაჩენით მისჯილი სასჯელის ღონისძიების აღსრულება გადაედო.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სასამართლოს საქ- მიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს სტატისტიკის გან- ყოფილება.



## მოსამართლეთა კონფერენცია

ამას წინათ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მოსამართლეთა კონფერენცია, რომელიც ძირითადად მიეძღვნა სასამართლო ხელისუფლების შესახებ არსებული კანონპროექტების განხილვას.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობამ:

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის, ქალაქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის თავმჯდომარე **ნუგზარ ბირკაიამ** კონფერენციას წარუდგინა საქართველოს რესპუბლიკის რაიონის, ქალაქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის ანგარიში თითქმის სამი წლის მუშაობის შესახებ.


სასამართლო ხელისუფლების შესახებ კანონზე ილაპარაკა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **თენგიზ ლილუაშვილმა**.

სასამართლო რეფორმის კანონპროექტებზე მოხსენება გააკეთა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ავთანდილ კობახიძემ**.

კამათში გამოვიდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **ვაჟა ხახუტაიშვილი**, ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე **გივლა ვეკუა**, თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი **კ. ბერიშვილი**, ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის მოსამართლე **მამუკა ჭოხონელიძე**, ზესტაფონის რაიონის მოსამართლე **თამაზ კაპანაძე**, ქ. თბილისის სამგორის რაიონის მოსამართლე **ქეთევან ყურაშვილი**, სამტრედიის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე **მურმან წიქვაძე**, თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი **მარიკა ცისკაძე** და სხვები.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა **თევდორე ნინიძემ**.





რედაქციისაგან. ჩვენი მკითხველი უთუოდ შენიშნავდა, რომ ამ უკანასკნელ ხანს ჟურნალის ფურცლებზე გარკვეული ადგილი ეთმობა პოეზიას, შეიძლება ითქვას, იურისტთა ლირიკულ ნააზრევს. მაგანს, ვისაც დაებადება კითხვა — იურიდიულმა ჟურნალმა პოეზიისათვის მოიცალაო, შევახსენებთ, რომ ჩვენი სამშობლოს ისტორია ცრემლად, მუსიკად, ლექსად ამღერებული და დაწერილი ისტორიაა. ყური მივუგდოთ მას და ღრმად შევიგრძნოთ ქართული ძარღვიანი სიტყვის მადლი, მისი უკვდავება... მათ შემოქმედებაში ზომ შეუნიღბავად ცხადდება ჩვენი ერის წარსული, აწმყო და მომავალი.

დიდი ილია, მომრიგებელი მოსამართლე... შესანიშნავად ამბობს გალაკტიონი:

„დავლით ჩვენ იმ კარგი დროის შესანდობარი  
 ოდეს პოეტი იყო არა მარტო პოეტი,  
 პოეტი იყო ბედუინი და მეომარი,  
 პოეტი იყო მოსამართლე და უფრო მეტი“.

სამართალთან და სიმართლესთან წილნაყარი ჩანს სიტყვა მოსამართლე, მოსამართლე — პოეტი! პოეტი — იურისტი! და კაცმა რომ თქვას, ყველაზე მეტად ზომ მას სჭირდება ადამიანის სულის ლაბირინთებში წვდომა...

ამჯერად, მკითხველს ვთავაზობთ ლექსებს, მისი ავტორის, ბატონ გრიგოლ დეკდარიანის თანხმობას გარეშე...

\* \* \*

განგება უკვე ნაბიჯებს მითვლის,  
 სიცოცხლეც ალბათ მისი ვალია,  
 კარგი დღეები დამთავრდა თითქმის  
 და მერე... მაინც ვისი ბრალია,  
 რომ მინდვრად ისე სკვნება ყვავილი  
 წმინდა სინაზე მისი ვერ ნახეს,  
 ვიღაც უთქმელი ლექსით ჩაივლის,  
 მოენატრებათ ცვარი ვენახებს...  
 რომ კედელს შერჩა ფრესკა წაშლილი,  
 სევდიანია სიყვითლე მისი,


რომ ქონგურები ქართი დაშლილი,  
 ტკივილებია შენი თუ სხვისი,  
 რომ ჩემთან უკვე მოვიდა თოვლი...  
 შენ საყვედური გიღვას თვალებში,  
 ცალცალკე შევრჩით ბილიკებს ორნი  
 დავეხეტებით შუალამეში;  
 რომ სახეები დავკარგეთ ბევრი,  
 არეულია ქარში დარები...  
 ძლიერი არის მსახვრალის ხელი,  
 შენ კი... ყველაფერს მე მამბრალედი....

\* \* \*

ლამემ გასწირა ზედაზენის  
 მთების მშვენება,  
 მთვარის ლანდებმა ღრუბლის  
 კოშკებს შემოუარეს,  
 სღვას მცხეთის კართან

ბებრის ციხე ვით  
 მოჩვენება,  
 და ელოდება დღეებს  
 უარესს.





დავემშვიდობე მზიან დღეებს,  
ფოთლები ცვივა,  
უკვე ზამთარი მოაბიჯებს  
წინასწარ მცივა,  
თუმც მაქვს ბუხარი,  
საბურველი ზეიმი ფერთა.

გებრალბოდი მოწყალეა  
გაიღე რისთვის,  
სიბრალული და სიამაყე ვერ  
ძლებენ ერთად,  
და თუკი მართლაც სიყვარულის  
არა ვარ ღირსი,  
მე არ მალონებს ეს ამბავი  
იმაზე მეტად,

გაზაფხული უფერულად მიილია,  
კაცი ბუობს და თურმე ღმერთი  
ფიქრობს,  
მოგონება ერთი გულის ტკივილია,  
სიხარული არც ყოფილა თითქოს...  
წლების შემდეგ სადაური სად  
მოვსულვარ,  
აქ სუზდალთან შენს ნაკვალევს  
ვეძებ,  
კამილკასთან სამრეკლოზე  
მოსთქვამს ზარი  
ამ ზარის ხმას შენც ისმენდე  
ეგებ.  
დამეკარგე არეულან ჩვენი გზები,

ნისლები მთების მწვერვალებს  
ტოვებს,  
ქარით დევნილი სოფლისკენ  
ილტვის,  
ვღგევარ ჩემს ქონთან,  
ამ სიმარტოვემ  
მომგვარა ჟამი დარდის  
და ფიქრის...  
ფოთოლთაცვენით მიდის  
ზაფხული,  
ბაღში მოწყენით გალობს  
ფრთოსანი,  
ასე მოკლდება დარღზე  
ასხმული  
უფერულ დღეთა  
კრილოსანი...

\* \* \*

მაგრამ ბელურა სსსურველი  
არ მოვა ჩემთან.  
მთელი ზაფხული ხის ფოთლები  
საბნად გეხურა,  
ზამთრის ღამეებს სად გაათევ,  
ჩემო ბელურა?!

\* \* \*

ვიღრე ცხოვრება, როცა  
მაწედის ფიალას შხამით,  
როცა ქარებით დარბეული  
დღენი ავდება,  
როცა მიწყდება  
ღამეული სიმღერა მგზავრის  
და ყოველივე ამით მთავრდება.

\* \* \*

მასსოვს ქოხი ამ თელებს  
ახლოს,  
ვიღაც ისევ სიყვარულზე  
მიიმღერის,  
ვიღაც ისევ ტყის ნაპირას  
სახლობს,  
მე ბილიკებს უკვე თავქვე  
დაგყოლივარ,  
მწყემსი გოგო თეთრ თავსაფარს.  
მიქნევს,  
სიტბუჟე შეუმჩნევლად  
გაპყოლია  
აუხდენელ ოცნებებს და ფიქრებს.

\* \* \*

იყავ მშვიდობით, ჩურჩულობენ ბაგენი შენი,  
ნეტავ მოჰქონდეს ამ ერთ სიტყვას სიმშვიდე  
მართლაც,  
იყავ მშვიდობით... და ღიმილი ძლივს  
შესამჩნევი,  
არის დარდი და დაციწვაც ალბათ.  
დასრულდა გზები, წარსულ დღეთა ოცნებებს  
მართალს,  
აედევნება შენი სახე როგორც აჩრდილი,  
ქარი დაგვკარგავს, ვით გალობას მორწმუნე  
ქალთა,  
თუმცა ერთი გვაქვს მამული და სევდა  
მთაწმინდის...



